# ბავშვებზე ზრუნვა თუ მათი ორგანოებით ვაჭრობა?! 10

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№7 (98)

2 – 8 მარტი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

2 რისთვის ძაბავს სააკაშვილი ურთიერთობებს რუსეთთან?



კონსტანტინე გამსახურდია:

## ავსტრიაში ელჩობას არ ვაპირებდი, მაგრამ, სადაც საჭირო ვიქნები, იქ წავალ

ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი სააკაშვილის რეჟიმს ღიად აქებს და ქუჩის საპროტესტო აქციებში მონაწილეობაზე უარს ამბობს 4



პარტია, საიდანაც ექს-პრემიერი გამოაგდეს, შესაძლოა, „მაესტროს“ მეწილე გახდეს 5

## ზურაბ ნოღაიდელს 7 წლამდე პატიმრობა ემუქრება

დავით ონოფრიშვილი:

მალე ფასები 7 უფრო გაიზრდება

დავით სოკოლოვი:

სააკაშვილს ვაშინგტონისგან ავტორიტარიზმის ექსკლუზიური უფლება აქვს 8 მიღებული

ნაპოლეონ ქარქაშაძე:

არ არიან მარტივი ხალხი აფხაზები, არც მათთან ბრძოლა იყო 14 მარტივი

UNHCR ხელისუფლების უკანონო 21 ქმედებებს ამართლებს



6

## ბიუჯეტის ხარჯზე შეძენილი HUGO BOSS-ის ქოლგა და ვერას კანტორაში დალეული 120 ათასი ლარის ყავა

9





ლევან ჩიტაძე:

## ბოკერია და კირკიტაძე ოპოზიციაში აპირებენ გადასვლას... ეს იქნება ხელისუფლების მიერ მართული ოპოზიცია

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**მოსკოვს აბსოლუტურად არ აინტერესებს სააკაშვილის რიტორიკა და მხოლოდ ის სურს, რომ მან დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ცალმხრივი აქტიურობა ჩრდილოეთ კავკასიაში — იქნება ეს ტელემაუწყებლობა რეგიონზე, კონტაქტები სეპარატისტულ ჯგუფებთან, ჩრდილოკავკასიელებისთვის ვიზების გაუქმება და ა.შ. ხოლო თუ სააკაშვილის ხელისუფლება დაუყოვნებლივ არ გაჩერდება, მას, სავარაუდოდ, ქმედითი მეთოდების გამოყენებით გააჩერებენ.**

## გამოხმაურებანი



**ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

მივმართავ ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, მოვუწოდებ მათ, გამოიჩინონ სიბრძნე, სიმამაცე და დაიწყონ დიალოგი სხვადასხვა დონეზე, რათა განიხილონ და მოაგვარონ დაგროვილი რთული საკითხები... ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ წარსულის გაკვეთილები და ვუცქიროთ მომავალს ჩვენი ხალხების და ქვეყნების ინტერესთა გათვალისწინებით. უნდა გვახსოვდეს ბრძნული სიტყვები: „სანამ ამომავალ მზეს დაინახავდე, ხედავ შენს მეზობელს“. მტრული დამოკიდებულების გაგრძელება მეზობლებს შორის დაუშვებელია!

*საქინფორმი*



**მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:**

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს დიდი ხანია არა ერთი ადამიანი, არამედ იდეოლოგია და რეფორმატორთა ჯგუფი მართავს...

*ტელეკომპანია „ПИК“*



**ედუარდ შევარდნაძე, ექს-პრეზიდენტი:**

რაც უფრო მძიმე სიტუაცია იქნება ხალხისთვის, მით უფრო მძიმე სიტუაცია იქნება პრეზიდენტისთვის და მით უფრო მეტი შანსი — რევოლუციისთვის! სიტუაცია კი აშკარად მძიმდება. თუ ასე გაგრძელდა, სააკაშვილი პრემიერობისთვის ხალხის მხარდაჭერას კი არა, რევოლუციას მიიღებს!!!

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

სააკაშვილმა ათასჯერ მიაყენა შეურაცხყოფა პაატა ბურჭულაძეს, გამოაცხადა რუსეთის აგენტად და ახლა ისევ სააკაშვილს უძვრება. კარგი, რა, სირცხვილია, მსოფლიო დონის მომღერალი ხარ, რას უძვრები ამ უჯიშოს, რას ეფერები?.. მე ვარ შეურაცხყოფილი ბუბა კიკაბიძის მაგივრად. ასე რომ, დაატარებენ ხელის ბიჭივით, ლუკაშენკოსთვის კონცერტებს ატარებინებენ და პუტინს ალანძღვინებენ.

*„კვირის ქრონიკა“*

# რისთვის ძაბავს სააკაშვილი ურთიერთობებს რუსეთთან?

**გასული კვირა განსაკუთრებით საინტერესო იყო იმ რეაქციაზე დასაკვირვებლად, რომელიც საქართველოში დიმიტრი მედვედევის 18 თებერვლის განცხადებას მოჰყვა, როდესაც მან დაავალა აღმასრულებელ ხელისუფლებას, რეაგირება მოეხდინა იმ საფრთხეებზე, რომლებიც, მისი თქმით, სოჭის ოლიმპიადას საქართველოს მხრიდან ემუქრება. მიხეილ სააკაშვილმა კომენტარი ამასთან დაკავშირებით „პირველ საინფორმაციო კავკასიურ“ არხზე გაავრცელა. სააკაშვილის რიტორიკა, ერთი შეხედვით, უაღრესად მშვიდობიანი იყო, მაგრამ რიგი გარემოებები მიანიშნებს, რომ დაძაბულობა თბილისი-მოსკოვის კონფრონტაციის ამ მონაკვეთზე ახლო მომავალში უფრო მოიმატებს.**



### ნეტარი გრიგოლის ვნებანი

**„საქართველო, ფიზიკური თვალსაზრისით, სოჭის ოლიმპიადისთვის ნულოვან საფრთხეს წარმოადგენს. მეტიც, თავის დროზე, როდესაც ამ ოლიმპიადის ჩატარება გადაწყდა, ჩვენ პოლიტიკურ დონეზე ღიად და დიდი ენთუზიაზმით ოლიმპიადის სწორედ სოჭში გამართვაზე ვსაუბრობდით“,** — თქვა სააკაშვილმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოლიმპიადისთვის საფრთხის შექმნა არა თუ არ შედის საქართველოს გეგმებში, არამედ ამის გაკეთება მის ძალებს აღემატება („GHN“).

ცალკე აღებული ეს განცხადება სამშვიდობო სულისკვეთებით გამსჭვალული ჩანს, მაგრამ ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას — ყოველივე ეს სააკაშვილმა „პირველ საინფორმაციო კავკასიურ“ არხთან ინტერვიუში თქვა. ეს არხი კი, რომლის მთავარი ფუნქცია ჩრდილოეთ კავკასიაზე მაუწყებლობაა, მოსკოვში აღიქმება როგორც მისი პრობლემური რეგიონის დესტაბილიზაციის ინსტრუმენტი. შესაბამისად, თუ სააკაშვილის განცხადების ფორმასა და შინაარსს ერთობლიობაში განვიხილავთ, შედეგად მივიღებთ არა მარტივ მესიჯს **„საქართველო ოლიმპიადას საფრთხეს არ შეუქმნის“**, არამედ ცოტა უფრო რთულს: **„საქართველო ოლიმპიადას საფრთხეს არ შეუქმნის, თუმცა თავის „ახალ კავკასიურ პოლიტიკას“ (რომლის ერთ-ერთი შემადგენელია „პირველი კავკასიურის“ ამუშავება) კვლავ გააგრძელებს“.** თუ მოსკოვმა სააკაშვილის გზავნილი ამგვარად გაშიფრა (რაც მეტად სავარაუდოა), ის აღიქვამდა მას, როგორც გამოწვევას, „ნერვებზე თამაშს“, რადგან კრემლმა არაერთგზის დააფიქსირა, რომ ოფიციალური თბილისის აქტიურობას ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით განიხილავს, როგორც საფრთხეს.

**25 თებერვალს რუსეთის მთავრობის ოფიციალურმა ბეჭდვითმა ორგანომ — „Российская газета“-მ გამოაქვეყნა ინტერვიუ რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ალექსანდრე ტორშინთან, რომელმაც განაცხადა, რომ ტერორისტული აქტი „დომოდედოვოს“ აეროპორტში საზღვარგარეთიდან იყო ორგანიზებული და კონკრეტული ქვეყანაც დაასახელა: „ჩემი აზრით, ეს იყო საქართველო და მისი მმართველი რეჟიმი“. უნდა აღინიშნოს, რომ ტორშინი არ არის „უბრალო დეპუტატი“. მას რუსეთის საკანონმდებლო ხელისუფლებაში მაღალი პოსტი უკავია, ამასთანავე, ის „ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის“ წევრია.**

ეს ძალზე ხისტი განცხადებაა; რა პოზიცია შეიძლება იდგეს მისი ან სხვა მსგავსი განცხადებების უკან? სავარაუდოდ, შემდეგი: **მოსკოვს აბსოლუტურად არ აინტერესებს სააკაშვილის რიტორიკა და მხოლოდ ის სურს, რომ მან დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ცალმხრივი აქტიურობა ჩრდილოეთ კავკასიაში — იქნება ეს ტელემაუწყებლობა რეგიონზე, კონტაქტები სეპარატისტულ ჯგუფებთან, ჩრდილოკავკასიელებისთვის ვიზების გაუქმება და ა.შ. ხოლო თუ სააკაშვილის ხელისუფლება დაუყოვნებლივ არ გაჩერდება, მას, სავარაუდოდ, ქმედითი მეთოდების გამოყენებით გააჩერებენ.** რუსი ძალოვნები უკვე შეუდგნენ შესაბამისი გეგმების შემუშავებას, რადგან პრეზიდენტმა მედვედევმა ეს 18 თებერვალს უშიშროების საბჭოს სხდომაზე დაავალა. ახლა არჩევანი სააკაშვილზეა, თუმცა ამ არჩევანის გაკეთებისთვის, შესაძლოა, არც ისე ბევრი დრო დარჩა. მგზნებარე მონოლოგები მშვიდობაზე აქ საქმეს არ უშველის, მისაღებია კონკრეტული გადაწყვეტილება: ან „კი“, ან „არა“.

ამავე თემას მიეძღვნა იმ ინტერვიუს მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გრიგოლ ვაშაძემ „რადიო თავისუფლებას“ მისცა. აშშ-ის ეროვნული დაზვერვის სამსახურის დირექტორის — ჯეიმს კლაპერის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ დაძაბულობას რუსეთსა და საქართველოს შორის ხელს უწყობს **„საქართველოს საჯარო მცდელობები, კავშირები დაამყაროს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიაში“,** საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი რამ თქვა: **„მინდა გითხრათ, რომ აბსოლუტურად არ მაინტერესებს, რას ამბობს კლაპერი. აბსოლუტურად არ მაინტერესებს, არ ვიცი, რა კონტექსტში თქვა მან ეს, სიმართლე გითხრათ, მე ეს ციტატა ვნახე ამოგლეჯილი მისი გამოსვლიდან“.**

თავი დავანებოთ იმას, რომ ვაშაძემ არ იცის, რომ ჯეიმს კლაპერმა აღნიშნული შეფასება კი არ „თქვა“, არამედ აშშ-ის სენატისთვის წარდგენილ ოფიციალურ დოკუმენტში ჩაწერა, უბრალოდ აღვნიშნოთ, **რომ სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებს აშშ-ის ოფიციალურ პირებზე ასეთ სტილში ადრე არასოდეს უსაუბრიათ.** ყურადღება მივაქციოთ იმასაც, თუ როგორ მოიხსენია ვაშაძემ ექსპერტები — სემუელ ჩარაპი და კორი ველტი „Center for American Progress“-იდან, რომლებიც ასევე გამოვიდნენ სააკაშვილის ახალი კავკასიური პოლიტიკის (საკმაოდ კორექტული) კრიტიკით. **„არც ის მაინტერესებს, არასამთავრობო ორგანიზაციის ორი ამერიკელი წარმომადგენელი რას დაწერს თავის მოხსენებაში“, „ენჯოშნიკების“ აზრი არ მაინტერესებს“** (და ოდნავ მოგვიანებით — **„მე, მაგალითად, მყავს ლიფტიორი, რომელიც არის „ენჯოშნიკი“), „ვინ არიან ეს ხალხი?“ და ასე შემდეგ.**

მას, ვინც გრიგოლ ვაშაძეს ინტერვიუს მოუსმინა, შესაძლოა, შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მინისტრი ადეკვატურობას სამუდამოდ დაემშვიდობა და თავხედობაში გადავარდა; ან კიდევ, **ვაშაძე ელოდება მომენტს, როდესაც მისი სამინისტროს ეზოში შემოვა ტანკი, რომლის კოშკურიდან გენერალი ბორისოვი გამოთქმით წაუკითხავს ციტატებს კლაპერის, ჩარაპის და ველტის გამაფრთხილებელი ტექსტებიდან და შესაბამის ამონარიდებს დასავლური მედიიდან; ასეთ ვითარებაში ვაშაძე იძულებული კი გახდება ამ მოსაზრებებს ყურადღებით მოუსმინოს, თუმცა უკვე გვიანი იქნება.**

ვაშაძემ გამოავლინა ძალზე ნერვული რეაქცია სააკაშვილის კავკასიური პოლიტიკის კრიტიკაზე, რომელიც დასავლეთში ერთობ გახშირდა. რამ განაპირობა მინისტრის ასეთი ქცევა? შესაძლოა იმან, რომ ხელისუფლებაში გააცნობიერეს: **აშშ სააკაშვილის კავკასიურ ექსპერიმენტებში არ ჩაერთვება და მათზე პასუხისმგებლობას არ გაიზიარებს, კრემლი კი ამ პოლიტიკის სასწრაფო შეწყვეტას მოითხოვს. იმ საქმეს კი, რომელსაც ერთბაშად ორი ზესახელმწიფო არ იწონებს, პოზიტიური პერსპექტივა ვერ ექნება. არადა, ამ პოლიტიკის კალაპოტში, სააკაშვილი, სავარაუდოდ, აპირებდა მოეძებნა ახალი ფუნქ-** ▶

**აშშ სააკაშვილის კავკასიურ ექსპერიმენტებში არ ჩაერთვება და მათზე პასუხისმგებლობას არ გაიზიარებს, კრემლი კი ამ პოლიტიკის სასწრაფოდ შეწყვეტას მოითხოვს.**



„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი გაზეთის ავტორის, ცნობილი პოლიტოლოგისა და საზოგადო მოღვაწის

**რამაზ კლიმიაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მოკლედ

### აშშ ლიბიაში შეჭრას აპირებს

**აშშ მუამარ კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციისთვის ემზადება, რაზეც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მდებარე ბაზებზე აშშ-ის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ქვედანაყოფების გადაჯგუფება მეტყველებს.** პენტაგონმა სამხედრო ხომალდების ხელმძღვანელობას „საჭიროების შემთხვევაში ლიბიის სანაპიროს სიახლოვეს პოზიციების დაკავება უბრძანა“. შესაძლოა, ლიბიის სამხედრო თვითმფრინავებისთვის საჰაერო სივრცე დაიხუროს და კადაფის ბრძანებით გაშვებული სამხედრო თვითმფრინავები ჩამოაგდონ.



ხელისუფლება „მართვადი რევოლუციისთვის“ ემზადება, რომელსაც სათავეში მის მიერ კონტროლირებადი ფიგურები ჩაუდგებიან. ეს, ერთი შეხედვით, ცნობილი იდეის რეალიზებაა. „თუ არ შეგიძლია, შეაჩერო რევოლუცია, მას სათავეში უნდა ჩაუდგე“.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**...ცია, რომელიც ვაშინგტონისთვის მისი არსებობის შემდგომი ხელოვნური გახანგრძლივების ერთ-ერთი მთავარი სტიმული გახდებოდა და, შესაძლოა, ვაშაძის გაღიზიანება ამ საქმის უპერსპექტივობის გაცნობიერებიდან დაიბადა.** საინტერესოა, ვინ შეუქმნა სააკაშვილს ილუზია, რომ ამ მიმართულებით წარმატებას მიაღწევს? ინტერნეტში კი ტივტივებს ერთი კონსპიროლოგიური ვერსია იმის თაობაზე, რომ მსგავსი ილუზიის ხარისხიანი შექმნა ბრიტანელებს შეეძლოთ, თუმცა მისი დეტალური ანალიზისგან ამჯერად თავს შევიკავებთ.

## მოდელირება სულს ისე მოსწყურდა

**სააკაშვილის ბოლოდროინდელ სახიფათო თამაშს რუსეთთან კიდევ ერთი, შიდაპოლიტიკური ასპექტი აქვს. უკმაყოფილო მოსახლეობის ყურადღების გადატანა გარე საფრთხეზე კარგად აპრობირებული ხერხია, თუმცა ხელისუფლება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი ქმედებით გაღიზიანებული მოსკოვი გადამჭრელ ზომებს არ მიმართავს, ეს კი დღეს გარანტირებული ნამდვილად არ არის. თანაც ის, რომ საზოგადოება ნამდვილად „გადაერთვება“ თემაზე „მტერი კარიბჭესთანაა“, დღესდღეობით ასევე სათუოა.**

ნაკლებად სავარაუდოა, მოსახლეობის რადიკალურად განწყობილმა ნაწილმა გარე საფრთხის თემას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, თუ არ იგრძნობს, რომ ის ნამდვილად რეალურია. ამაში, ალბათ, თავად ხელისუფლებაა დამნაშავე, რადგან ამ თემას იმდენად ხშირად და არამართებულად იყენებდა (ქრესტომატიული მაგალითი „მოდელირებული ქრონიკაა“), რომ მოსახლეობის დიდ ნაწილში ნდობის ლიმიტი ამოწურა. **როდესაც ახლახან სახელისუფლო არხებმა გვამცნეს, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ოფისთან ბომბები აღმოაჩინეს (იგულისხმებოდა, რომ ამის უკან ისევ და ისევ რუსეთი იდგა), ამ ფაქტს სოციალურ ქსელებში რამდენადმე შესამჩნევი რეაქცია არ გამოუწვევია. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ასეთი ფაქტი საზოგადოებას ააფორიაქებდა, თუმცა იმ ქვეყნებში „მოდელირებულ ქრონიკებს“ ადგილი არ ჰქონია. ჩვენ ახლა არ ვადგენთ, იყო ის ბომბი ნამდვილი თუ „მოდელირებული“, ბორისოვმა ჩადო ის, კოჭოიამ თუ ჩე გევარამ, საუბარია მხოლოდ იმაზე, თუ როგორ აღიქვა (უფრო სწორად კი, არ აღიქვა) ეს ინფორმაცია საზოგადოებამ.**

დღეს მოსახლეობის დიდი ნაწილი გართულებული ეკონომიკური სიტუაციის გამო განრისხებულია, რადიკალურადაა განწყობილი და, ამასთანავე, შეგულიანებულია წარმატებული რევოლუციებით არაბულ სამყაროში. **ხელისუფლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არ დაუშვას ამ განწყობის რეალიზება მასშტაბურ საპროტესტო გამოსვლებში; სააკაშვილის მდგომარეობა ამ მხრივ იმიტომაც არის გართულებული, რომ ძალის მასირებული გამოყენება დემონსტრანტების წინააღმდეგ დღეს აშშ-ის მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს. მარტივად რომ ვთქვათ, „გუშინ“ და „ხვალ“ ეს შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ „დღეს“ — ნაკლებად, რადგან შტატებს გაუჭირდება ერთი და იმავე ქმედებისთვის მკაცრად გააკრიტიკოს მუბარაქი და, ამავე დროს, სააკაშვილი გაამართლოს.** ამ შემთხვევაში „ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა“ მეტისმეტად თვალშისაცემი გახდება.

მეტიც, მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა ერთბაშად ორი, მისდამი ლოიალური რეჟიმი გაწირა, სააკაშვილის ხელისუფლება, ძალიან დიდი ალბათობით, ამერიკელ პარტნიორებს ეჭვის თვალით უყურებს და, შესაძლოა, ფიქრობს, რომ ისინი რაღაც ძალიან ცუდს უმზადებენ. **ასეთი განწყობიდან შეიძლება დაიბადოს მანკიერი სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს აშშ-ის ჩაყენებას ისეთ მდგომარეობაში, როდესაც ის (გეოპოლიტიკური ინსტინქტიდან გამომდინარე) იძულებული გახდება, რუსეთთან მწვავე კონფრონტაციაში შესულ სააკაშვილს მხარი დაუჭიროს და „გადაარჩინოს“. შესაძლოა, სწორედ ამაშია მოსკოვთან ურთიერთობის ბოლოდროინდელი გამწვავების მთავარი აზრი. თუ ეს ასეა, ეს სხვა არაფერია, თუ არა ყოვლად უპასუხისმგებლო ვა-ბანკი, რომელიც ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდება.**

> « ვაშაძემ გამოავლინა ძალზე ნერვული რეაქცია სააკაშვილის კავკასიური პოლიტიკის კრიტიკაზე, რომელიც დასავლეთში ერთობ გახშირდა. »



## დროშები, დროშები ჩქარა!

სააკაშვილის ხელისუფლება მშვენივრად აცნობიერებს კიდევ ერთ ფაქტორს. ესაა ოპოზიციის ფარდობითი სისუსტე და მართულობა; აპათია საზოგადოების გარკვეულ წრეებში, სინამდვილეში დიდს არაფერს ნიშნავს. ტუნისსა და ეგვიპტეში ოპოზიცია გაცილებით სუსტი და მართვადი იყო, ძალოვანი სტრუქტურები — გაცილებით ძლიერი, ხოლო საზოგადოება მეტწილად უტყვი და მორჩილი, მაგრამ ყველაფერი სულ რამდენიმე დღეში შეიცვალა.

სააკაშვილს არ აქვს არანაირი რესურსი იმისთვის, რომ სანავთობო მონარქებს მიბაძოს და მოსახლეობაში, მარტივად რომ ვთქვათ, დიდძალი ფული დაარიგოს. ამასთანავე, მისი ქმედებები ხშირად პირდაპირ უბიძგებენ ადამიანებს, რადიკალური პოლიტიკური მოთხოვნებით გამოვიდნენ.

განვიხილოთ ბოლო ორი მაგალითი: ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია ვეტერანების აქცია გმირთა მოედანზე, მიუხედავად იმისა, რომ ის რამდენადმე სერიოზულ საფრთხეს არ ქმნიდა და სავსებით ლეგიტიმური იყო. როდესაც გაიფიცნენ სამარშრუტო ტაქსების მძღოლები, რომელთა მოთხოვნებს არანაირი პოლიტიკური დატვირთვა არ ჰქონდა, 10 მათგანს 30-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ხუთს კი შვიდდღიანი (ზოგს ბრალი სხვა მძღოლის შეურაცხყოფაში დასდეს, ზოგს — პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში). ამასთანავე, დაუდასტურებელი ინფორმაციით, ძალოვნები გაფიცულ მძღოლებზე გამუდმებულ ზეწოლას ახორციელებდნენ და მათგან გაფიცვის შეწყვეტას მოითხოვდნენ. არადა, არსებობდა მოქმედების ბევრი სხვა ვარიანტი, მეტიც — მძღოლებისა და თბილისის ხელისუფლების ეკონომიკურ კონფლიქტში ცენტრალურ ხელისუფლებას არბიტრის მომგებიან პოზიციაში ჩადგომა და ქულების დაგროვებაც კი შეეძლო (ან რაიმე სხვა მანევრი განეხორციელებინა), მაგრამ მან, როგორც ჩანს, ,,ძირითადი ინსტინქტი“ ვერ დაძლია და კვლავ ძალისმიერ მეთოდებს მიმართა.

**საბოლოო ჯამში, ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლების თემატური კრიტიკითა და ლოკალური მნიშვნელობის ეკონომიკური მოთხოვნებით გამოდიან, თითქოსდა უბიძგებენ ამ გზის უპერსპექტივობაში დარწმუნებისკენ და რადიკალური პოლიტიკური ლოზუნგების გამოფენისკენ. ასეთი მოქმედება იმდენად უცნაური ჩანს, რომ ამყარებს ვერსიას იმის შესახებ, რომ ხელისუფლება „მართვადი რევოლუციისთვის“ ემზადება, რომელსაც სათავეში მის მიერ კონტროლირებადი ფიგურები ჩაუდგებიან. ეს, ერთი შეხედვით, ცნობილი იდეის რეალიზებაა. „თუ არ შეგიძლია, შეაჩერო რევოლუცია, მას სათავეში უნდა ჩაუდგე“.**

მაგრამ დღეს სააკაშვილის ხელისუფლება საკმარისად დამაჯერებლად არ გამოიყურება იმისთვის, რომ ამ გაქანების ოპერაცია ჩაატაროს. მისი რესურსები ძალზე შეზღუდულია და არც პარტნიორების სრული ნდობა შეუძლია. უხეშად რომ ვთქვათ, არ აქვს საყრდენი წერტილი, რომლის გარშემო სიტუაციას „დაატრიალებს“. **მას თეორიულად კი ძალუძს, „მართვადი რევოლუცია“ დაიწყოს, მაგრამ საეჭვოა, პროცესებზე კონტროლის შენარჩუნება შეძლოს. ამიტომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძიება მორიგი საგარეო ავანტიურის კალაპოტში (რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ) მისთვის სავსებით ლოგიკური ხდება.**

**დიმიტრი მონიავა**

„ტელეიმედთან“ ნაპოვნი ნაღმის ამოღებისა და გაუვნებელყოფის ოპერაცია







## გამოხმაურებანი

**შალვა ხაჭაპურიძე,** ადვოკატი და პარტიის – „გამარჯვებისთვის“ – ლიდერი:



პარტია, რომელიც დღეს ხალხს არ მოუწოდებს ეროვნული დაუმორჩილებლობისკენ, იმისთვის, რომ გაუშვან სააკაშვილის რეჟიმი, ვთვლი, რომ არის სახელისუფლო პარტია. პარტია, რომელიც, ასევე, მოუმზადებლად დაუპირებს ხალხს ქუჩაში გამოყვანას, ვთვლი, რომ ხელისუფლების თამაშს თამაშობს. ასეთი პარტიები კი ჩვენს ქვეყანაში ბევრია.

*საქინფორმი*

**ირაკლი სესიაშვილი,** სამხედრო ექსპერტი:



არანაირი პროტესტით, არანაირი დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნითა და არანაირი დასავლეთის ჩარევით ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმი არ შეიცვლება. ამიტომ ერთადერთი გზა რევოლუციური ტალღით ხელისუფლების შეცვლაა, არეულობის ავტორი და ბიძგის მიმცემი კი იქნება თავად სააკაშვილი.

*„ახალი თაობა“*

**მამუკა ნოზაძე,** ადვოკატი:



ციხეებში გაუსაძლისი პირობებია. დღემდე მიმდინარეობს ტარიელ საყვარელიძის წამება. პატიმარმა ფურცვანიძემ თავი ციხის სამკურნალო დაწესებულებაში ჩამოიხრჩო, რადგან მასზე ფიზიკურ ზეწოლას ახორციელებდნენ. მაგრამ ამ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია.

*obieqtivi.net*

**დავით გამყრელიძე,** „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:



ევროპელები, კარგა ხანია, მიიჩნევენ, რომ სააკაშვილი მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის, განსაკუთრებით რუსეთთან, ამიტომაც მისი მხარდაჭერა შეწყვიტეს. სააკაშვილისთვის ერთადერთი საყრდენი ამერიკაა, რომელიც ცდილობს, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე მშვიდობიანად მიიყვანოს სააკაშვილის ხელისუფლება.

*„ყველა სიახლე“*

მოკლედ

## პოლიცია რუსეთში



**1 მარტიდან რუსეთში ძალაში შევიდა ფედერალური კანონი „პოლიციის შესახებ“.** ახალი კანონის მიზანი მოქალაქეებსა და სამართალდამცავებს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებაა. პრინციპულად ახალი სტრუქტურის პოლიციის რიგებში მხოლოდ საუკეთესო თანამშრომლები მოხვდებიან. სამართალდამცავ სტრუქტურას სახელწოდება შსს-ს მასშტაბური რეფორმის ფარგლებში შეეცვალა. რუსი კანონმდებლების განცხადებით, რეფორმა სისტემის საქმიანობის გაუმჯობესებას ემსახურება.

## საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გადადგა

**საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიშელ ალო-მარი თანამდებობიდან გადადგა. ოპოზიცია და მედია საგარეო უწყების ხელმძღვანელს კორუფციაში სდებს ბრალს.** ალო-მარი კრიტიკის მთავარ ობიექტად მას შემდეგ იქცა, რაც ტუნისში არეულობის დაწყებისას ტუნისის ხელისუფლებას მღელვარების ჩასახშობად საფრანგეთის პოლიციის გამოცდილების გაზიარება შესთავაზა. მის ადგილს საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი ალენ ჟუპე დაიკავებს, რომელსაც 1990 წელს უკვე ეკავა პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობები.

ალიარება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

„მიმაჩნია, რომ ქუჩა-ქუჩა წანწალით და ლანძღვა-გინებით საქმე არ გამოვა. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ქვეყნის წინსვლა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება და არა მგონია, ქუჩა-ქუჩა წანწალით, გაზეთებიდან ლანძღვა-გინებითა და მკერდში მჯიღის ბრაგუნით საქმე გამოვიდეს“.




### კონსტანტინე გამსახურდია:

# ავსტრიაში ელჩობას არ ვაპირებდი, მაგრამ, სადაც საჭირო ვიქნები, იქ წავალ

**თავი მოიკლა თუ მოკლეს? — 17 წელი გავიდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან და ქართული საზოგადოება კითხვაზე პასუხს დღემდე ელის. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ბუნდოვან ისტორიაში გასარკვევად, საქართველოს პარლამენტში დროებითი კომისიაც შეიქმნა, რომელსაც უნდა დაედგინა, რა მოხდა სინამდვილეში. კომისიამ ახლახან დაასრულა მუშაობა და 363-გვერდიანი დოკუმენტიც წარმოადგინა, რომელიც, მართალია, ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავს, მაგრამ არც კონკრეტულ ბრალდებულებსა და ექვმიტანილებს ასახელებს. კომისიის მუშაობის, მისი პარტიისა თუ ოჯახის ირგვლივ არსებული სკანდალებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, „საქართველო და მსოფლიო“ საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარეს, პირველი პრეზიდენტის ვაჟს — კონსტანტინე გამსახურდიას ესაუბრა.**

**— საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ მუშაობა დაასრულა და 22 თებერვალს 363-გვერდიანი დასკვნაც წარმოადგინა, თუმცა საზოგადოების ნაწილი მაინც იმედგაცრუებული დარჩა.**

— საზოგადოების ის ნაწილი, ვინც იმედგაცრუებული დარჩა, ზოგადად, ხელისუფლების მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი და მასში ხელისუფლების არც ერთი ნაბიჯი ნდობას არ იწვევს, **მათ შორის, არც ისეთი პოზიტიური და დადებითი ნაბიჯი, როგორიც აღნიშნული კომისიის შექმნაა. ისინი მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება ამ საქმეს მაინც არ გამოიძიებს, ვინაიდან გარიგებულია ედუარდ შევარდნაძესთან და კომისიის შექმნაც ხელისუფლებას მხოლოდ პიარისთვის დასჭირდა, რაც, ვფიქრობ, სიმართლეს არ შეესაბამება.**

**— მიგაჩნიათ, რომ ხელისუფლება გულწრფელად დაინტერესებულია საქმის გამოძიებით?**

**— არ შეიძლება ამბავი სამუდამოდ იყოს დამალული, რასაც კარგად ხვდება დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება და რისი ნათელი დადასტურებაც იყო პარლამენტის სესიაზე, როგორც საპარლამენტო ოპოზიციის, ასევე ხელისუფლებისა და დამოუკიდებელი დეპუტატების მხრიდან, საბოლოო დასკვნითი დოკუმენტის უპირობო და აბსოლუტური მხარდაჭერა.**

**— ცოტა ხნის წინათ, საკუთარმა ძმამ ხელისუფლებასთან გარიგებაში დაგადანაშაულათ. როგორც ცოტნე გამსახურდია ციხიდან გამოგზავნილ წერილში წერს, თქვენ მას ევროპაში პრესკონფერენციის გამართვას დაჰპირდით, მაგრამ მოატყუეთ.**

— მე არავის არაფერს შევპირებივარ და ამ თემაზე კომენტარს არ გავაკეთებ.

**— თუმცა ძმის წერილს თქვენ ლექსით გაეცით პასუხი...**

— მე კონკრეტულად არავისთვის არ გამიცია პასუხი. მე ვთქვი ერთი ფრაზა ლექსიდან: „საქართველოში მე იმდენად გავხდი საქები, სახელს იხვეჭენ ჩემი ლანძღვით ავაზაკები“. ჩემი მლანძღველები ბევრნი არიან და, ვინც საკუთარ თავზე მიიღებს, ეს მისი გადასაწყვეტია, არ შევედავები.

**— მაგრამ თქვენ ხომ შეგეძლოთ, თუნდაც საპროტესტო აქციებით მაინც დახმარებოდით ძმას?**

— ძალიან ბევრი საპროტესტო აქცია გამართულა ამ ქვეყანაში, მაგრამ დადებითი შედეგი არ მოუტანია, პირიქით.

**— ერთი ძმა ციხეშია, მეორე ხელისუფლებაში, თქვენი ოჯახის ირგვლივ მუდმივად სკანდალებია. ეს არ გიქმნით უხერხულობას?**

— რა ვქნა, მათ თავიანთი ცხოვრება აქვთ. ეს მათი თავისუფალი არჩევანია და ყველა ადამიანი საკუთარ ცხოვრებას თავად განაგებს.

**— ბატონო კონსტანტინე, თქვენ პარლამენტარის მანდატზე ჯერ უარი განაცხადეთ, მერე მაინც გადაწყვიტეთ პარლამენტში შესვლა. როგორ ფიქრობთ, ეს არამყარი და მერყევი პოლიტიკოსის იმიჯს არ გიქმნით, რაც პოლიტიკოსის რეიტინგზე არცთუ დადებითად აისახება?**

— მე ეს შესაძლებლობა გამოვიყენე და სულაც არ ვფიქრობ, რომ ამით ცუდი იმიჯი შევიქმენი, პირიქით, ვფიქრობ, ეს ევოლუციური იმიჯია. მიმაჩნია, რომ ქუჩა-ქუჩა წანწალით და ლანძღვა-გინებით საქმე არ გამოვა. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ქვეყნის წინსვლა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება და არა მგონია, ქუჩა-ქუჩა წანწალით, გაზეთებიდან ლანძღვა-გინებითა და მკერდში მჯიღის ბრაგუნით საქმე გამოვიდეს...

**—თქვენ ერთ-ერთი ოპოზიციონერი ხართ, ვინც 2009 წლის აპრილის მოვლენების დროს, სააკაშვილის წინააღმდეგ შეურიგებლად იბრძოდა და ბოლომდე საპროტესტო აქციის დაშლის წინააღმდეგი იყავით. საპროტესტო აქციების დაწყების შემთხვევაში, თუ მიიღებთ ქუჩის აქციებში მონაწილეობას?**

— სიტუაცია, მოვლენები იცვლება და პოლიტიკოსებიც სხვადასხვა მოვლენას განსხვავებულად ხედავენ. ქუჩის საპროტესტო აქციებში მონაწილეობას აღარ მივიღებ, წარსულში არასდროს ვბრუნდები.

**— თქვენი პარტიის ყოფილი წევრები პარტიის შეგნებულ დაშლაში გადანაშაულებენ, რათა თქვენი პარტიისთვის გამოყოფილი თანხა მთლიანდ მიგეთვისებინათ. ასევე გადანაშაულებენ 125 ათასი ლარის მითვისებაში.**

— ამ საკითხზე არანაირ კომენტარს არ ვაკეთებ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ამ ადამიანებთან პოლემიკაში შესვლა არ ღირს. ეს საკითხიც ამოწურულია ჩემთვის.

**— ბევრს საუბრობენ თქვენს ცოლის ძმაზე, კარლო ბარდაველიძეზე, რომელიც კონტროლის პალატაში თანამდებობაზე დაინიშნა.**

— კარლო ბარდაველიძე, მის ამჟამინდელ უფროსთან, ლევან ბეჟაშვილთან ერთად, „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი კატალიზატორი იყო. ასე რომ, ჩემი წვლილი აქ არ არის, ისინი ერთმანეთს უჩემოდაც იცნობდნენ.

**— კულუარული ინფორმაციით, თქვენ ავსტრიაში ელჩად გაშვებას სთხოვდით ხელისუფლებას...**

— ავსტრიაში ელჩობას არ ვაპირებდი, მაგრამ, სადაც საჭირო ვიქნები, იქ წავალ. ქართული სახელმწიფოს პრიმატი მაშინაც კი არ უარმიყვია, როდესაც რადიკალური ოპოზიციონერი ვიყავი და არც ახლა უარვყოფ.

**— „როდესაც რადიკალური ოპოზიციონერი იყავით“? ბოლო დროს თქვენ აღარ ხართ რადიკალური და აქტიური ოპოზიციონერი პოლიტიკოსი?! უფრო მეტიც, დღეს სააკაშვილთან გარიგებაში გადანაშაულებენ.**

— ადამიანი იცვლება. ჩემთვის ეს ევოლუციური პროცესია. ის რადიკალიზმი, რაც წინათ მახასიათებდა, უკან დავტოვე და ასეთ რადიკალიმზში აღარ დავბრუნდები, რადგან ამან შედეგი ვერ დამანახა.

**— თუმცა ოპოზიციისთვის შედეგის მომტანი არც ხელისუფლებასთან დიალოგი აღმოჩნდა.**

— მიმდინარეობს დიალოგი საარჩევნო გარემოს შექმნაზე და, მგონი, რაღაც გამოვა. ვფიქრობ, ქვეყანა არ უნდა იყოს ორ შეურიგებელ ბანაკად გაყოფილი, ამან რა შედეგებიც მოიტანა, ყველამ კარგად დაინახა.

**— საზოგადოების ნაწილი არჩევნების მიმართ უნდობლობითა განწყობილი...**

**— არჩევნებს არ ენდობიან?! აბა, რა უნდათ, რევოლუცია სურთ? რევოლუცია ქვეყანას მხოლოდ ძალადობასა და უკუსვლას მოუტანს.**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი სააკაშვილის რეჟიმს ღიად აქებს და ქუჩის საპროტესტო აქციებში მონაწილეობაზე უარს ამბობს**

მსოფლიო

## მერკელი ნეთანიაჰუს წინააღმდეგ

**გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ისრაელის პრემიერი ბენიამინ ნეთანიაჰუ ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო დარეგულირების საქმეში უმოქმედობაში დაადანაშაულა.** ისრაელის მედიის ცნობით, სატელეფონო საუბარი მერკელსა და ნათანიაჰუს შორის მიმდინარე კვირის დასაწყისში ნეთანიაჰუს ინიციატივით გაიმართა. მერკელმა განაცხადა, რომ იგი „განიხიბლა“ ისრაელის პრემიერით.



## ასანჯს შვედეთს გადასცემენ

**ლონდონის სასამართლომ „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის — ჯულიან ასანჯის შვედეთში ექსტრადაციის გადაწყვეტილება მიიღო. შვედეთში მას სექსუალურ ძალადობაში სდებენ ბრალს.** ასანჯს მხოლოდ 7 დღე აქვს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მისი სარჩელი რა დაკმაყოფილდება, „ვიკილიქსის“ დამფუძნებელს 10 დღის ვადაში შვედეთის სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევს. ზოგიერთი ვარაუდით, აშშ-ში გასამართლების შემთხვევაში, მას სიკვდილით დასჯაც კი ელის. განაჩენი ასანჯს ბრიტანელმა მოსამართლე ჰოვარდ რიდელმა გამოუტანა.



პეტრე მამრაძე:
მინდა ხაზი გავუსვა, რომ თუკი ეს მე არ მსმენია, იმის გარანტი სულაც არ არის, მსგავსი ხელშეკრულება არსებობდეს, ან პირიქით — არ არსებობდეს.

მხილება
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ზურაბ ნოღაიდელს 7 წლამდე პატიმრობა ემუქრება

**ზურაბ ნოღაიდელს ყოფილი თანაპარტიელები ახალ ბრალდებებს უყენებენ. საქმე ფინანსურ დარღვევებს ეხება, რისი დეტალებიც მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ნოღაიდელისთვის ფინანსური დოკუმენტაციის ამაოდ მოთხოვნით გაწბილებულმა პარტიის წევრებმა საბანკო ანგარიშები ამოყარეს. „საქართველო და მსოფლიოსთან" სკანდალის დეტალებზე „მოძრაობა სამართლიანი საქართველოს" სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან კუდუხაშვილი ექსკლუზიურად საუბრობს. ბატონი ლევანის მიერ მოწოდებული დეტალების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ნოღაიდელის მიერ შემუშავებული და განხორციელებული ფინანსური სქემის ოპერატიულად გაშიფვრა.**

**ლევან კუდუხაშვილი:**

— 2010 წელს, როცა „კარდაკარის" ხელფასების გაუცემლობაზე სკანდალი დაიწყო, ჩვენ — სარევიზიო კომისიამ ზურაბ ნოღაიდელს მივმართეთ, გადმოეცა ფინანსური დოკუმენტაცია (ეს იყო სექტემბერში), რაზეც ნოღაიდელმა უარი განაცხადა. **ამან საფუძვლიანი ეჭვი გააჩინა, რომ პარტიას სერიოზული ფინანსური დარღვევები ჰქონდა, კერძოდ კი საქმე უკანონო გადარიცხვებს ეხებოდა. მართლაც, საბანკო ანგარიშების შემოწმებისას გავარკვიეთ, რომ ნოღაიდელი ყოველთვიურად მის მიერ დაფუძნებულ ფირმა „N კონსალტინგს" პარტიის კუთვნილ შემოწირულობას, დაახლოებით 20 ათას ლარს, ურიცხავდა.** გადარიცხვის მოტივი თითქოს იჯარები იყო, თუმცა ჩვენთვის დღემდე გაურკვეველია, რა იჯარებზეა საუბარი და ამ თანხის საფასურად რას ქირაობდა პარტია ფირმა „N კონსალტინგისგან". მინდა, აქვე აღვნიშნო, რომ ნოღაიდელი N„N კონსალტინგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ, ხოლო მისი მეუღლე, ნინო ცინცაბაძე-ნოღაიდელი — სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

**ნოღაიდელმა პარტიიდან თანხის საკუთარ ფირმაში გადარიცხვა მანამდე დაიწყო, ვიდრე პარტია საარჩევნო ბარიერს გადალახავდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდებოდა, თუმცა გადარიცხვა, როგორც აღმოჩნდა, ბიუჯეტიდან დაფინანსების შემდგომაც გაგრძელდა, ბოლო ფინანსური ოპერაცია 2010 წლის 22 დეკემბერს დაფიქსირდა. თანხა თურმე მთელი 15 თვის მანძილზე ირიცხებოდა პარტიიდან ფირმაში და საბოლოოდ 322 ათასი ლარი შეადგინა.** გარდა ამისა, პარტიის შემოწირულობებიდან სოლიდური თანხები, რომლებიც თითქოს სოციალურ კვლევებსა და პარტიის სხვა ხარჯებს მოხმარდა, გარკვეულ ეჭვს ბადებს, რადგან პარტიას დღეს სოციალური კვლევის ვალი 44 ათასი ლარი აქვს, რამდენადაც ვიცი, გოჩა ცქიტიშვილის, ხოლო 100 ათასამდე — სტამბის დავალიანება.

როცა 2010 წლის 23 დეკემბერს იგი რიგგარეშე ყრილობაზე გამგეობის თავმჯდომარეობიდან გადავაყენეთ, შემდეგაც მივმართეთ ფინანსური დოკუმენტაციის გადმოსაცემად, მაგრამ ამაოდ. ამიტომ წინა კვირას საბუთების მოსაპოვებლად ჩვენ სარჩელი სასამართლოში შევიტანეთ, სარჩელი ასევე ეხება პარტიის ქონების, ლოგოს და ა. შ. გადმოცემას. მანამ კი სარჩელი შეტანილი გვქონდა სახელფასო, სტამბისა და საერთოდ არჩევნებამდე არსებული დავალიანებების შესახებ".

ნოღაიდელის დაარსებული ფირმის „N კონსალტინგის" შესახებ, რომელიც იშიფრება როგორც „ნოღაიდელი კონსალტინგი", ინფორმაცია ძალინ მწირია. ფირმის ირგვლივ უამრავი კითხვის ნიშანი არსებობს. „ნოღაიდელი კონსალტინგი", როგორც თავად ფირმის წარმომადგენლობა განმარტავს, ბიზნესსაზოგადოებისთვის ინოვაციების მიწოდებაზე ორიენტირებული კომპანიაა და თავის კლიენტურას საშუალებას აძლევს, რეალობად აქციონ საკუთარი მიზნები და სურვილები... თუმცა ნაკლებ სავარაუდია, ნოღაიდელს ფული იმისთვის დაეხარჯა, რომ მოქალაქეებს ბიზნესკონსულტაციები გაეწიოს. მითუმეტეს, როცა იგი საქართველოს ეკონომიკურ საკითხებში კარგადაა ჩახედული და იცის, ქვეყანაში საკონსულტაციო ფირმა მოგების მომტანი იმ უბრალო მიზეზით ვერ იქნება, რომ ქვეყანაში არ არსებობს თავისუფალი ბიზნესი და საწყისი ბიზნესის ხელშეწყობა.

თუკი ნოღაიდელი „N კონსალტინგს" ცრუ მეწარმეობისთვის იყენებდა, ამ ქმედებას, უფრო სწორად დანაშაულს, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის" 193-ე მუხლი შემდეგნაირად განმარტავს — **„ცრუ მეწარმეობა, ესე იგი, საწარმოს შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების, ანდა აკრძალული საქმიანობის დაფარვის მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე".**

კულუარული ინფორმაციის თანახმად, **„N კონსალტინგს" 300 ათასი ლარი სწორედ სატელევიზიო აპარატურის შესაძენად დაუხარჯავს, (ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პარტიიდან „N კონსალტინგში" 15 თვის მანძილზე 322 ათასი ლარი გადაირიცხა), რითაც დღეს ტელეკომპანია „მაესტრო" სარგებლობს.** აქედან გამომდინარე, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ტექნიკა პარტიის კუთვნილი თანხითაა შეძენილი. ამ ჩახლართული გზით ნოღაიდელს საშუალება მიეცა, პარტიის თანხები ფირმაში „კანონიერად" გადარიცხვით ჯერ საკუთრებაში გადაეტანა, შემდეგ ამ თანხით შეძენილი აპარატურით სარგებელი ენახა — „მაესტროდან" აღებული ფულადი იჯარის სახით ან პარტიის მიერ საეთერო დროის გამოყენებით (თუმცა მოძრაობას საეთერო დრო არ გამოუყენებია!)

არადა, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის" 220-ე მუხლით, ეს ქმედება **(უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია)** ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

182-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, მითვისება ან გაფლანგვა **„სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება იმყოფებოდა მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში",** ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით, ვადით სამ წლამდე ან — თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

**კულუარული ინფორმაციის თანახმად, „N კონსალტინგსა" და „მაესტროს" შორის არსებობს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, „მაესტროს", იჯარის საფასურის სანაცვლოდ, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" საეთერო სივრცე უნდა დაეთმო, თუმცა ნოღაიდელმა ჯერ გაურკვეველი მიზეზების გამო გული „აიცრუა" „მაესტროს" ეთერზე და პარტიას რეალურად მისი კუთვნილი ეთერი არ გამოუყენებია.**

როგორც ჩანს, ნოღაიდელმა „მაესტროს" სანაცვლოდ იჯარის ფულადი ანაზღაურება მოსთხოვა, რითაც მხოლოდ „N კონსალტინგი" ისარგებლებდა, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პარტიას სამართლებრივად უფლება არ აქვს სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდეს, მას თანხის გაცემა შეუძლია მხოლოდ მიზნობრივად.

ნოღაიდელი ამ „უფლებით" სარგებლობდა იმ განსხვავებით, რომ პარტიის თანხებს, სავარაუდოდ, არამიზნობრივად იყენებდა. შედეგი სახეზეა: ათასობით ადამიანი ხელშეკრულებით დანიშნული ხელფასის გარეშე დარჩა და პარტიას სხვა ვალებიც „აეკიდა". ამას თავად პარტიის წევრებიც ადასტურებენ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ **„მაესტროს" დირექტორი ბაჩო კიკაბიძე** გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან" ტელეკომპანიისა და ფირმა „N კონსალტინგს" შორის ხელშეკრულების არსებობას უარყოფს, თუმცა დასმულ კითხვაზე რატომღაც გაკვირვება არ გამოუხატავს და მოკლე პასუხით შემოიფარგლა „არა".

რაც შეეხება ნორაიდელის მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით, „საქართველო და მსოფლიოს" მასთანაც აქვს შეკითხვები, მაგრამ ექს-პრემიერთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. ჩვენ მის გამორჩეულ თანამებრძოლს — **პეტრე მამრაძეს** ვესაუბრეთ.

**— ბატონო პეტრე, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ტელეკომპანია „მაესტროსა" და ფირმა „N კონსალტინგს" შორის არსებობს ხელშეკრულება, რომელიც ეხება სატელევიზიო ტექნიკას. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამის შესახებ?**

— პირველად მესმის მსგავსი რამ. პარტიაში მე საგარეო პოლიტიკის თემებზე ვმუშაობ და პოლიტიკურ ანალიზს ვაკეთებ. აქედან გამომდინარე, ტექნიკურ საკითხებთან შეხება არ მქონია.

**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ ამ საკითხზე არასდროს არაფერი გსმენიათ?**

— დიახ, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა, რომ თუკი ეს მე არ მსმენია, იმის გარანტი სულაც არ არის, მსგავსი ხელშეკრულება არსებობდეს, ან პირიქით — არ არსებობდეს.

**როგორც ხედავთ, ბატონმა პეტრემ ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა. თუმცა იგი ამ ტაქტიკითაა ცნობილი — „არც მწვადს წვავს და არც შამფურს".**

თუკი დამტკიცდება „ნოღაიდელის სამკუთხედის" სქემის რეალობა, მაშინ პარტია, შესაძლებელია, „მაესტროს" მეწილეც კი გახდეს, ხოლო ნოღაიდელი სისხლის სამართლის პასუხებაში მიეცეს და 4-დან 7 წლამდე პატიმრობა დაემუქროს.

**ეკა რობაქიძე**




მოკლედ

## ტორშინი სააკაშვილს ადანაშაულებს



რუსეთის ფედერაციის საბჭოს ვიცე-სპიკერი ალექსანდრე ტორშინი აცხადებს, რომ „დომოდედოვოს აეროპორტის მოფრენის ზონაში განხორციელებული ტერაქტი საქართველოს მმართველმა რეჟიმმა მოამზადა". მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილი რუსეთისადმი სიძულვილს არ მალავს და, ვინაიდან ქართული ღვინო საზღვარგარეთ ცუდად იყიდება, ხოლო საქართველოში სხვა მეტი არაფერია, სააკაშვილმა ანტირუსული განწყობილება იმ საქონლად აქცია, რომელიც დასავლეთში ჯერ კიდევ იყიდება.

## გერმანიის თავდაცვის მინისტრი გადადგა

**გერმანიის თავდაცვის მინისტრი კარლ-თეოდორ ცუ გუტენბერგი თანამდებობიდან გადადგა.** „საუბარში, რომელიც მეგობრულ ტონალობაში გაიმართა, კანცლერი ანგელა მერკელი საქმის კურსში ჩავაყენე იმის შესახებ, რომ უარს ვაცხადებ ჩემს პოლიტიკურ თანამდებობებზე და ვთხოვ, გადადგომის უფლება მომცეს. ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული გადაწყვეტილებაა. მე მუდამ მზად ვიყავი ბრძოლისთვის, მაგრამ საკუთარი ძალები ამოვწურე," — განაცხადა გუტენბერგმა.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**რესტორან „მეიდანში“ დახარჯულია 10 000 ლარი, საბანკეტო მომსახურებისთვის რესტორან „ვონგში“ — 447, რესტორან „მცხეთა სიტიში“ — 4 836, რესტორან „ოვალში“ — 1 047, რესტორან „წისქვილში“ — 1 198 და 1 644, რესტორან „ქალაქურში“ — 3 000, რესტორან „მასპინძელში“ — 1000, „პურის სახლში“ — 2 000, „ვონგში“ — 2 000, „მეტეხის ჩრდილში“ — 2 500...**



# ბიუჯეტის ხარჯზე შეძენილი HUGO BOSS-ის ქოლგა და ვერას კანტორაში დალეული 120 ათასი ლარის ყავა

**საქართველოს პარლამენტის სასახლე ბალანსზე 90 811 609 ლარად არის აყვანილი. ამ შენობაში ყოველწლიურად მტკიცდება რამდენიმე მილიარდიანი ბიუჯეტი და მთავრობის წევრთა ასეულობით მილიონიანი ხარჯები. „საქართველო და მსოფლიომ“ თვალი გადაავლო, როგორ გადანაწილდა საკანონმდებლო ორგანოში შარშან რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის დამტკიცებული თანხები.**

ფუფუნებას არც ამ 90-მილიონიანი შენობის მკვიდრნი იკლებენ, მაგრამ საკანონმდებლო ორგანო არ ახმაურებს ინფორმაციას პარლამენტის წევრთა შემოსავლებზე (იგულისხმება სახელფასო დანამატები, პრემიები). „არგახმაურების“ საფუძვლად კი საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის II პუნქტს იშველიებს...

**ქვეყნის პრეზიდენტი ქვეშევრდომთ სანიმუშო მაგალითს აძლევს, თუ როგორ უნდა იხარჯებოდეს მოქალაქეების დატერორებით შევსებული ბიუჯეტი და შემდეგ როგორ უნდა დაირღვეს კანონი საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, რომ მათი ფუფუნება მშიერი ხალხისთვის საიდუმლოდ დარჩეს.**

ბიუჯეტის, სახელფასო ფონდებისა და პრემიების, მივლინებების, სარეზერვო ფონდების, ავტოპარკის, საკომუნიკაციო ხარჯების, სახელმწიფო შესყიდვებისა და ტენდერების, სახელმწიფო ქონების, დაფინანსებული ღონისძიებების, სახელმწიფო პროექტებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციას მალავს შინაგან საქმეთა სამინისტროც. მერაბიშვილის უწყება „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ მხოლოდ მინისტრისა და მისი სამი მოადგილის ქონებრივ დეკლარაციებს აწვდის.

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს, მხოლოდ საკანცელარიო საქონელში 152 789 ლარი გადაუხდია; ჟურნალგაზეთების შეძენაში 11 513 ლარი და ეს მაშინ, **როდესაც პრეზიდენტის მიბაძვით, მთავრობის წევრები ქართულ გაზეთებს „არ კითხულობენ“, მათი ნაწილის ოპოზიციურობის გამო... თუკი ასეა, საინტერესოა, ეს თანხა ყვითელი გამოცემების შეძენაში დაიხარჯა?!** იუსტიციის სამინისტროს 9 თვეში 121 242 ლარის ქათრიჯი და ტონერი შეუძენია. ამაზეა ნათქვამი — „კანტორა პიშეტ“! საქალაქო სატელეფონო მომსახურებაში კი 108 050 ლარი გადაუხდია. ამ სამინისტროს შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება — 269 843 ლარი, ჩვეულებრივი საფოსტო მომსახურება — 95 000, საწვავი კი 602 731 ლარი უჯდება. ტრანსპორტის მიმდინარე რემონტზე, საბურავებზე, აკუმულატორებსა და ზეთებზე — 380 000, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე სამინისტრომ 1 199 235 ლარი დახარჯა.

**იუსტიციის სამინისტროს ხარჯები, მართალია, ლოგიკასთან შორს არის, მაგრამ გარკვეულ ახსნას ნაძალადევად მაინც ექვემდებარება. საპირისპიროა, ანუ გაცილებით მძიმე სურათია ვერა ქობალიას დაქვემდებარებულ უწყებაში. თავად განსაჯეთ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მორიგი დანიშნულების და სტუმრად მყოფი ოფიციალური დელეგაციების მომსახურებისთვის საწვავზე 221 825 ლარი დაუხარჯავს. ჯერ ერთი, რომ „სტრუქტურული მორიგე ერთეულები“, გაუგებარია, რას ნიშნავს და მეორე — საინტერესოა, რამდენი დელეგაცია ჩამოვიდა საქართველოში და რამდენჯერ გადასერა მან გარდიგარდმო საქართველოს ტერიტორია, რომ მათი ტრანსპორტირებისთვის მხოლოდ საწვავზე 221 825 ლარი დაიხარჯა?**

საწვავს ვინ ჩივის, ქობალიას სამინისტრომ ერთ კვარტალში 2 701 591 ლარის ღირებულების შესყიდვა განახორციელა. მათ შორისაა 3 885 ლარის გამაგრილებელი სასმელი „კოკა კოლასგან“, **30 ათასის ყავა, ნაღების ფხვნილი, ჩაი ბროწეულით, თაფლით და ა.შ.,** ასევე, 6 300 ლარის მინერალური წყალი დაულევიათ I კვარტალში ეკონომიკის სამინისტროში.

**ეკონიმიკის სამინისტროზეა ნათქვამი, ყავის (გნებავთ ჩაის) სმისა და ჭორაობის მეტს არაფერს აკეთებენო... ან რა უნდა აკეთონ იმ ქვეყნის ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლებმა, სადაც ეკონომიკა, როგორც ასეთი (წარმოებასა და თუნდაც განვითარებად ინდუსტრიაზე რომ არაფერი ვთქვათ), არ არის, გარდა ყავის სმისა?! თუმცა ქობალიას უწყებაში სხვა „გასართობიც“ აქვთ. ასე მაგალითად, ეკონომიკის სამინისტრომ 10.000 ლარი გადაიხადა სავიზიტო ბარათების დამზადებაში. საყოფაცხოვრებო სასაჩუქრე ჩანთაში, წყლისა და წვენების ჭიქებში შპს „გუდვილს“ სამინისტრომ 5 000 ლარი გადაუხადა. ქობალიას სამინისტრო შპს „გალერეა შარდენშიც“ იძენს ნივთებს. ამჯერად აზერბაიჯანის სახ. დროშა, ერთი სუვენირი და ორი მინიატურა სამინისტროს 1 575 ლარი დაუჯდა.**

ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროში დიდი მოთხოვნაა ალკოჰოლურ სასმელებზეც: ღვინო „საფერავი“ (780 ლარი), თეთრი ჭაჭა (900 ლარი); და კიდევ: სურათებსა და სუვენირები დაჯდა 1 750 ლარი, სასაჩუქრე შაშხანა — 1 308, სავიზიტო ბარათების ჩასადები (მომინარქნებული) — 437 ლარი. „გალერეა შარდენში“ შეძენილი სასაჩუქრე ჩანთები და კონვერტები სამინისტროს, შესაბამისად კი გადასახადის გადამხდელს, ანუ თითოეულ ჩვენგანს კვარტალში ათი ათასობით ლარი უჯდება. **მხოლოდ ავტომანქანების რეცხვაში ეკონომიკის სამინისტრო კვარტალში 18 000 ლარს იხდის. იგივე სამინისტრო თურმე ანსამბლებსაც ქირაობს, ანსამბლ „რუსთავის“ ღონისძიებაში მას 2 440 ლარი გადაუხდია, „ანჩისხატის“ გუნდის ღონისძიებაში მონაწილეობა კი 1 704 ლარი დაჯდა.**

**გადავხედოთ სამინისტროს რესტორნების ხარჯებსაც: რესტორან „მეიდანში“ დახარჯულია 10 000 ლარი, საბანკეტო მომსახურებისთვის რესტორან „ვონგში“ — 447, რესტორან „მცხეთა სიტიში“ — 4 836, რესტორან „ოვალში“ — 1 047, რესტორან „წისქვილში“ — 1 198 და 1 644, რესტორან „ქალაქურში“ — 3 000, რესტორან „მასპინძელში“ — 1000, „პურის სახლში“ — 2 000, „ვონგში“ — 2 000, „მეტეხის ჩრდილში“ — 2 500 და მრავალი სხვა.**

ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯები მხოლოდ ერთი კვატლის განმავლობაში დახარჯულ თანხებს ეხება, იგივე მდგომარეობაა მეორე კვარტალშიც. ეკონომიკის სამინისტრომ ჩაიზე და ყავაზე კვლავ 30 ათასი ლარი დახარჯა.

სამინისტრო მეორე კვარტალშიც იძენს „გალერეა შარდენში“ ძვირადღირებულ მინიატურებს, ასევე, ალკოჰოლურ სასმელებს, ყანწებსა და მობილურ ტელეფონებს. მესამე კვარტალშიც ჩაი და ყავა კვლავ 30 000 ლარი დაჯდა, მხოლოდ სავიზიტო ბარათებში ეკონომიკის სამინისტრომ კვლავ 10 000 ლარი გადაიხადა. ჩაიდანი, წვენებისა და წყლის ჭიქები მესამე კვარტალშიც დასჭირვებია და ამჯერად ამაში 5 000 ლარი დაუხარჯავს. ეს ბუნებრივიცაა.

**მართალია, ანალოგიური საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა წინა კვარტლებშიც ხდებოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, რასაც ყველაზე ხშირად ხმარობენ, სწორედ ის ნივთები უცვდებათ და 30 ათასი ლარის ჩაისა და ყავის დალევაში რა ჭურჭელმა უნდა გაძლოს?! თანაც, ხაზი უნდა გაესვას, რომ 30 ათასი ლარის ყავას ქობალიას უწყებაში ერთ კვარტალში სვამენ, წელიწადში კი ეს ციფრი 120 ათას ლარს ურტყამს...**

**თუმცა ყველაზე საინტერესო შენაძენი ქობალიას უწყებამ სწორედ მესამე კვარტალში გააკეთა. ესაა HUGO BOSS-ის ქოლგა 324 ლარად; 1 352 ლარის ღირებულების სათამაშო ასაწყობი მანქანები და კუბიკები შპს „ცეროდენაში“. 21 000 ლარს შეადგენს რესტორნების მომსახურების ხარჯები.**

როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ ბავშვის, უფრო სწორად, პრანჭია და კეკლუცი მოზარდი მინისტრის ხელში ეკონომიკის სამინისტროში შესაბამისი განწყობა სუფევს — **მასვი, მაჭამე, მალხინე ან მათამაშე „ცეროდენაში“ ნაყიდი ასაწყობი მანქანებითა და კუბიკებით!**

**კომენტარი, როგორც იტყვიან (324 ლარიანი HUGO BOSS-ის ქოლგისა არ იყოს), ზედმეტია და ჩვენც თავს აღარ შევაწყენთ ვერკა ქობალიას უწყების სხვა „აუცილებელი“ ხარჯების ჩამოთვლით, რაშიც ასევე მილიონობით ლარი იხარჯება, თუმცა, HUGO BOSS-ის ქოლგისგან განსხვავებით, ამ ხარჯებს ირაციონალური თუ არა, სიურეალისტური ახსნა მაინც აქვს...**

**სოფო გელაშვილი**

მოკლედ

## პროტესტი ინდოეთშიც დაიწყო

**მასობრივი საპროტესტო გამოსვლები ინდოეთშიც დაიწყო — პროფკავშირების გაერთიანებები დელის ქუჩებში ფასების ზრდას აპროტესტებენ.** საპროტესტო მარშის გამო, რომელიც 40 ათასამდე ადამიანს აერთიანებს, დედაქალაქის ქუჩები გადაიკეტა. პროფკავშირების ინფორმაციით, პროტესტის მთავარი მიზეზი საკვებ პროდუქტებზე ფასების მკვეთრი მატებაა. დემონსტრანტებს უჭირავთ წითელი დროშები, რომლებზეც ნამგალი და ურობა გამოსახული.



## სარკოზი ლიბიის წინააღმდეგ

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ევროკავშირს ლიბიის ხელისუფლების წინააღმდეგ სანქციების დაწესება მოსთხოვა.** ლიბიაში განვითარებული მოვლენების განხილვა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა 22 თებერვალს დაიწყეს. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკო ფრატინი აცხადებს, რომ ლიბიაში ამბოხებულებსა და ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს შორის შეტაკების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 1 000 ადამიანს აღწევს. თავად ლიბია გაცილებით ნაკლებ ციფრებს ასახელებს.

**ის ბუნება, რაც ხელისუფლებასა და მთავრობას აქვს, დამყარებულია ავტორიტარული მართვის რეჟიმზე, რომლისთვისაც კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებას, სხვისი აზრის გათვალისწინებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ავტორიტარული მართვა კი, ცხადია, ბევრ პრობლემას იწვევს. გარდა ამისა, ხელისუფლება განსხვავებული აზრის მიმართ სრულიად არალოიალურია. მოსაზრებებს თავიანთი სისტემის გარეთ აყენებენ. ამ შემადგენლობითა და მიდგომით საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოყვანის პერსპექტივა არ გააჩნია.**

ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# მალე ფასები უფრო გაიზრდება

## უმუშევრების არმიას ევროპიდან დეპორტირებული 200 ათასამდე ქართველიც შეემატება

**დღეისთვის ქართული ეკონომიკის მთავარი პრობლემა ინფლაციაა. ამას ემატება ქვეყანაში არსებული უმუშევრობის დონეც, გადასახადებისა და ფასების ზრდა. და ბოლოს, 1 მარტიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროკავშირთან ხელმოწერილი „რეადმისიის საფუძველზე“, ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაკადის დეპორტაცია სხვადასხვა ქვეყნებიდან, სავარაუდოდ, უმუშევრობის მაჩვენებელსა და სოციალურ ფონს კიდევ უფრო გააუარესებს. სადაა გამოსავალი, რისთვის ურიგდება მოსახლეობას ელექტროენერგიისა თუ სასურსათო ვაუჩერები და რა ეშველება ინფლაციას. ამის შესახებ სასაუბროდ ყოფილ ფინანსთა მინისტრს — დავით ონოფრიშვილს მივმართეთ.**



## დავით ონოფრიშვილი: რეალურ გამოსავალს მხოლოდ ხელისუფლების შეცვლაში ვხედავ

— ინფლაცია საქართველოში, პირველ რიგში, არის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი, რასაც წლების მანძილზე საქართველოს ხელისუფლება ეწევა. მიმაჩნია, რომ ნებისმიერ ქვეყანაში არსებული ინფლაცია ხელისუფლების უუნარობისა და უპასუხისმგებლობისგან არის გამოწვეული. შიდა ფაქტორებიდან მთავარია ის, რომ ბიუჯეტის დეფიციტი საკმაოდ დიდია და მას შევსება სჭირდება, ანუ ხდება ბიუჯეტის დეფიციტის შევსება და ზედმეტი ფულის მასა ხვდება მიმოქცევაში.

ხშირია „სხვა ხარჯები“ (ბიუროკრატიული ხარჯები და პრეზიდენტის ფონდის ხარჯები) ისეთ არაპრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორიცაა სასტუმროების მშენებლობა. ეს ხარჯები, როგორც წესი, მხოლოდ რამდენიმე ადამიანის სურვილის შესაბამისად გამოიყოფა, რეალურად კი ასეთი ღონისძიებების გატარება ეკონომიკას მძიმედ აწვება.

რაც შეეხება ინფლაციის მასტიმულირებელ გარე ფაქტორებს, რაც დღეს არსებულ ინფლაციურ პროცესებს გარკვეულწილად განსაზღვრავს, მსოფლიო ბაზარზე ფასები მართლაც გაიზარდა, თუნდაც საწვავსა და სასურსათო პროდუქტებზე. გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ სასურსათო ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქციის 80 პროცენტი იმპორტირებულია, ჩვენ დამოკიდებული ვართ მსოფლიო ბაზარზე. **საქართველოს მიერ წარმოებული ხორბალი 8 წლის წინათ მოთხოვნის 30-35 პროცენტს აკმაყოფილებდა. წელს ეს მაჩვენებელი 6-7 პროცენტია. ასევე, 20-30 პროცენტით შემცირდა კარტოფილის, ლობიოსა და ბოსტნეულის წარმოება, შემცირებულია ღორის, ცხვრისა და ფრინველის გამრავლებაც.** სწორედ ეს არის გაუთვლელი პოლიტიკისა და ცრუ ლიბერალური მიდგომების შედეგი, რასაც ქვეყნის ხელისუფლება ეყრდნობა. დღევანდელი ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა იყო, როცა მათ მოსვლისთანავე ჩათვალეს, რომ სოფლის მეურნეობა არ უნდა იყოს პრიორიტეტული დარგი.

**— ინფლაციის დონედ სახელდება 12 პროცენტი. მაგრამ, თუ დავაკვირდებით, მთელ რიგ პროდუქტებსა და მოხმარების საგნებზე ფასები გაცილებით გაზრდილია, მოსახლეობას კი შემოსავლის ზრდა არ უგრძნია, არც კომპენსაცია მიუღია მთავრობისგან. ამაზე უარესი სიტუაციაა იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური აფეთქებები მოხდა?**

— მართლას ბრძანებთ, ოფიციალური მონაცემებით, ინფლაცია 12 პროცენტია, თუმცა მთავრობა 6 პროცენტს ვარაუდობდა. ეს იმის მანიშნებელია, რომ არაკვალიფიციური და სათანადო განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების არმქონე ახალგაზრდებისგან შემდგარი გუნდი, ვერ აკონტროლებს ინფლაციის პროცესებს და მართვის მექანიზმიც გაექცათ ხელიდან. **რაც უფრო მეტად გაჭირვებულია ადამიანი, მისთვის მით მეტია ინფლაციის დონე, რადგანაც ძირითად სასიცოცხლო პროდუქტებზე ფასების ზრდამ საშუალოდ 30-50 პროცენტი მაინც შეადგინა ერთი წლის განმავლობაში.** ფაქტია, რომ წიწიბურას ფასი გასამმაგებულია, შაქრის — გაორმაგებული, გაძვირდა პური და ხორბლის ფასის ზრდასთან ერთად კიდევ უფრო გაიზრდება. ასევე გაიზარდა და კვლავ გაძვირდება ხახვი, ზეთი, კარტოფილი, ნიორი და ასე შემდეგ. ბიუჯეტში დამატებითი ღირებულების გადასახადთან მიმართებაში, არარეალურად მაღალი ციფრია ჩადებული. არ გამოვრიცხავ, რომ მთავრობა შეგნებულად მიდის ე.წ. ინფლაციური გადასახადის ამოქმედებისკენ.

თუმცა მთლიანობაში, მაინც მგონია, ინფლაციის მიზეზი არის არაპროფესიონალიზმი და მცდარი შეხედულება საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებზე. ერთის მხრივ, **დეკლარირებულია ვითომ ლიბერალური პრინციპების შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, სინამდვილეში კი ტარდება ავტორიტარული ეკონომიკური პოლიტიკა, მთავრობა ერევა ყველაფერში, რისი სურვილი ან ინტერესი აქვს.** ეს ყველაფერი ხელს უწყობს მონოპოლისტების მიერ ფასების გაზრდის წახალისებას, რაც თავისთავად ინფლაციის წამახალისებელიცაა. როგორც წესი, მონოპოლისტები აწესებენ მაღალ ფასს, რაც ჩვენთან ხდება სურსათის, საწვავის, კავშირგაბმულობის, ინტერნეტ, ფარმაცევტულ და სხვა ბაზრებზე.

განცხადებები, რომლებიც მთავრობის წევრების მხრიდან ხშირად კეთდება, სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს. პრეზიდენტმა ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს მთავრობას ანტიინფლაციური პროგრამის შემუშავება დაავალა, თუმცა ფაქტია, რომ ასეთი პროგრამა არ შემუშავებულა და, როგორც ჩანს, ვერც შეიმუშავებენ, რადგან, მათი გაგებით, ჩვენთან ინფლაცია თურმე ჩინეთის მოსახლეობის კუჭის მოთხოვნილების ზრდაზე ყოფილა დამოკიდებული. ის მოსახლეობა, რომლის შემოსავლის ნახევარზე მეტი მიდიოდა საკვებ პროდუქტებზე, უმძიმეს მდგომარეობაშია და ამ ვითარებას კეთილი ბოლო არ უჩანს.

**ცხადია, ეს სოციალური აფეთქების სერიოზულ რისკს ქმნის. მითუმეტეს, როგორც აღნიშნეთ, არანაირი ზრდა ბიუჯეტურ დაფინანსებაში არ არის არც პენსიონერებისთვის, არც სოციალურად დაუცველებისთვის, არც კომპენსაცია არ გამოყოფილა.** ფაქტობრივად, ხალხს იგივე შემოსავალი დარჩა ან საერთოდ დაკარგა შემოსავალი. ეს იმის მანიშნებელია, რომ სიღარიბე კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოში. ოფიციალური სტატისტიკით, სიღარიბის ზღვარზე და მის მიღმა მყოფი ერთი მილიონ რვაასი ათასი ადამიანიდან (რაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს) მხოლოდ 20 პროცენტი იღებს ხელისუფლებისგან დახმარებას, ისიც არასაკმარისს. ამდენად, ძალიან მძიმე ფონია და ვერ ვხედავ, რომ მთავრობა რეალურად ჩამოყალიბებული ხედვებით ან პროგრამებით ამას ებრძოდეს.

**— ამ შემთხვევაში ფიქრობთ თუ არა, რომ მოსახლეობაში ელექტრო და სასურსათო ვაუჩერების დარიგება ხელისუფლებამ სოციალური აფეთქებისგან თავის გადასარჩენად მოიფიქრა? თქვენ რამდენიმე თვის წინათ ერთ-ერთი პირველი აცხადებდით, რომ ეკონომიკური კრიზისი სოციალურ კრიზისში გადაიზრდება და მძიმე შედეგებამდე მივალთ, თუ შესაბამისი ნაბიჯები არ იქნებოდა გადადგმული. რამდენად არის ეს მოსალოდნელი საქართველოში? ნუთუ აფრიკისა და ევროპის ქვეყნებში უფრო მძიმე სოციალური ფონია?**

— ოცი წლის წინანდელი ტალონების პერიოდიც მინდა გაგახსენოთ. როცა ამგვარ ღონისძიებებს მიმართავს და ტალონების თუ ვაუჩერების დარიგებას იწყებს მთავრობა, ეს იმის მანიშნებელია, რომ ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია და სხვა ზემოქმედების მექანიზმების გამოყენების უნარი და საშუალება არ გააჩნია. რა თქმა უნდა, ვაუჩერი ინფლაციას ვერ შეაჩერებს. ეს მხოლოდ სოციალური ფონის როგორღაც დასამშვიდებლად მოფიქრებული ღონისძიებაა. ტელევიზიებიდან, მედიის სხვა საშუალებებითაც და ქუჩაშიც ისმენთ მოსახლეობის აზრს, რომ 20 და 30 ლარით პრობლემა ვერ მოგვარდება. არსებული ტარიფებით 1 თვის გადასახადსაც კი ვერ დაფარავთ სრულად. სხვა უფრო ქმედითი ნაბიჯები ჯერ მთავრობას მოსახლეობის დასახმარებლად არ გადაუდგამს.

სამწუხაროდ, საქართველოში დღეს უფრო ნიჰილიზმი და შიშია გაბატონებული. ამას ემატება ისიც, რომ 2007 წლიდან რიგმა პოლიტიკური ლიდერებისა ხალხის ნდობა ვერ გაამართლეს, ხალხს რეალური ცვლილებების პოლიტიკური გზა ვერ დაანახეს. ჩემი აზრით, დღესაც ეს არის მიზეზი იმისა, რომ პოლიტიკური პროტესტის მუხტი არ იგრძნობა. თუმცა, ბევრად გაზრდილია სოციალური უკმაყოფილების მუხტი.

**ფასების ზრდის გარდა, უკმაყოფილებას იწვევს ისიც, რომ გაერთიანებული ქვითრებით ხდება კომუნალური გადასახადების ამოღება. ეს არის ადამიანის უფლებების დარღვევა და არანაირი კანონიერი საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოში ამგვარი ანალოგია არსად შემხვედრია.** ესენი სხვადასხვა კომპანიაა, რომლებსაც თითქოს არანაირი კავშირი არ აქვთ ერთმანეთთან. გაზის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, გაზი უნდა გაგითიშონ, შუქის გადაუხდელობის შემთხვევაში — ელექტროენერგია. გარდა ამისა, სხვა საკითხია გადასახადების ოდენობაც, რადგან გაზზეც, ელექტროენერგიაზეც ნაწილობრივ ტარიფის დაწევა რეალურად შესაძლებელია, თუმცა 5 და 10 თეთრამდე დაწევა ვერ მოხერხდება.

**— 1 მარტიდან ძალაში შევიდა „რეადმისიაზე“ ხელმოწერა, რის საფუძველზეც, ერთის მხრივ, უნდა გაადვილდეს ევროპის ვიზების აღების პროცედურა, მეორე მხრივ კი, ამ ხელშეკრულებით ევროპიდან საქართველოს მოქალაქეებს, არალეგალ ემიგრანტებს უპირობო დეპორტაცია ემუქრებათ. არის თუ არა ეს საქართველოში უმუშევრობის ზრდისა და სოციალური აფეთქების წინაპირობა?**

— პირველი თვეებიდანვე მასობრივი დეპორტაცია, არა მგონია, მოხდეს, მაგრამ უახლოეს პერიოდში უნდა ველოდოთ იმაზე მეტი ხალხის ნაკადს, ვიდრე წინა თვეებში ან წლებში ჩამოდიოდა საქართველოში ევროპის ქვეყნებიდან. **მათი ზუსტი რაოდენობა, სამწუხაროდ, არავინ იცის, მაგრამ, ალბათ, დაახლოებით 200 ათასზე მეტი ადამიანი იქნება, ვისაც დეპორტაცია ემუქრება. ჩემთვის და საზოგადოებისთვისაც ნაკლებად ცნობილია, რამდენად მზად არის ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ამ ადამიანების მისაღებად და დასასაქმებლად.** ფაქტია, უმრავლესობას ოჯახი ჰყავს. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრს საცხოვრებელი ფართიც არ გააჩნიათ, რადგან სახლების გაყიდვის ფასად წავიდნენ ემიგრაციაში. უმუშევრობა თუ დღეს 30 პროცენტს აჭარბებს, ფაქტობრივად, უმუშევართა არმიას დაბრუნებულთა დიდი რაოდენობაც მიემატება. ეს კი, ბუნებრივია, კიდევ უფრო დაამძიმებს სოციალურ სურათს.

**— გამოსავალს რაში ხედავთ? როგორც ეკონომისტს, თუ შეგიძლიათ რეკომენდაცია მისცეთ ხელისუფლებას, ეგებ, გასართობი პროგრამების ნაცვლად სოციალურ პროექტებზე გარკვეული დაფინანსების წარმართვით ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსიდან იხსნან?**

— ეჭვი მეპარება, რომ ხელისუფლებამ ვინმეს რჩევები გაითვალისწინოს. თუმცა (არა მარტო ჩემი) ბევრი ცნობილი ექსპერტის მოსაზრებები ქვეყნდება ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ქვეყნის ბიუჯეტის პრიორიტეტებზე და ა.შ. მაგრამ ის ბუნება, რაც ხელისუფლებასა და მთავრობას აქვს, დამყარებულია ავტორიტარული მართვის რეჟიმზე, რომლისთვისაც კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებას, სხვისი აზრის გათვალისწინებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ავტორიტარული მართვა კი, ცხადია, ბევრ პრობლემას იწვევს. გარდა ამისა, **ხელისუფლება განსხვავებული აზრის მიმართ სრულიად არალოიალურია. მოსაზრებებს თავიანთი სისტემის გარეთ აყენებენ. ამ შემადგენლობითა და მიდგომით საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოყვანის პერსპექტივა არ გააჩნია.**

ამდენად, რეალურ გამოსავალს მე მაინც მხოლოდ ხელისუფლების შეცვლაში ვხედავ. ხომ ფაქტია, რომ 7-8 წელი ეს ხელისუფლება სასიკეთოს ვერაფერს აკეთებს. ჯერ ინიშნებიან მინისტრებად და შემდგომ მიდიან უცხოეთში ცოდნის მისაღებად. პირიქით რომ იყოს, ბევრად უკეთესი იქნებოდა. პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ასევე, პოლიციის დეპოლიტიზაციას და კანონიერი, სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. ასეთ შემთხვევაში ის ძალები მოვლენ, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ ქვეყნის მდგომარეობის შეცვლა.

ესაუბრა
**ნინო ცხოიძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**„აბა, დაფიქრდით, ოპოზიცია არ არსებობს, საზოგადოება დაილალა თუ, არ ვიცი, რა სჭირს, ვინ უშლის სააკაშვილს, რომ ერთ მშვენიერ დღეს იმპერატორობა მოინდომოს და გამოგვიცხადოს, კონსტიტუცია ფეხებზე მკიდია, სანამდეც მინდა, ვიქნებიო. თქვენ ფიქრობთ, რომ დასავლეთი — ევროპა და ამერიკა პასუხს მოსთხოვს?!“**

## დავით სოკოლოვი:

# სააკაშვილს ვაშინგტონისგან ავტორიტარიზმის ექსკლუზიური უფლება აქვს მიღებული

**სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით, საქართველოში არსებულ მდგომარეობასა და ზოგადად ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ცნობილი ტელეწამყვანი, ქართული ტელე-რადიო მაუწყებლობის ცოცხალი მატიანე დავით სოკოლოვი.**

## ვადაზე ადრე კი არა, ოპოზიციის შემყურე, იმაზე უნდა ვილოცოთ, რომ ესენი კონსტიტუციური ვადის ამოწურვის შემდეგ მაინც წავიდნენ



**— ბატონო დავით, ბოლო დროს ოპოზიციის მხრიდან სულ უფრო იშვიათად კეთდება განცხადებები იმის თაობაზე, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში მედიის თავისუფლების თვალსაზრისით; ხელისუფლება კი მუდმივად გვიჩიჩინებს, რომ ამ კუთხით არა თუ ჭაობში არ ვართ, არამედ თვით დემოკრატიის აკვნად და მედროშედ წოდებულ ამერიკასა და ევროპის ქვეყნებსაც არ ჩამოვრჩებით. თქვენი აზრით, რამდენად დაცულია დღეს საქართველოში სიტყვის თავისუფლება და რა პერსპექტივებს გვიქადის ამ თვალსაზრისით დღევანდელი რეალობა?**

— გააჩნია, რა კუთხით შევხედავთ ამ ყველაფერს. **თუ სიტყვის თავისუფლებას დავარქმევთ იმას, რომ სამი „ნაციონალური ტელევიზია“ ენაგადმოგდებული ფეხდაფეხ დასდევს სააკაშვილს, გაუშუქებელს არ ტოვებს მის მიერ არც ერთი ახალი შენობის გახსნასა თუ გამოქვაბულში ჩატარებულ მთავრობის სხდომას, არ ვიცი, თუ არა და იმას, რასაც ეს სამი არხი, — „რუსთავი 2“, „იმედი“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აკეთებს, არა თუ საერთო არ აქვს სიტყვის თავისუფლებასთან, არამედ ეს არის რაღაც წარმოუდგენელი სიბინძურე, ფსიქოზი, რომელიც აშტერებს და ტვინს ურეცხავს ადამიანებს.** ნახეთ, რას აკეთებენ ამ სამი ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებები? — ყოველდღე გვესმის ერთი და იგივე — სადღაც რაღაც ფაბრიკა გაიხსნა, ქარხანა ამუშავდა, ხიდი გაკეთდა, გზა გარემონტდა... მოკლედ, ერთი კაბინეტიდან გამოდის ტექსტი სამ ეგზემპლარად; პრობლემები კი თურმე საერთოდ არ არსებობს ამ ქვეყანაში — მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი თურმე უმუშევარი არ ყოფილა და არც შიმშილობს... აი, ეს არის ამათი პოლიტიკა და სიტყვის თავისუფლება...

რაც შეეხება პერსპექტივას, არ მინდა, ზედმეტად პესიმისტური ვიყო, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ხელისუფლება ვერა და ვერ ეგუება თავისუფალ, მისგან დამოუკიდებელ და არაკონტროლირებად მედიას, რისი ნათელი მაგალითიც იგივე ტელეკომპანია „იმედია“, ამიტომ, სანამ ქვეყნის სათავეში ესენი იქნებიან, ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ, სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით, ხვალ და ზეგ აქ რამე პოზიტიური ძვრები დაიწყება. ეს არ მოხდება, პირიქით, რაც დრო გადის, ეს ქვეყანა უფრო და უფრო ღრმად იძირება ავტორიტარიზმის ჭაობში...

**— გასაგებია, მაგრამ რატომ აცხადებენ ჩვენი დასავლელი „ძმები“ და „მეგობრები“, რომ საქართველოში სიტყვის თავისუფლების კუთხით ყველაფერი ნორმალურადაა?**

— სხვათა შორის, ვაპირებ, ამ თემაზე წერილი გავაკეთო და მინდა, ასე დავიწყო: **ძირს დემოკრატია, ვინაიდან ის, რასაც ესენი გვტენიან და გვაჩეჩებენ, თუ მართლა დემოკრატიაა, მაშინ მე, როგორც ამ ქვეყნის ერთ რიგით მოქალაქეს, არ მინდა და წინააღმდეგი ვარ, რომ საქართველოში დემოკრატია იყოს.** ისე, პირადად ჩემთვის გაუგებარი ნამდვილად არ არის, თუ რატომ აცხადებენ დასავლელი პოლიტიკოსები, რომ საქართველოში სიტყვის თავისუფლება დაცულია, — მათ, უბრალოდ, ფეხებზე ჰკიდიათ, აქ რა ხდება და რა დღეშია ხალხი, სააკაშვილი კი, როგორც მათი იდეების გამტარებელი, ერთგული ხელქვეითი და მარიონეტი, აწყობთ და, ბუნებრივია, მისი გავლენის შესუსტება არაფერში სჭირდებათ. **ეს არის და ეს, ამიტომაცაა, რომ სახელგაგანთქმულ დიპლომატებსა და ექსპერტებს ფეხი ჩამოდგმულიც არ აქვთ თვითმფრინავიდან, რომ აეროპორტიდანვე აკეთებენ განცხადებებს, საქართველო დემოკრატიის შუქურააო... წყევლასავით გამომდის, მაგრამ დღეს თუ საქართველოში დემოკრატიაა, იმაზე უკეთესი არაფერი ენახოთ, რაც აქ ხდება, დემოკრატიის თვალსაზრისით...**

**— მესმის თქვენი გულისწყრომა, მაგრამ, მგონი, არ იქნება სამართლიანი, მარტო დასავლეთს დავაბრალოთ აქ დემოკრატიის არარსებობა. თქვენი აზრით, ხომ არ არის ოპოზიციის სისუსტეც ამის ხელშემწყობი ფაქტორი?**

— არ ვიცი, რომელ ოპოზიციას გულისხმობთ, მაგრამ მე, პირადად, ქვეყანაში ვერ ვხედავ ძალას, რომელსაც შეიძლება მართლა ოპოზიცია უწოდო. სამწუხაროდ, რეალობა ასეთია, — სახეზეა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ყველაფერი მის ხელშია, სხვა პოლიტიკური ძალა ასპარეზზე, უბრალოდ, არ არსებობს.

**— მაშ, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებენ? თქვენ რას დაარქმევდით მათ?**

**— არ მინდა კონკრეტული პიროვნებები ან თუნდაც პარტიები დავასახელო, მაგრამ არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ყველა იმ უბედურებაში, რომელიც დღეს ქვეყანაში ტრიალებს, დამნაშავე სწორედ ის ადამიანები არიან, თავი რომ ოპოზიციონერებად მოაქვთ და სინამდვილეში ხელისუფლების ყურმოჭრილი მონები და ლაქიები არიან. მათი დამსახურებაა ის, რომ დღეს სააკაშვილს თავი ქუდში აქვს გაყოფილი, თორემ, ამათ რომ თავის დროზე, როცა ხალხი ქუჩაში იდგა და ყველაფრისთვის მზად იყო, მილიონების სანაცვლოდ რაღაც ბინძური „ფოკუსები“ არ ჩაეტარებინათ, ახლა, შეიძლება ასეთ დღეში არ ვყოფილიყავით. ვიმეორებ, ჩემთვის ეს ადამიანები სანდონი არ არიან და, ღმერთმა დამიფაროს, მათ გვერდით ვიდგე...**

**— მოკლედ, თქვენ ყველაფერს ოპოზიციის შეცდომებს აბრალებთ.**

— არა, შეცდომა სხვა რამეა, ესენი კი ყველაფერს შეგნებულად აკეთებდნენ და ყოველთვის ზუსტად იცოდნენ, რა მოჰყვებოდა მათ ამა თუ იმ ქმედებას. მე მთლიანად ოპოზიცია მყავს მხედველობაში. ასე რომ, შეცდომებზე ლაპარაკიც ზედმეტია; **ის, რაც ოპოზიციამ გააკეთა, დაწყებული 2009 წლის ოთხთვიანი აქციებით, დამთავრებული 30 მაისის არჩევნებში მონაწილეობითა და შემდეგ საკრებულოში შეცუნცულებით, იყო დანაშაული ჩადენილი ხალხის წინააღმდეგ და ამის პატიება, უბრალოდ, შეუძლებელია.**

**— გამოდის, რომ გულხელდაკრეფილი უნდა ვიჯდეთ და ველოდოთ, როდის მოგვივლენს უფალი სასწაულს?**

— იცით რა, არავინ არ ფიქრობს და არ მსჯელობს იმაზე, თუ რა სჭირდება დღეს ყველაზე მეტად საქართველოს... მე პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ მგონია, რომ ეს ერთი ადამიანის გადასაწყვეტი არ არის, ისტორიის მქონე ერი ვართ, ნიჭიერი ხალხიც ბევრი გვყავს და გამოცდილიც. **უნდა შეიკრიბონ ასეთი ადამიანები, ჩამოაყალიბონ რამე კრებისმაგვარი და საზოგადოებასთან, სრულიად ქართველობასთან შეთანხმებულად გადაწყვიტონ, რა გვინდა და საით წავიდეთ.** სხვა გამოსავალი არ ვიცი, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ამის გამკეთებელი მეგულება აქ ვინმე. ასე რომ, თქვენი თქმისა არ იყოს, მართლაც გულხელდაკრეფილი უნდა იჯდეს დღეს მთელი საქართველო. გვინდა თუ არა, ასე გამოდის...

**— რადგან კრების ჩამოყალიბებაზე საუბრობთ, „სახალხო კრებაზეც“ გკითხავთ: თქვენი აზრით, რას წარმოადგენს დღეს იგი რეალურად ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში?**

— სიმართლე გითხრათ, მე თავიდანვე ვერ მივხვდი, რისთვის შეიქმნა და რა მიზანს ემსახურებოდა ეს ორგანიზაცია. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, მისი ხელმძღვანელები, დაწყებული ბურჯანაძიდან, დამთავრებული სხვა ლიდერებით, იმდენად ზოგად განცხადებებს აკეთებდნენ, შექმნიდან სულ მცირე ხანში მათ საბოლოოდ დაარწმუნეს საზოგადოება, რომ ისინი არაფერს წარმოადგენენ. **მერე კიდევ უკვირთ, ხალხი რატომ არ გამოგვყვაო, იმას კი არ კითხულობენ, რატომ უნდა გაჰყვნენ და, საერთოდ, რა შესთავაზეს მათ საზოგადოებას; არა, უბრალოდ, გვეუბნებიან, ჩვენ მოვდივართ ხელისუფლებაში იმიტომ, რომ გვინდა... მინდა რა, გოზინაყია, კაცო?!**

**— მოკლედ, თქვენ ამბობთ, რომ დღეს ქვეყანაში არ არსებობს რეალური პოლიტიკური ძალა, რომელსაც ხელისუფლების შეცვლა შეუძლია. ნაწილობრივ გეთანხმებით, მაგრამ პირადად თქვენ, ამ შემთხვევაში როგორც რიგითი მოქალაქე, გამოსავალს რაში ხედავთ, რისი იმედი გაქვთ?**

— ის, რომ დღევანდელი ჩვენი ოპოზიცია სუსტია და სერიოზული პოლიტიკური ძვრების მოხდენა არ შეუძლია, არ ნიშნავს, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში მუდმივად იქნება, დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, გამოჩნდება ძალა, რომელიც ჩაერთვება აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში და მნიშვნელოვნად შეცვლის ყველაფერს...

**— ვინ გეგულებათ ასეთი?**

**— ვინ არიან და სუფთა სინდისისა და წარსულის მქონე ხალხი. მე პირადად ვიცნობ და თანაც ძალიან ახლოს ერთ ასეთ ადამიანს, რომელიც დიდ საქმეებს აკეთებს თავისი ქვეყნისთვის. ლაპარაკი მაქვს ალექსანდრე ჭაჭიაზე, კაცზე, რომლის გამოცდილებაც და ცოდნაც ნამდვილად მაძლევს იმის საფუძველს, ვთქვა, რომ მე მას, როგორც პოლიტიკოსსა და, პირველ რიგში, როგორც ჭეშმარიტ ქართველს, თვალდახუჭული ვენდობი. ალექსანდრე უდავოდ დიდი ანალიტიკოსია და, ვისაც მისი თუნდაც ერთი ნარკვევი მაინც წაუკითხავს, ამაში ნამდვილად დამეთანხმება, მაგრამ სამწუხარო სწორედ ის არის, რომ მას და მისნაირ ადამიანებს დღეს ხელი არ მიუწვდებათ სახელმწიფო საქმეებზე. ხელისუფლებას კი ასეთი ხალხი არ სჭირდება და არ ეძახის, ვინაიდან მათ კარგად იციან, რომ ეს ის კატეგორია არ არის, რომელიც ბინძურ საქმეებში მხარს აუბამს...**

— შეიძლება, ცოტა არ იყოს ბანალური კითხვაა, მაგრამ დასასრულ ხელისუფლების შეცვლის გზებზეც გკითხავთ: თქვენი აზრით, რა შანსი და საშუალებები აქვს საზოგადოებას, რომ ხელისუფლება ვადაზე ადრე შეცვალოს?

— **ვადაზე ადრე კი არა, აქ მიმდინარე მოვლენებს რომ ვუყურებ, იმაზე უნდა ვილოცოთ, რომ ესენი თავიანთი კონსტიტუციური ვადის ამოწურვის შემდეგ მაინც წავიდნენ. ამას სრული სერიოზულობით ვამბობ. აბა, დაფიქრდით, ოპოზიცია არ არსებობს, საზოგადოება დაილალა თუ, არ ვიცი, რა სჭირს, ვინ უშლის სააკაშვილს, რომ ერთ მშვენიერ დღეს იმპერატორობა მოინდომოს და გამოგვიცხადოს, კონსტიტუცია ფეხებზე მკიდია, სანამდეც მინდა, ვიქნებიო. თქვენ ფიქრობთ, რომ დასავლეთი — ევროპა და ამერიკა პასუხს მოსთხოვს?!**

ნურას უკაცრავად, ამ კაცს ვაშინგტონიდან ავტორიტარიზმის ექსკლუზიური უფლება აქვს მიღებული. ასე რომ, სრულიად ქართველი ერის, ხალხის ამოწყვეტისა და გადაშენების ფასადაც რომ დაუჯდეს, ცოცხალი თავით იგი ხელისუფლების სადავეებს არ დათმობს; ანუ იმის თქმა მინდა, რომ მშვიდობიანად არ წავა, ეს კი სამწუხაროა, მაგრამ თავისთავად ცხადყოფს იმ ერთადერთ გზასა და გამოსავალს, რომელიც ქართველ ხალხს რჩება ხელისუფლების ვადაზე ადრე შესაცვლელად...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**



„მსოფლიო დონის ტენორების, მომღერლებისა და მსახიობების საქციელი უფრო მიკვირს, რომლებიც ხელისუფლების „დაკრულზე ცეკვავენ“. მახსოვს და მიკვირს, გივი ბერიკაშვილი როგორ მონაწილეობდა „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიაში. ასევე მიკვირს პაატა ბურჭულაძის (რომელიც დიდ საქმეს აკეთებს და უდიდეს პატივს ვცემ), როდესაც „ხელისუფლების ხუშტურებს“ არ დაემორჩილა და რუსეთში სიმღერის გამო აგენტი უწოდეს. კარგად გვახსოვს გამიზნული სატელევიზიო კამპანია პაატა ბურჭულაძის წინააღმდეგ. ჯერ ასეთი ისტერია შექმნეს და მერე სააკაშვილმა დააჯილდოვა. ეს არის „მათრახის და თაფლაკვერის“ პოლიტიკა და მიკვირს, რომ ისეთი დიდი ადამიანები, როგორებიც პაატა ბურჭულაძე, ნანი ბრეგვაძე, გივი ბერიკაშვილი არიან, ამაში მონაწილეობენ“.

მხილება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# მერაბიშვილმა ხვალ რომ დააპატიმროს სააკაშვილი, მას ყველაზე მაღალი რეიტინგი ექნება

**„ახალგაზრდა რეფორმატორთა ალიანსი“, იგივე მოძრაობა „არა“, სულ რაღაც ერთი წელია, არსებობს, თუმცა მოძრაობის ახალგაზრდა წევრებმა საკუთარი აქტიურობით, საზოგადოებას თავი უკვე არაერთხელ დაამახსოვრეს. დიდი რეზონანსი გამოიწვია ცოტა ხნის წინათ „არას“ ორგანიზებით კინოს სახლში გამართულმა საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსანთა სახლების ფოტოგამოფენამაც. მოძრაობის წევრები შეჩერებას არ აპირებენ.**
**„საქართველო და მსოფლიოს“ მოძრაობის ლიდერი ლევან ჩიტაძე ესაუბრა, რომელიც ქვეყანაში პრობლემების დაძლევის გზას მხოლოდ ხელისუფლების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლასა და საზოგადოების ერთსულოვნებაში ხედავს.**



## ლევან ჩიტაძე: ბოკერია და კირკიტაძე ოპოზიციაში აპირებენ გადასვლას... ეს იქნება ხელისუფლების მიერ მართული ოპოზიცია

**— ცოტა ხნის წინათ კინოს სახლში ხელისუფლების მაღალჩინოსნების სახლების ფოტოგამოფენა მოაწყვეთ. თუმცა რამდენიმე მაღალჩინოსანმა უარყო, რომ ეს სახლები ნამდვილად მათ ეკუთვნით. გაქვთ თუ არა შესაბამისი მტკიცებულებები?**

— გიორგი ბარამიძის უწყება გამოგვეხმაურა და გვაცნობა, რომ კოჯორში არსებული სახლი ბარამიძეს არ ეკუთვნისო. თუმცა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახლი მისია, მაგრამ გაფორმებული აქვს სიმამრის სახელზე. ბარამიძემ აღნიშნული სასახლე 2008 წლის არჩევნების შემდეგ შეიძინა და საჭირო თანხით „ნაციონალებმა“, ალბათ, არჩევნებში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოეს.

დანამდვილებით ვიცით, რომ დიღომში არსებული სასახლე შს მინისტრის — ვანო მერაბიშვილისაა. მისი მშენებლობისას ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ გააკეთა სიუჟეტი, სადაც ერთ მუშას წამოსცდა, რომ სახლი მერაბიშვილისა იყო. მაგრამ დოკუმენტებით იგი მის ბიძაშვილს ეკუთვნის.

პეტრე ცისკარიშვილს ჯერჯერობით ორი სახლი აქვს. აღმოჩნდა, რომ ვაკის სახლი დეკლარაციაში ჰქონდა შეტანილი, ხოლო ყაზბეგის გამზირზე მდებარე — არა. როდესაც დავინტერესდით, გავარკვიეთ, რომ ყაზბეგის გამზირზე მდებარე ბინა, რომელიღაც კომპანიას უჩუქებია მისთვის.

ერთადერთმა ცეზარ ჩოჩელმა დაადასტურა, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი სახლი ნამდვილად მისია, სხვებმა კი უარყვეს, თუმცა ასეთი არგუმენტების შემდეგ ნორმალურ ქვეყანაში კორუმპირებული ჩინოვნიკები საპყრობილეში აღმოჩნდებოდნენ.

როგორც წესი, ინფორმაციის გადამოწმებას ორი გზით ვცდილობთ: ახლობლებთან, ადგილობრივ მცხოვრებლებთან და საჯარო რეესტრში. მაგრამ ამ უკანასკნელისგან ხშირად უცნაურ პასუხებს ვიღებთ. მაგალითად, როდესაც დავით კეზერაშვილის სახლზე მოვითხოვეთ ინფორმაცია, მეტად უცნაური პასუხი მივიღეთ, თურმე აღნიშნული სახლი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საერთოდ არაა და აქედან გამომდინარე, მათ არ იციან, თუ ვისი საკუთრებაა.

შსს-დან დამირეკეს და დამემუქრნენ კიდეც, მაგრამ გაჩერებას არ ვაპირებთ. შემდეგ ფოტოგამოფენას პირდაპირ პარლამენტის წინ მოვაწყობთ.

**— თქვენ ქვეყანაში მიმდინარე ყველა აქტუალურ მოვლენას ეხმაურებით, აწყობთ საპროტესტო აქციებს პოლიტპატიმრების, გარემოს დაცვისა თუ განათლების საკითხებზე... რაიმე კონკრეტულ შედეგს თუ მიაღწიეთ?**

— ერთადერთი ალტერნატივა შეეწინააღმდეგო უსამართლობას, არის ბრძოლა. სიჩუმე არასდროს არ არის გამოსავალი და ადრე თუ გვიან შედეგს აუცილებლად მივაღწევთ.

ჩვენს ყველაზე დიდ მიღწევად მიმაჩნია შარშან აქციების შედეგად 7 პოლიტპატიმრის გათავისუფლება. ვფიქრობ, არანაკლებ შედეგიანი იქნება სხვა აქციებიც, მაგრამ მთავარი პრობლემა საზოგადოების დაქსაქსულობაა.

**— მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი თავს მოტყუებულად მიიჩნევს და აღარც ოპოზიციის მიერ ორგანიზებული ქუჩის აქციების სჯერა.**

— შეცდომაც სწორედ ესაა. მართალია, 2009 წლის აპრილის აქციები სერიოზული ხარვეზებით ჩატარდა, ოპოზიციას ჰქონდა არასწორი მენეჯმენტი, საქმე გააფუჭეს ოპოზიციაში შეგზავნილმა აგენტებმაც, რომელთა წყალობითაც ვანო მერაბიშვილმა წინასწარ იცოდა, სად რა ხდებოდა და რა აქცია იგეგმებოდა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საზოგადოების ოპოზიციისადმი ნდობის საკითხი დამოკიდებულია მასმედიაზე. როცა მედია მოვლენებს არაობიექტურად აშუქებს და ხელისუფლების პიარზე სამი სახელმწიფო არხი მუშაობს, მოსახლეობის ნდობა ოპოზიციისადმი, რა თქმა უნდა, დაიკარგება. საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტებს თუ დააკვირდებით, გამუდმებით ოპოზიციის დისკრედიტაცია მიმდინარეობს, სამაგიეროდ მოსახლეობა მუდმივად უყურებს და უსმენს, თუ რა მაგარია მიშა! იქმნება ილუზია ხელისუფლების ყოვლისშემძლეობის შესახებ.

შეცდომაა იმაზე ფიქრი, რომ, რადგან წარსულში გამართულმა აქციებმა შედეგი არ მოიტანა, ქუჩაში აღარ უნდა გამოვიდეთ. ყველა განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში იმართება მწვავე აქციები სხვადასხვა საკითხზე, ვინაიდან, ყველას ეხება გაძვირებული საწვავის ფასები, პროდუქტების ფასები, სწავლის საფასური... როცა 2009 წელს ამ საკითხზე საპროტესტო აქცია გაიმართა, მხოლოდ 150 სტუდენტი გამოვიდა პროტესტის გამოსახატავად. არადა, მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 18 ათასი სტუდენტი სწავლობს.

საქართველოში პოლიტიკური კულტურა ძალიან დაბალია. გამოსავალი კი მხოლოდ საზოგადოების ერთსულოვნებაშია. ჩვენი საზოგადოება კი, სამწუხაროდ, სხვისი უბედურების მიმართ არ არის სოლიდარული. ჩვენ ჯერ ჩამოყალიბებული ქვეყანაც არ ვართ, ჩვენ ვართ გარკვეულ ტერიტორიაში მოქცეული ხალხი, რომელსაც ვერ გაურკვევია, რა უნდა. მხოლოდ კარგად გაპიარებული „მოციმციმე“ ტელეფიგურების გვჯერა.

ქვეყნისთვის კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ აბსოლუტურად ყველა სფერო პოლიტიზებულია, მათ შორის ხელოვნებაც. არიან ელიტარული ხელოვანები, რომლებიც არცთუ ისე ნიჭიერები არიან, მაგრამ ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა აქვთ და ამის გამო წარმატების ზენიტში იმყოფებიან. მაგალითად, გასულ ზაფხულს აჭარაში გამართულ ღონისძიებებში მხოლოდ ის მომღერლები მონაწილეობდნენ, რომლებიც სააკაშვილის საარჩევნო კამპანიაშიც აქტიურად იყვნენ ჩართული, ამ ყველაფერს კი კობა ხაბაზი და კობა სუბელიანი კურირებდნენ.

თუმცა მე მსოფლიო დონის ტენორების, მომღერლებისა და მსახიობების საქციელი უფრო მიკვირს, რომლებიც ხელისუფლების „დაკრულზე ცეკვავენ“. მახსოვს და მიკვირს, გივი ბერიკაშვილი როგორ მონაწილეობდა „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიაში. ასევე მიკვირს პაატა ბურჭულაძის (რომელიც დიდ საქმეს აკეთებს და უდიდეს პატივს ვცემ), როდესაც „ხელისუფლების ხუშტურებს“ არ დაემორჩილა და რუსეთში სიმღერის გამო აგენტი უწოდეს. კარგად გვახსოვს გამიზნული სატელევიზიო კამპანია პაატა ბურჭულაძის წინააღმდეგ. ჯერ ასეთი ისტერია შექმნეს და მერე სააკაშვილმა დააჯილდოვა. ეს არის „მათრახის და თაფლაკვერის“ პოლიტიკა და მიკვირს, რომ ისეთი დიდი ადამიანები, როგორებიც პაატა ბურჭულაძე, ნანი ბრეგვაძე, გივი ბერიკაშვილი არიან, ამაში მონაწილეობენ.

**გენიალური მოქანდაკე კარლო კალანდია ოროთახიანი პატარა ბინის სხვენში მუშაობს და უკვე იმდენი ქანდაკება აქვს, ლამის იატაკი ჩაინგრეს. როცა თბილისის მერიას მიმართა დახმარებისთვის, უარით უპასუხეს. არადა, როდესაც პეტერბურგიდან დაუკავშირდნენ და მისი ნამუშევრის ყიდვა მოისურვეს 50 ათას აშშ დოლარად, ქვეყნიდან არ გაატანინეს, ჩვენი ეროვნული საგანძურიაო. საინტერესოა, თუ ეროვნული საგანძურია, ყურადღებას რატომ არ აქცევენ?**

**— თქვენი მოძრაობა „სახალხო კრებას“ შეუერთდა. „არა“ ახალგაზრდული მოძრაობაა, არ ფიქრობთ, რომ დამოუკიდებლად უფრო მეტ ნდობას და რეიტინგს მოიპოვებდით და, შესაძლოა, თქვენს დაფინანსებასთან დაკავშირებით კითხვებიც აღარ გაჩენილიყო?**

**— მე ვარ „სახალხო კრების“ სათათბიროს არჩეული წევრი. საერთოდ, მოძრაობა არის ხიდი როგორც საზოგადოებასა და ხელისუფლებას, ასევე, საზოგადოებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის. ისე აქტიურად ვჩანვართ, რომ, შესაძლოა, ვიღაცამ იფიქროს, რომ ვიღაც გვაფინანსებს, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს ასე არაა. თუმცა მომავალში არც ერთ ღირსეულ ოპოზიციურ ძალასთან არ გამოვრიცხავთ თანამშრომლობას.**

გვაქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები: გიგა ბოკერია და დავით კირკიტაძე ოპოზიციაში აპირებენ გადასვლას, რასაც არ დავუშვებთ, ვინაიდან, ეს იქნება მართული და ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ოპოზიცია. ახალგაზრდები, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობა“ და ბოკერია აკონტროლებს, ჩამოაყალიბებენ ერთ ან რამდენიმე ორგანიზაციას, რომლებიც ხელისუფლების წინააღმდეგ მოჩვენებით ბრძოლას დაიწყებენ. ვფიქრობ, ესენი იქნებიან ირაკლი მეგრელიშვილი, გიორგი ავალიანი, გაგა ხაბულიანი... ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის აქტივისტები არიან. მოძრაობა ადეიშვილისა და მერაბიშვილის გუნდებიდან დაკომპლექტდება.

**— როგორ აპირებთ ხელის შეშლას?**

— პირველ რიგში, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ადამიანები ვამხილოთ, და ვეცდებით, მათ წინააღმდეგ ავამხედროთ ოპოზიცია. თუმცა არც ისაა გამორიცხული, დღეს რომ ოპოზიცია გვგონია, ხვალ მერაბიშვილმა და ადეიშვილმა 5 მილიონი გადაურიცხონ და მათი „თამაში ითამაშონ“.

**— საკითხავია, ხალხი რამდენად დაუჯერებს ახალ, ფსევდოოპოზიციას?**

— დარწმუნებული ვარ, ხალხი ადვილად დაუჯერებს. მერაბიშვილმა ხვალვე რომ დააპატიმროს სააკაშვილი, მას ყველაზე მაღალი რეიტინგი ექნება. ესეც ჩვენი დაბალი პოლიტიკური კულტურის ბრალია, ფსევდოოპოზიციას ნამდვილისგან ვერ ვარჩევთ.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

სიხარულის ქუჩაზე, ამ სასახლეებში, ვანო მერაბიშვილი და სანდრა რულოვსი-სააკაშვილი იცხოვრებენ





**« მიკვირს, გივი ბერიკაშვილი როგორ იღებდა მონაწილეობას „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო კამპანიაში »**

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

სკანდალი



**თენგიზ ბეჟაშვილი:**

## ვეჭვობ, რომ სოციალური აგენტები ეძებენ ჯანმრთელ ბავშვებს... ეს მხოლოდ ეჭვია, მაგრამ ბავშვის ორგანოები მთელ მსოფლიოში ძალიან ძვირია

# სოციალურმა აგენტმა მშობელს შვილის გაყიდვა შესთავაზა

## ბავშვებზე ზრუნვა თუ მათი ორგანოებით ვაჭრობა?!

**სიღნაღის რაიონის დაბა წნორში მცხოვრებ ნინო ქემაშვილს სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა სამი შვილი წაართვეს და მშობელი დედა დღემდე უშედეგოდ ცდილობს ბავშვების დაბრუნებას. რატომ ჩამოართვეს დედობის უფლება ნინო ქემაშვილს, რომელიც მეზობლების განცხადებით, მართალია, ფინანსურად ხელმოკლე, მაგრამ მზრუნველი დედა იყო? როგორც ქემაშვილის ადვოკატი თენგიზ ბეჟაშვილი აცხადებს, ნინო ქემაშვილს სამი შვილი ისე წაართვეს სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა, რომ, სააგენტოში მომუშავე ქალბატონების გარდა, არავის დაუდასტურებია, ჰქონდა თუ არა დედის მხრიდან ძალადობის ფაქტს ადგილი.**



ნინო ქემაშვილი

**რამდენად ლოგიკურია, ბავშვის მიმართ მშობლის უმნიშვნელო დატუქსვის ან ფინანსური სახსრების უქონლობის გამო, ოჯახს შვილები წაართვან? ხომ არ ვვარდებით ერთი უკიდურესობიდან მეორეში? აქვს თუ არა უფლება სოციალურ სააგენტოს, გადაწყვიტოს, მცირეწლოვანი ბავშვი სად უკეთ იგრძნობს თავს — მშობელ დედასთან თუ ბავშვთა სახლში? არსებობს თუ არა სათანადო მტკიცებულებები დედის სისასტიკის შესახებ და იმალება თუ არა ამ ყველაფრის მიღმა საშიში დანაშაული? ამ და სხვა საკითხებზე, ადვოკატი თენგიზ ბეჟაშვილი გვესაუბრება.**

**— კონკრეტულად რაში ადანაშაულებთ სოციალური მომსახურების სააგენტოს?**

— სოციალური მომსახურების სააგენტო დაახლოებით ორი წელიწადია ფუნქციონირებს. 2008 წლის მაისში კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, კანონით, მშობლის უფლებების შეზღუდვის პრეცედენტი დაიშვა. ხოლო სასამართლომდე საქმის წარმოების მთლიანი პროცედურა მოწესრიგდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანებულების №190\ნ-ის საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ კანონის თანახმად, რამაც გამოიწვია ის, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოში წესებს, ოქმებს, აქტებს თავად ადგენენ და გადაჭარბებული უფლებებით სარგებლობენ, როგორც სურთ, ისე იქცევიან.

სოციალური მომსახურების სააგენტოები ფართო უფლებამოსილებით არიან აღჭურვილი და საკუთარ აკვიატებებს, ერთი შეხედვით, დამაჯერებლად ასაბუთებენ. როგორც მათი სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-5 მუხლშია აღნიშნული, „სააგენტო დაკისრებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით“.

ამასთან, სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები სპეციალურად ეძებენ ისეთ ხალხს, ვინც მათთან ითანამშრომლებს და რაიონში მცხოვრები ბავშვებისა და ოჯახების შესახებ ჩუმად ამბებს მიუტანს.

დრო გავა და საზოგადოება დარწმუნდება, რომ ეს არის ძალიან მახინჯი პროცედურა — როცა მშობელ სურს, შვილი თავად აღზარდოს, სოციალური სააგენტო კი ერევა ოჯახის საქმეებში და, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია, მშობლებს შვილებს ართმევს.

როცა საკითხი ასეთ ფაქიზ თემას, მცირეწლოვან და მეძუძურ ბავშვთა პრობლემებს ეხება, ჩვენმა საჯარო მოხელეებმა, მეტი სერიოზულობა უნდა გამოიჩინონ.

**— მაგრამ სოციალური მომსახურების სააგენტო არ არის უფლებამოსილი, ჩამოართვას დედას მშობლის უფლება, საბოლოოდ ხომ სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და არასათანადო მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლო გამოიტანს განაჩენს?**

— სასამართლო მათგან დატერორებულია. **თუ სასამართლო დაადგენს, რომ აღნიშნული ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს, მაშინ პასუხისგებაში უნდა მისცეს აქტის შემდგენი. სხვანაირად, როგორ დაასაბუთებ, რომ ბავშვი კარგ პირობებში იზრდება და მშობლები ყოველდღე კარაქს აჭმევენ, ბანენ, ასუფთავებენ თუ არა? როგორ უნდა დაასაბუთოს ეს დეტალები სასამართლომ? მაშინ გამოძიება უნდა ჩატარდეს.**

**თანამედროვე შესაძლებლობებითა და ტექნიკით აღჭურვილ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან დავას სოციალურად შეჭირვებული ფიზიკური პირი ვერ შეძლებს. სასამართლოს წინაშე მხარეები გამოდიან არათანასწორ პირობებში.**

სოციალურმა მუშაკებმა დაწერეს, თითქოს დედამ ბავშვს ქვა ჩაარტყა. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ბავშვები დედას მაინც წაართვეს. **სიღნაღის სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა ზურაბ ზურაბაშვილმა, სოციალური სააგენტოს წარმომადგენლების მონაწილეობით სპექტაკლი დადგა. თითქოს ლაგოდეხის სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები: მადონა ქურციკიძე და ინგა ლაბუჩიძე — სიღნაღის რაიონში აღმაშფოთებელ ფაქტს შეესწრნენ. მათ დაინახეს, მათ გვერდით თუ როგორ ჩაუარა ლანძღვა-გინებით ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც მტირალ ბავშვს თურმე ჯერ მუშტი ჩაარტყა სახეში, შემდეგ კი — ქვა.** ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ ხომ სახელმწიფო ფულს სწორედ იმისთვის უხდის, რომ უმწეო მოქალაქეები დაიცვან. ამ ქალბატონებმა კი არაფერი გააკეთეს, თუ მსგავს ფაქტს მართლაც შეესწრნენ, რაც დანაშაულია. კითხვაზე: რატომ არ მიიღეს ზომები უმწეო ბავშვის დასახმარებლად, ასეთი პასუხი გაგვცეს, დავიბენითო და აი, სწორედ ამ დაბნეულის სოციალური მუშაკების მოტივაციით, დედას სამი შვილი წაართვეს.

**ზურაბაშვილს რომ ჰკითხო, სად გაგონილა თურმე ბავშვი ცხელი წლის, ქათქათა თეთრეულის, გათბობისა და სრულყოფილი სამჯერადი კვების გარშე (?!). ჩემს რეპლიკაზე, ასეთი პირობები მეც არ მაქვს, მიპასუხა, თქვენთანაც მოვალ და საკითხს გადავწყვეტო.**

**გამოდის, რომ ყველა სოციალურად დაუცველ, ღარიბ ოჯახს შვილები უნდა წაართვან?!**

ძნელია, გულგრიალად წაიკითხო სააგენტოს სასარჩელო მოტივაცია: **„თუ ბავშვი დარჩება სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ: მიიღწევა ის, რომ სრულიად იქნება დაცული მცირეწლოვანი გიორგი ბეროზაშვილის კანონიერი და ჭეშმარიტი ინტერესები. ასეთ ვითარებაში, სოციალური მომსახურების სააგენტოს სიღნაღის რაიონული განყოფილება დააკვირდება შემთხვევის განვითარებას და ოჯახის მხრიდან თანამშრომლობაზე სურვილის გამოხატვისა და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში თავად იქნება ბავშვების ოჯახში დაბრუნების ინიციატორი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვების მშობლების მიმართ განხორციელდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, რამაც, შესაძლოა, მძიმე შედეგები მოიტანოს“.** საინტერესოა, ბავშვის წართმევაზე მძიმე შედეგში რას გულისხმობენ და რატომ იმუქრებიან სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები?

**— თქვენი აზრით, რატომ არიან დაინტერესებული სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები, დედას ბავშვები წაართვან?**

— სოციალური აგენტები ბავშვზე ზრუნვის ნიღბით მოდიან, მაგრამ რეალური მიზანი შემზარავია. **ვეჭვობ**, რომ ესენი ეძებენ ჯანმრთელ ბავშვებს. თუ ასეთი მზრუნველები და კეთილშობილები არიან, რატომ არ ინტერესდებიან უამრავი გაჭირვებული და ავადმყოფი ბავშვით? უამრავი უპატრონო ბავშვია, იმათ მიხედონ და დედას, რომელსაც უყვარს და ზრუნავს საკუთარ შვილებზე ისე, როგორც შეუძლია, შვილებს ნუ წაართმევენ. საშინელ, მახინჯ ფორმას იღებს ეს ყველაფერი. თუმცა ეს მხოლოდ ეჭვია, მე არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ ეჭვის უფლება გამაჩნია. ბავშვის ორგანოები მთელ მოფლიოში ძალიან ძვირია.

**— ბავშვების დედა ნინო ქემაშვილი აცხადებს, რომ სოციალური მომსახურების აგენტმა ბავშვის გაყიდვა შესთავაზა.**

**— ამ ფაქტზე, წესით, გამოძიება უნდა დაწყებულიყო. ნინო ქემაშვილი ამბობს, რომ აგენტმა შესთავაზა, ბავშვს ხომ არ გაყიდიო. მგონი, მაგათ სერიოზული დამცველები ჰყავთ, ამდენს რომ ბედავენ. ყველას კარზე დააკაკუნებენ, როცა ასეთი ოჯახები გამოილევა.**

ესიც საკითხავია: როცა მამა სრულიად ჯანმრთელია, მის გარეშე რატომ მიყავთ ბავშვი? მამასთან მაინც დაეტოვებინათ? **„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, „შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში“, ხოლო ამავე კოდექსის 1205-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. „სასამართლოში საქმის განხილვისას დადასტურება ვერ ჰპოვა არსებითი მნიშვნელობის მქონე რაიმე ისეთმა გარემოებამ, რაც განაპირობებდა მშობლის უფლების რაიმე ფორმით შეზღუდვას მამის, გიორგი ბეროზაშვილის შემთხვევაში.**

არსებობს პროკურატურის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ბავშვები ჰარმონიულ და ნორმალურ პირობებში იზრდებიან. მაგრამ ამ დადგენილებას ყურადღება არავინ მიაქცია.

**— სასამართლო 15 მარტს არის დანიშნული. რას აპირებთ, თუ ბავშვებს დედას არ დაუბრუნებენ?**

— თბილისის პროკურატურაში უკვე შევიტანე განცხადება, რათა ცრუ ჩვენების გამო პასუხისგებაში მისცენ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი ქალბატონები. როცა ადამიანი ხედავს, რომ ერთი ადამიანი მეორეს, უმწეო მდგომარეობაში მყოფს, აყენებს ზიანს, ის ვალდებულია, მიიღოს სათანადო ზომები, თუ მას საფრთხე არ ელის. თუ ნასვამი ნინო ქემაშვილი შვილს კლავდა, რატომ არ დაეხმარნენ ბავშვს ეს ქალბატონები?

ვიბრძვი, როგორც შემიძლია. თუ საჭირო იქნება, საქმეს შემდგომში კვლავ გავასაჩივრებ.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**სოციალური სააგენტო, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია, მშობლებს ბავშვებს ართმევს**

**P.S. „კახეთის საინფორმაციო ცენტრმა“ კიდევ ერთი საგანგაშო ინფორმაცია გაავრცელა: თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში მცხოვრებ ალექსანდრე მამუკელაშვილის 11-სულიან ოჯახს ჯერ სოციალური დახმარება შეუწყვიტეს, შემდეგ კი სოციალურმა აგენტებმა ბავშვების გაშვილების პროგრამაში ჩართვა შესთავაზეს, უარის შემთხვევაში კი, შვილების წართმევით დაემუქრნენ. „უარი რომ ვთქვი, მერე ბავშვების ჩამორთმევით დამემუქრნენ და სოციალური დახმარების დანიშვაზეც აღარ მიმიკითხია, კიდევ რაიმე შარი არ მომდონ-მეთქი“, — აცხადებს 7 შვილის მამა ალექსანდრე მამუკელაშვილი. მართალია, სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების უფროსი თამარ ნოღაშვილი ბრალდებებს უარყოფს, მაგრამ იქვე ადასტურებს, რომ „პროგრამაში ჩართვა შესაძლოა შევთავაზეთ, მაგრამ მისი გადასაწყვეტია, დათანხმდება თუ არა.“**

**„საქართველო და მსოფლიო“ ამ თემას მომავალშიც დაუბრუნდება.**

მსოფლიო

## აშშ სომალელ მეკობრეებს დაერევა



**აშშ საერთაშორისო პარტნიორებს მოუწოდებს, რომ გადადგან ერთობლივი ნაბიჯი და სომალელი მეკობრეების წინააღმდეგ ზღვაში საერთო საბრძოლო ოპერაციები აწარმოონ.** ამერიკელი მალალჩინოსნების მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება ბოლო დროს გახშირებულ თავდასხმებს უკავშირდება. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის — ფილიპ კროულის განცხადებით, ისინი ამ ფაქტით შეშფოთებული არიან და ყველანაირად ეცდებიან, თითოეული მოქალაქის სიცოცხლე დაიცვან.

## ხორვატიაში აქციები დაიწყო

**ხორვატიის დედაქალაქის ზაგრების ქუჩებში პრემიერისა და მინისტრთა კაბინეტის გადადგომის მოთხოვნით 1000-მდე ადამიანი გამოვიდა. გამოსვლების დროს რამდენიმე ადამიანი დაშავდა და ათეულობით მომიტინგე დააკავეს.** მანიფესტანტებმა მთავრობის სახლთან და პარლამენტთან გავლაც სცადეს, მაგრამ მათ გზა პოლიციამ გადაუკეტა. დემონსტრანტებმა პოლიციელებს ქვები დაუშინეს და ცოცხალი ჯაჭვის გარღვევაც სცადეს, მაგრამ ამაოდ. საპროტესტო აქციები ხორვატიის სხვა ქალაქებშიც გაიმართა. იქ აქციებმა ინციდენტის გარეშე ჩაიარა.

**ტუნისელმა ხალხმა ბენ ალის რეჟიმს თავი არ დაუხარა და ის ალვირახსნილობა, რაც ამ უკანასკნელისგან თითქმის მეოთხედი საუკუნე ითმინა, სულ რაღაც სამ კვირაში ერთბაშად ძმრად ამოადინა დიქტატორს. მოკლედ, ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, დღეს საქართველოში ისეთი ამბები უნდა ტრიალებდეს, რომ ტუნისსა და ეგვიპტეში მიმდინარე პროცესები მრავალხმიან სიმღერად მოეჩვენოს მთელ მსოფლიოს, მაგრამ...**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# მესმის, მესმის სანატრელი? ანუ ყირგიზეთიდან ბაჰრეინამდე...

**წინამდებარე წერილის სათაური ნაწილობრივ დიდი ილიას იმ ლექსიდან მაქვს აღებული, 1860 წელს იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელს, გენერალ ჯუზეპე გარიბალდისა და მის მიერ ქალაქ მესინის აღებას რომ უძღვნა სამშობლოს ბედზე შეწუხებულმა და გულდათუთქულმა ჯერ მხოლოდ 23 წლის პოეტმა. ამ ლექსით მინდა რევოლუციათა იმ უწყვეტ ჯაჭვზე მოგახსენოთ, რომელმაც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ცუნამივით გადაუარა შუა აზიას, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას და გვიჩვენა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ავტორიტარული რეჟიმის უღელქვეშ მყოფი ერი, ნანინანატრი თავისუფლება რომ მოიპოვოს.**

ჯანყი ეგვიპტეში



ჯანყი ტუნისში



დავიწყოთ ყირგიზეთის მოვლენებით. 2010წლის 6 აპრილს ხელისუფლების სათავეში ე.წ. ტიტების რევოლუციით მოსული **კურმანბეკ ბაკიევის მმართველობით შეწუხებული და შეურაცხყოფილი ყირგიზი ხალხი ქუჩაში გამოვიდა, ერთმუშტად შეიკრა და ისე, რომ ოპოზიციის მხრიდან სასწაულების მოხდენას არ დალოდებია, მმართველ გუნდს გადადგომის ულტიმატუმი წაუყენა.** საპროტესტო გამოსვლების პირველივე დღეს ხელისუფლებამ მომიტინგეთა დაშლა სცადა და გარეთ გამოსულ მოსახლეობას სპეცრაზმი შეუსია, რასაც ოთხმოცზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მაგრამ დემონსტრანტები სისხლისღვრამ ვერ შეაშინა, მათ დაწყებული საქმე განაგრძეს და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ბაკიევის პირსისხლიან ხელისუფლებას, რომელიც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასაც არ მოერიდა, საბოლოოდ წირვა გამოუყვანეს. ამით ყირგიზეთმა ერთგვარი პოლიტიკური ვალიც კი დაუბრუნა საქართველოს, რევოლუციის მაგალითის თვალსაზრისით, მაგრამ...

ყირგიზეთის მოვლენებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, კერძოდ, 24 დეკემბერს, რევოლუციამ ტუნისში იფეთქა. ავტორიტარული რეჟიმისა და უკიდურესი წნეხის მიუხედავად, ტუნისელი ხალხი აღსდგა და 14 იანვარს, ანუ ზუსტად სამ კვირაში, ქვეყნის ბელადის, გენერალ ზინ-ელ აბიდინ ბენ ალის ხელისუფლება, რომელიც ტუნისს 24 წელი მართავდა, პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრა.

**ეს იყო ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ხალხი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ითმენდეს შეურაცხყოფას, თავს უხრიდეს უსამართლობას, ერთ მშვენიერ დღეს კი ამ ყველაფერმა ყელში ამოასხას და ერთპიროვნული მმართველი, ანუ ბელადი ისტორიის სანაგვის გზას გაუყენოს.**

აქედან გამომდინარე, გასაკვირი, ალბათ, არც არაფერია იმაში, რომ ის, რაც ტუნისელმა ხალხმა გააკეთა 24 დეკემბრიდან 14 იანვრამდე, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ დრომოჭმული რეჟიმებისა და ბელადების წინააღმდეგ რევოლუციას ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქვეყნებშიც ეფეთქა. **ასე, მაგალითად: 25 იანვარს (ტუნისის მოვლენებიდან ათი დღის შემდეგ) საპროტესტო გამოსვლები ეგვიპტეში დაიწყო. კაიროსა და ქვეყნის სხვა დიდი ქალაქების ქუჩები არეულობამ მოიცვა და ხალხსა და სამართალდამცავთა შორის მომხდარ შეტაკებებს პირველივე დღეებში როგორც დემონსტრანტთა, ისე ძალოვანთა მხრიდანაც მსხვერპლი მოჰყვა. ხელისუფლებამ მოსახლეობის დასაშინებლად და დასატერორებლად მეამბოხეებს ელიტური სპეცრაზმი დაუპირისპირა, არც ტყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნების გამოყენებას მოერიდა, მაგრამ ეგვიპტელი ხალხი არ შედრკა და 11 თებერვალს, რევოლუციის მეთვრამეტე დღეს, „უკანასკნელ ფარაონად“ შერაცხული ჰოსნი მუბარაქის 31-წლიანი მმართველობა სამუდამოდ წარსულს ჩააბარა.**

მართალია, ეს გამარჯვება ეგვიპტელებს ძვირი დაუჯდათ (ოფიციალური მონაცემებით, ორასზე მეტი ადამიანი დაიღუპა), მაგრამ, როგორც იტყვიან, „მიზანი ამართლებს საშუალებას“ და აჯანყებების ცეცხლი დღეს უკვე გიზგიზებს ალჟირში, იემენში, ბაჰრეინში, ირანსა და ლიბიაში, სადაც ხელისუფალთა მიერ შეურაცხყოფილმა და ღირსებახელყოფილმა ხალხმა დედის რძესავით შეირგო ეგვიპტური ამბოხების მაგალითი.

...არ გეგონოთ, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების ეს მოკლე ქრონოლოგიური მიმოხილვა იმისთვის დამჭირდა, რომ მეთქვა, ერთი სული მაქვს, სისხლიანი რევოლუციების ტალღა საქართველოში როდის გადმოინაცვლებს-მეთქი. არა, ამისგან ღმერთმა დაგვიფაროს. მაგრამ, მეორეს მხრივ, როცა ვხედავ, როგორ თავისუფლდებიან ერთიმეორის მიყოლებით ავტორიტარული რეჟიმებისგან ქვეყნები, რომლებიც აშშ-ის მიერ თავის დროზე ჩვენსავით „დემოკრატიის შუქურებად“ იყო მიჩნეული და როგორ ჩაახშვეს, ჩაკლეს საქართველოში ვაიოპოზიციონერებმა საპროტესტო მუხტი, როგორ უჩუმრად, მშვიდად ვიტანთ მხოლოდ ავტორიტარს კი არა, მოშლეგო ხელისუფლებას და შევეგუეთ იმას, რომ ღირსებას ფეხქვეშ გვითელავენ, ჩემდაუნებურად დიდი აკაკის სიტყვები მახსენდება: „ფურთხის ღირსი ხარ შენ“...

**ვიღაც შეიძლება გაბრაზდეს და შემეკამათოს, ჩვენ ტუნისი და ეგვიპტე არ ვართ და არც ისეთი მძიმე სოციალური მდგომარეობა გვაქვს, როგორიც ამ ორ ქვეყანასო. მაგრამ ვაი, რომ არსებობს ოფიციალური მონაცემები და ეს მონაცემები აბსოლუტურად საპირისპიროს მოწმობს.**

ასე მაგალითად: **2010 წელს ტუნისის მთლიანი ეროვნული შემოსავალი, ერთ სულ მოსახლეზე გათვლით, თითქმის 4000 დოლარს შეადგენდა (დაახლოებით იგივე მდგომარეობა ჰქონდა ალჟირსაც და ეგვიპტესაც). ეს კი საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელზე 1100 დოლარით მეტია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკა, ჩვენთან შედარებით, სულს კი არ ღაფავს, არამედ ათი თავით მაღლა დგას და უკეთეს პირობებს უქმნის თავის მოსახლეობას. გარდა ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტუნისის შიდა პროდუქტის მოცულობა სამჯერ გაიზარდა, მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ვალები, ბიუჯეტის დეფიციტიც და ინფლაციის მაჩვენებელიც, მაგრამ, ამის მიუხედავად, ტუნისელმა ხალხმა ბენ ალის რეჟიმს თავი არ დაუხარა და ის ალვირახსნილობა, რაც ამ უკანასკნელისგან თითქმის მეოთხედი საუკუნე ითმინა, სულ რაღაც სამ კვირაში ერთბაშად ძმრად ამოადინა პირსისხლიან დიქტატორს. მოკლედ, ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, დღეს საქართველოში ისეთი ამბები უნდა ტრიალებდეს, რომ ტუნისსა და ეგვიპტეში მიმდინარე პროცესები მრავალხმიან სიმღერად მოეჩვენოს მთელ მსოფლიოს, მაგრამ...**

არშემდგარი ჯანყი საქართველოში



როგორც ჩანს, ქართველი კაცისგან მეამბოხე და მით უფრო რევოლუცის მედროშე ისევე არ გამოვა, როგორც კოჭოიასგან — ჰამასის ტერორისტი. რატომ? **იმიტომ, რომ ჩვენ არც ეგვიპტელები ვართ და არც ტუნისელები. ჩვენ ის ხალხი ვართ, რომელიც ხან ერთ ტომარა პურის ფქვილზე ჰყიდის საარჩევნოდ საკუთარ ხმას, ხან — ოცლარიან სამათხოვრო ვაუჩერზე, ხან ოკეანისგაღმელთა პოლიტიკურ მოწყალებას ელოდება და ხანაც ათასგზის გაყიდულსა და „ნაცების“ მიერ გახელისბიჭებულ ოპოზიციას შესციცინებს იმედის თვალით...**

**ჯაბა ჟვანია**

მსოფლიო

## აშშ-ში საპროტესტო გამოსვლებია

**ვისკონსინის შტატში კონსერვატორებსა და პროფკავშირებს შორის დაწყებულმა დაპირისპირებამ ინდიანას შტატშიც გადაინაცვლა.** პროფკავშირების შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ პროფკავშირების წარმომადგენლებმა გამოსვლები 21 თებერვალს დაიწყეს. კანონი პროფკავშირების უფლებებს ზღუდავს და ანაზღაურების ინდექსის შესახებ მოლაპარაკებების უფლებას ართმევს. მათ, ასევე, ანაზღაურებაზე კოლექტიური შეთანხმების უფლებაც არ ექნებათ. საპროტესტო ტალღა რამდენიმე შტატს გადაედო.



## ჯილდო რევოლუციის შიშით

**ქუვეითის ემირმა (შეიხ ჯაბერ ალ-აჰმედ ალ-ჯაბერ ას-საბაჰი) აღმოსავლური რევოლუციების შიშით მილიონიანი მოსახლეობის დასაჩუქრება გადაწყვიტა. მოსახლეობის დამშვიდების მიზნით, უპრეცედენტო ზომები მიიღეს.** სტუდენტებს სტიპენდიები 350-დან 700 დოლარამდე გაუზარდეს, სამხედრო მოსამსახურეებმა, პოლიციელებმა და მაშველებმა ხელფასებზე 70-115%-იანი დანამატი მიიღეს, სახელმწიფო სამსახურში მომუშავეთა ხელფასები კი 100%-ით გაიზარდა. ქუვეითის ყველა მოქალაქე კომუნალური გადასახადებისგან გათავისუფლდა. თითოეულმა მოქალაქემ ერთჯერადად 3500 დოლარი მიიღო.

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ყვარლის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ლომიძე ტყუის, როცა აცხადებს, რომ სოფელ სარუსოს სახელი მოსახლეობის მოთხოვნით შეეცვალა, რადგან სოფლის მოსახლეობა ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს და ამტკიცებს, რომ განცხადებაზე ხელი სოფლის ადმინისტრაციამ იძულებით მოაწერინა.**

საავტორო სვეტი

# თეთრი ბაირაღები ლურჯი ვარსკვლავებით

**გასულ კვირას „Businessweek"-მა საქართველოს, როგორც ჯანსაღი ბიზნესგარემოს მქონე ქვეყნის, იმიჯს ბულდოზერივით გადაუარა. წერილში „თბილისში გამომწყვდეული" ეს ფრიად ავტორიტეტული და რეიტინგული გამოცემა აღწერს, თუ რა გადახდა თავს საქართველოში ორ ბიზნესმენს ისრაელიდან — რონი ფუქსსა და ზეევ ფრენკელს, რომლებიც ამჟამად ქართულ საპატიმროში იმყოფებიან.**

დასავლელ მკითხველს, რომელიც „Businessweek"-ის წერილს გაეცნობა, ძალიან დიდი ალბათობით **შეექმნება მყარი შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ბანდიტები მართავენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ პრემიერ გილაურის აქტიური მონაწილეობით განახორციელა ბინძური პროვოკაცია,** რათა უცხოელი ბიზნესმენებისთვის 100 მილიონამდე დოლარი არ გადაეხადა, რასაც საინვესტიციო დავების საერთაშორისო ცენტრის (ICSID) გადაწყვეტილება ავალდებულებდა და ისინი ციხეში გამოკეტა იმ საბაბით, რომ კუთვნილი ფულის მისაღებად ქართველ მაღალჩინოსანს ქრთამი შესთავაზეს. ამასთანავე, „Businessweek"-ის წერილში მიმოფანტულია არცთუ სასიამოვნო შეფასებები: **„თბილისში კრონიზმის (თანამდებობებზე მეგობრების დანიშვნა) და მექრთამეობის ტრადიციაა", „საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა იმპერიის ქვეყნებში ბიზნესის წარმოება საშიშ მოულოდნელობებს უკავშირდება"** და ა.შ.

რაც დრო გადის, ხმაური ამ საქმის გარშემო ხელისუფლებას, რომელმაც ქვეყანაში უცხოელი ინვესტორების მოზიდვას (თუ შემოტყუებას?) ამდენი შრომა შეალია, სულ უფრო მეტ პრობლემას უქმნის. შესაძლოა ამიტომ სცადა სააკაშვილმა ახლახან ამ საქმეზე კომენტარის გაკეთება იმ სტილში, რომ „კანონის წინაშე ყველა თანასწორია" და უარყო განცხადებები იმის თაობაზე, რომ ამ საქმემ დაძაბა ურთიერთობები საქართველოსა და ისრაელს შორის.

ქართული მართლმსაჯულების მოტივები, რომელიც სააკაშვილის ვერსიით კრისტალურად სუფთაა, მყისვე დადგება ეჭვქვეშ, როდესაც მკითხველი, თუნდაც იგივე „Businessweek"-ში, ასეთ ინფორმაციას გაეცნობა: **„ერთ-ერთი დიპლომატი ადასტურებს, რომ ფუქსს ციხიდან გაათავისუფლებენ, თუ იგი 100 მილიონზე უარს იტყვის", „ფუქსის იურისტების თქმით, ოქტომბერში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელმა ისრაელის ელჩს პრივატულად განუცხადა, რომ ფუქსი თავისუფლების მოპოვებას 100 მილიონ დოლარზე უარის თქმის სანაცვლოდ შეძლებდა".**

თუ დასავლელი მკითხველის რეაქციას მას შემდეგ, რაც ამას წაიკითხავს, ქართულად ვთარგმნით, ის, ალბათ, შემდეგნაირად გაიჟღერებს: **„რეკეტია, მამაძაღლი, ყაჩაღობა თუ რა?!"**

რაც შეეხება სააკაშვილის აზრს იმის თაობაზე, რომ საქართველოსა და ისრაელს შორის ყველაფერი იდეალურადაა; შესაძლოა, მან არ იცის, რომ **საერთაშორისო ურთიერთობები არ არის ბორდელი, სადაც გათავხედებულ სტუმარს თავში მყისვე ბოთლს ურტყამენ, მათში ყველაფერი ეტაპობრივად ხდება.** ჯერ სააკაშვილის ხელისუფლებას ისრაელის პრეზიდენტმა მიმართა, შემდეგ — საგარეო საქმეთა მინისტრმა და საზოგადოების რეაქციაც ნელ-ნელა სულ უფრო მწვავე გახდა. ჯერ საქმეში ისრაელის ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალისტი ბენ კასპიტი ჩაერთო, ასეთი შეფასებებით, **„საქართველო მაფიოზური, მოკვეთილი ქვეყანაა",** შემდეგ უსიამოვნო პუბლიკაციები სხვა ქვეყნების მედიასაშუალებებს მოეფინა. სულ ახლახან კი მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტმა შრაგა ბროშმა (ისრაელში ძალზე ავტორიტეტული ფიგურაა) მრეწველობის მინისტრ შალომ სიმჰონს შემდეგი რამ მისწერა: **„ვფიქრობ, რომ სასამართლოს ვერდიქტი გამოტანილი იყო მის დაწყებამდე გაცილებით ადრე... და ამიტომ სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ. საქართველო მტრული და საშიში ქვეყანა გახდა და ამიტომ ისრაელის მთავრობამ უნდა გააფრთხილოს ჩვენი მეწარმეები, რომ ამ ქვეყანაში ჩასვლისგან და მასში რამენაირი ბიზნესაქტიურობისგან თავი შეიკავონ".**

ფაქტია, ყოველ მომდევნო ეტაპზე ბრძოლაში სულ უფრო სერიოზული ძალები ჩაებმებიან. ეს მათთვის პრინციპული საკითხია, რადგან, თუ დღეს ვიღაც უსამართლოდ მოექცევა ფუქსს, ხვალ ვიღაც როტშილდზე გაიწევს, ზეგ კი — ყველა დანარჩენზე. **მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილის გულშემატკივარი არ ვარ, ამ ბრძოლაში ჩაბმას ნამდვილად არ ვურჩევ, თუნდაც იმიტომ, რომ ამით ქვეყანა 100 მილიონზე გაცილებით დიდ ზარალს ნახავს.**

ამ ისტორიიდან ფინანსური და საიმიჯო დანაკარგების გარეშე გამოსვლა უკვე შეუძლებელია, მაგრამ, რაც უფრო მალე დასრულდება ყოველივე, მით უფრო დიდია შანსი, რომ ზარალი შედარებით მცირე იქნება. ახლა არჩევანი მიხეილ სააკაშვილზეა, ვნახოთ, რა დასკვნამდე მივა ის.

**დიმიტრი მონიავა**

# ანტირუსული კამპანიის მორიგი ფაქტი კახეთში

**რუსი პოეტებისა და მწერლების სახელობის ქუჩებისთვის სახელების შეცვლისა და რესტორნებში რუსული სიმღერების აკრძალვის შემდეგ, საქართველოში სახელებს იმ სოფლებსაც უცვლიან, რომლებიც რუსთან და რუსეთთან ასოცირდება. ყვარლის რაიონში სოფელ სარუსოს სახელი გადაარქვეს. ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სამთავრობო კომისიამ უნდა დაამტკიცოს.**




სარუსოში 380-მდე ადამიანი ცხოვრობს. მოსახლეობის 95 პროცენტი ლეკია. ლეკები დაღესტნიდან წლების წინათ ჩამოვიდნენ და კავკასიონის მთის ძირას დასახლდნენ. სოფელს ადრე საძროხის ყური ერქვა, მოგვიანებით კი, იმის გამო, რომ სოფელში რუსი ჯარისკაცები იდგნენ, სარუსო დაერქვა.

სარუსოსთვის სახელის შეცვლის გადაწყვეტილება ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2011 წლის 25 თებერვალს მიიღო. საკრებულოს ხელმძღვანელების განმარტებით, სოფლისთვის სახელის შეცვლა მოსახლეობამ მოითხოვა და ადგილობრივ თვითმმართველობას პოლიტიკური მოტივი არ ჰქონია.

**„მოსახლეობასთან ურთიერთობისას გამოითქვა სურვილი, რომ სოფელს სახელი შეცვლოდა და ჩვენ, როგორც სოფლის წარმომადგენლებმა საკრებულოში, ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და განვიხილეთ მათი ერთობლივი განცხადება, რომელსაც ხელს მოსახლეობის უმრავლესობა აწერს. საკრებულოს წევრებმა გავითვალისწინეთ მოსახლეობის ინტერესი და დავეთანხმეთ განცხადებას სახელის შეცვლასთან დაკავშირებით. საბოლოო გადაწყვეტილებას გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სამთავრობო კომისია იღებს, თუმცა, როგორც გითხარით, ადგილობრივი ნორმატიული აქტი უკვე მიღებულია. სოფელს, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, შოროხი დაერქვა",** — აღნიშნა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ზაზა ლომიძემ.** მისივე თქმით, სოფელს გვერდზე მდინარე შოროხევი ჩამოუდის და სახელიც აქედან შეირჩა.

**— ბატონო ზაზა, სარუსოსთვის სახელის შეცვლის მიზეზი რა გახდა?**

— სახელის გადარქმევის მოთხოვნის მიზეზი რა იყო, არ ვიცი, მაგრამ სოფელში ჩამოყალიბდა ასეთი აზრი, რომ უნდოდათ, სოფელს უკეთესი სახელი ჰქონოდა. სარუსო რატომ არ უნდოდათ, არ ვიცი, ეს მათი პრობლემაა. ამ გადაწყვეტილებაში არავითარი პოლიტიკური მოტივი არ არის.



ჩვენ ვთხოვეთ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, ეჩვენებინა სოფლის მცხოვრებლების მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომლითაც ისინი სარუსოსთვის სახელის გადარქმევას ითხოვდნენ, რაზეც უარი მივიღეთ. **„ხომ იცით, რომ ეს საკითხი ჩემი გადასაწყვეტი არ არის. მიმართეთ საკრებულოს თავმჯდომარეს ან მოითხოვეთ წერილობითი განცხადებით",** — განაცხადა ზაზა ლომიძემ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრს განცხადების ასლი „ადამიანის უფლებათა ცენტრის" იურისტმა ლია ხუროშვილმა მიაწოდა. **„სოფელ სარუსოს მოსახლეობა მოგმართავთ თხოვნით, სოფელ სარუსოს შეეცვალოს სახელი და ეწოდოს სოფელი შოროხი, რასაც მხარს უჭერს სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა და ვადასტურებთ ხელმოწერით",** — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს სარუსოს **380-მდე** მცხოვრებიდან **88 მოქალაქე** აწერს.

სარუსოს მცხოვრებლების თქმით, სოფლისთვის სახელის შეცვლის ინიციატივა ხელისუფლებას ეკუთვნის.

**„მთავრობა იყო მოსული და თქვეს, სოფელს სახელი უნდა გადავარქვათო. რუსული სახელიაო, მარტო ეს გვითხრეს, სხვა არაფერი. რა მნიშვნელობა აქვსო. განცხადებაზე ხელი მოვაწერეთ, ალბათ, საბჭოს თავმჯდომარე შეადგენდა. ჩვენს სოფელს არ დაუწერია განცხადება, იმათ მოიტანეს",** — ამბობს მაგამედ ომაროვი.

**„რაიონის ხალხი მოვიდა და თქვეს, სოფელს სახელი უნდა გადავარქვათო, რუსული სახელი ჰქვიაო. ხელი მოვაწერეთ, რაზე მოვაწერე, არ ვიცი. სხვებმა მოაწერეს და მეც მოვაწერე. გვითხრეს, სარუსო არ შეიძლებაო, ქართული სახელი უნდა ერქვასო. მერე ცოტა გავბრაზდით, ბუნტი გააკეთეთ, მაგრამ ჩავარდა ბუნტი, ეშინია,"** — აღნიშნავს ხაზუმა მაგამედოვი.

აიშა ხაიბულაევი, სარუსოს მცხოვრები: **„სოფელს რუსებმა დაარქვეს ეგ სახელი და არ შეიძლება, რომ ეგ ერქვასო. ისტორიული სახელი უნდა დავუბრუნოთო.
ჩვენ თანახმა არ ვიყავით, მაგრამ ჩვენი ნება კი არ არის".**

მადინათ რამაზანოვი, სარუსოს მცხოვრები: **„რუსული სახელი თუ გინდათ, რუსეთში წადითო. სად წავიდეთ ეხლა ჩვენ? მიზეზი ეგ არის, მეტი მიზეზი არ არის. ხელი მოვაწერე განცხადებას, რომელიც თვითონ მომცეს, მაგრამ შიგ რა ეწერა, არ ვიცი".**

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, სახელის შეცვლას უპირებენ სოფელ **ლენინოვკასაც** დედოფლისწყაროს რაიონში და სოფელ **რუსიანს** საგარეჯოს რაიონში.

**ბელა მთივლიშვილი**
კახეთის საინფორმაციო ცენტრი





რეგიონი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„ის, რომ დღეს, ვარშალომიძე ასეთი მტკივნეული რეგიონის მთავრობის თავმჯდომარე ბრძანდება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი არსებობა შესამჩნევი გახდა, კიევში სააკაშვილთან ერთად სწავლამ განაპირობა. მისი ინიციატივაა ისიც, რომ არჩევნების წინ მოსახლეობას მიწებს ურიგებენ, ხოლო არჩევნების ჩატარების შემდეგ — ართმევენ“.**

### ელიზბარ ჯაველიძე:

# ვარშალომიძის დამსახურებით აჭარა დღეს საქართველოს ტერიტორია აღარ არის



**აჭარის მთავრობის თავმჯდომარის — ლევან ვარშალომიძისა და მიხეილ სააკაშვილის კიევში „სტუდენტური თანაცხოვრება“ აჭარისთვის დამღუპველი აღმოჩნდა. თუკი ადრე აჭარას ავტონომიის ფორმალური ნიშნები მაინც ჰქონდა, დღეს მას ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული ფსევდო მთავრობა მართავს ვარშალომიძის მეთაურობით. გარდა ამისა, ვარშალომიძის ოჯახურმა კლანმა, სწორედ პრეზიდენტის ხელშეწყობით, აჭარის ტერიტორიის ნაწილი „საინვესტიციოდ“ თურქებს ჩაუგდო ხელთ, დანარჩენი კი თავად მიითვისა. აჭარაში მიმდინარე პროცესებსა და მათში ვარშალომიძის როლზე „საქართველო და მსოფლიოს“ აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე და პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი ესაუბრნენ.**

**ელიზბარ ჯაველიძე:**
— მინდა განვაცხადო, რომ ვარშალომიძის პირადი „დამსახურებით“ აჭარა დღეს საქართველოს ტერიტორია აღარ არის, რადგან იქ უკვე გაბატონდა თურქული ბიზნესი და თურქული არქიტექტურა. აჭარის ადილობრივი მოსახლეობაც გულისტკივილს გამოთქვამს, რომ **თურქეთი ისეთ პოლიტიკას ატარებს აჭარაში, თითქოს ეს ტერიტორია მისი განუყოფელი ნაწილი იყოს. თურქეთი აჭარას ტანკისა და იარაღის გამოყენებით კი არ ითვისებს, არამედ — ეკონომიკის წყალობით და ამ პროცესებს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს როგორც სააკაშვილ-ვარშალომიძის ტანდემი, ასევე — თურქეთის სახელმწიფოც.** იგი საამისოდ იაფ კრედიტებსაც კი გამოყოფს. ასე რომ, აჭარის ეკონომიკა დღეს ვარშალომიძიან-სააკაშვილიანად, მგონი, უკვე თურქეთის ხელშია.

**ის, რომ დღეს, ვარშალომიძე ასეთი მტკივნეული რეგიონის მთავრობის თავმჯდომარე ბრძანდება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი არსებობა შესამჩნევი გახდა, კიევში სააკაშვილთან ერთად სწავლამ განაპირობა. მისი ინიციატივაა ისიც, რომ არჩევნების წინ მოსახლეობას მიწებს ურიგებენ, ხოლო არჩევნების ჩატარების შემდეგ — ართმევენ“.**

### ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# სააკაშვილის ხუშტურებსა და ვარშალომიძის ამბიციებს აჭარის ავტონომია შეეწირა



**ჰამლეტ ჭიპაშვილი:** — ვარშალომიძე კიევში სააკაშვილთან ერთად სწავლობდა, არ ვიცი ზუსტად, ერთ სართულზე თუ ერთ ოთახში. როცა ბატონი მიხეილი ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა, ვარშალომიძე მაშინვე რკინიგზის ხელმძღვანელად დანიშნა, ასლან აბაშიძის აჭარიდან წასვლის შემდეგ კი აჭარის მთავრობის ხელმძღვანელად გადაიყვანა. დღეს, როცა პრემიერ-მინისტრები ცხვირსახოცებივით იცვლებიან, ვარშალომიძე შეუცვლელია. არადა, **იშვიათად მოიძებნება ისეთი პოლიტიკური ფიგურები, თუ შეიძლება დღევანდელ თანამდებობის პირებს ასე ვუწოდოთ, რომელთაც ამდენი წელი გაეძლოთ თანამდებობაზე. ვარშალომიძემ ამისთვის ბევრი იღვაწა, პირველ რიგში, მან თავის გადარჩენის ხერხები შეიმუშავა და სააკაშვილთან უსიტყვო მორჩილებასა და მხარდაჭერაში გამოიჩინა თავი. იგი მუყაითად ასრულებდა და ასრულებს მიხეილის ნებისმიერ სურვილს, თან ისე, რომ მისი სიმპათია დაიმსახუროს, მეტიც — კარგად შეისწავლა, რა სიამოვნებს სააკაშვილს და რა არა.**

როცა სააკაშვილი საქართველოში იმყოფება, დროის უმეტეს ნაწილს სწორედ აჭარაში ატარებს, შესაბამისად, მისი მხრიდან მეტი დატვირთვა აჭარის მთავრობაზე მოდის, განსაკუთრებით — ვარშალომიძეზე. ამ დროს ვარშალომიძეს ყოველდღიური კონტაქტი უწევს პრეზიდენტთან. არადა, სააკაშვილის ყოველდღე ყურება ისედაც რთული ასატანია, ის კი უსმენს მის „ბრძნულ“ მოსაზრებებს — რა აშენდეს აჭარაში და რა არა. ასე რომ, ამ გრაფიკის მქონე ვარშალომიძემ ალღო აუღო სიტუაციას საკუთარი ტყავის დასაცავად და ზედმიწევნით ასრულებს სააკაშვილის ყველა ხუშტურს აჭარაში. **სააკაშვილის ხუშტურებსა და ვარშალომიძის პირად ამბიციებს აჭარის ავტონომია შეეწირა. მას ავტონომიის მხოლოდ სტატუსი შემორჩა. მიუხედავად იმისა, რომ აჭარას პარლამენტი, მთავრობა და საკუთარი კონსტიტუციაც გააჩნია, მაინც არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი რეგიონებისგან, რადგან არ აქვს ავტონომიის მთავარი ატრიბუტი, ყველაფრის განმკარგველი იქ სააკაშვილია და არა — აჭარის ადგილობრივი მთავრობა.**



ვარშალომიძის მოღვაწეობის მანძილზე მისი ერთი-ორი გამოსვლა თუ გამახსენდება, ერთი კი განსაკუთრებით „შთამბეჭდავი“ იყო. მან მთავრობის სხდომაზე გაბედა, პრეტენზია, ხელისუფლების მისამართით გამოეთქვა და ცენტრალური ხელისუფლებისგან ადგილობრივი კადრების დანიშვნა აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოითხოვა, ეს იყო და ეს.

ლევან ვარშალომიძის ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ იგი მართლაც „სტუდენტობისდროინდელი მეგობრის“ — სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ აღზევდა, მანამდე კი არანაირ ფიგურას არ წარმოადგენდა.

ლევან ვარშალომიძემ 1994 წელს ქ. კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი დაამთავრა, იურიდიულ მეცნიერებათა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხით. 1994-1999 წლებში სწავლა განაგრძო კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის ასპირანტურაში. მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი სპეციალობით სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო საპროცესო სამართალი, საოჯახო სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი. 1998-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო-სამართლებრივ დეპარტამენტში ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსად; 2000-2002 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

2002 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროში იურიდიული დეპარტამენტის დირექტორად; 2002 წლის მარტიდან — საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში საერთაშორისო კერძო სამართლის განყოფილების მეცნიერ-მუშაკად.

2002-2004 წლებში სოლიდური პასუხიუსმგებლობის საზოგადოების „დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე“ პარტნიორია. 2004 წლის იანვრიდან დაინიშნა შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურ დირექტორად.

იგი 2004 წლის 5 მაისს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულად დაინიშნა, ხოლო 2004 წლის 20 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ დაამტკიცა.

„ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცლის, ან ფერსაო“, მართლაც, სააკაშვილთან გატარებულმა წლებმა ვარშალომიძეს ზნეც გამოაცვლევინა და ფერიც. მას შემდეგ, რაც იგი აჭარის მთავრობის თავმჯდომარე გახდა, ვარშალომიძეების ოჯახმა მთელი ბათუმის ხელში ჩაგდება განიზრახა. ამის ერთ-ერთი მაგალითია, ლევან ვარშალომიძის მამის — გურამ ვარშალომიძის მიერ ბათუმში, ბარათაშვილის ქ.№20-ში სამსართულიანი სახლის ძალადობრივი ხერხით შეძენა. როგორც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, ლელა აბესაძეს სიცოცხლე გაუმწარეს იმ მოტივით, რომ იგი ზემოაღნიშნული სახლის ერთ-ერთი მაცხოვრებელი იყო და, სხვა მეზობლების მსგავსად, ვარშალომიძეებს ბინის მიყიდვაზე არ დასთანხმდა. ჯერ იყო და ვარშალომიძეების გაძლიერებული დაცვა ქალბატონ ლელასა და მის სტუმრებს უზომოდ ავიწროებდა — ჩანთებს გამუდმებით უჩხრეკდნენ და შესვლისას აბრკოლებდნენ, მეტიც, თურმე ქალბატონ ლელას ხშირად გვიან ღამემდე გარეთ აყურყუტებდნენ. თუმცა ამას როდი დასჯერდნენ, რადგან „ურჩი“ მეზობელი ვერ გატეხეს და ბინის მიყიდვაზე მაინც ვერ დაიყოლიეს, ვარშალომიძეებმა ხულიგნობის მუხლით იგი პატრულს დააკავებინეს და 5-დღიანი სასაჯელიც მოახდევინეს.

ასეთი ძალადობრივი და არაადამიანური გზებით შენობის სამივე სართული დღეს ვარშალომიძეების კუთვნილებაა.

ვარშალომიძეების ქონების შესახებ გამოძიება ადგილობრივმა გაზეთმა „ბათუმელებმა“ 2010 წელს ჩაატარა. რედაქციის მონაცემებით, **აჭარის მთავრობის თავმჯდომარის — ლევან ვარშალომიძის, ოჯახის ქონებამ, საჯარო რეესტრის მონაცემებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენიმე მილიონს მიაღწია. ლევან ვარშალომიძის მამა — გურამ ვარშალომიძე და ძმა – ირაკლი ვარშალომიძე ხელვაჩაურში, სოფელ შარაბიძეებში 11 056 კვ/მეტრი მიწის მფლობელები ხდებიან. მათი ქონება იზრდება ბათუმში, სადაც ამჟამად მთავრობის თავმჯდომარე და მისი ოჯახი ცხოვრობს. რაც შეეხება ბათუმში ვარშალომიძეების ქონებას, ვარშალომიძეების საკუთრებაში 2003 წლამდე ბათუმში, ბარათაშვილის ქ.№20-ში, ერთი საცხოვრებელი ბინა იყო რეგისტრირებული. საჯარო რეესტრის მონაცემებით, დღეს ამ მისამართზე ვარშალომიძეები, კონკრეტულად კი ირაკლი ვარშალომიძე, რვა ბინის მფლობელია, საერთო ფართობით – 539,71 კვ/მეტრი.**

2007 წელს, არჩევნების წინ, საქართველოს პრეზიდენტმა განკარგულება გამოსცა ხელვაჩაურში მიწების მარტივი წესით დარეგისტრირების შესახებ. პრეზიდენტის ბრძანებით, მიწა საკუთრებაში იმ შემთხვევაში უნდა გადასულიყო, თუ მას დროებითი მფლობელი დიდი ხნის მანძილზე პრაქტიკულად იყენებდა. სწორედ მაშინ დაირეგისტრირეს ვარშალომიძეებმა ერთ ჰექტარზე მეტი ფართობი ხელვაჩაურში. თუმცა, როგორც ვარშალომიძეების თანასოფლელები ამბობენ, ამ მიწებთან გურამ ვარშალომიძის ოჯახს შეხება არ ჰქონია. ასევე სოფელ შარაბიძეებში 8026 კვ/მეტრის მფლობელად გურამ ვარშალომიძე მიიჩნევა, 3030 კვ/მეტრი კი ირაკლი ვარშალომიძის საკუთრებაშია. გარდა მიწებისა, ვარშალომიძეების ოჯახს სხვა უძრავი ქონებაც შეემატა. 2008 წელსაა რეგისტრირებული დასასვენებელი სახლი კურორტ „ბეშუმში“.

**ეკა რობაქიძე**

> « **აჭარის მთავრობის თავმჯდომარის — ლევან ვარშალომიძის ოჯახის ქონებამ, საჯარო რეესტრის მონაცემებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენიმე მილიონს მიაღწია** »

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„ერთმა გონიერმა ქართველმა კაცმა დამიანე გოგოხიამ, რომელიც წლების მანძილზე პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში მეორე მდივნად მუშაობდა, მითხრა, რომ აფხაზებს მეგობრობის საოცარი უნარი აქვთ. თუ ერთხელ ასეთად მიგიღო და გცნო, სიკვდილამდე არ გიღალატებსო“**



დამიანე გოგოხია



# ნაპოლეონ ქარქაშაძე: არ არიან მარტივი ხალხი აფხაზები, არც მათთან ბრძოლა იყო მარტივი

**დაპირებისამებრ, ვაგრძელებთ საუბარს პროფესორ ნაპოლეონ ქარქაშაძესთან აფხაზურ-ქართულ პრობლემებზე. შეგახსენებთ, რომ სწორედ ბატონი ნაპოლეონი იყო ინიციატორი აფხაზური „აიდგილარას“ წარმომადგენლების შეხვედრისა ზვიად გამსახურდიასთან პრეზიდენტად მის არჩევამდე. ამ თემით გრძელდება ჩვენი საუბარი.**

## სტუმრებს სკამებიც კი არ შესთავაზეს

— „აიდგილარას“ სამი წარმომადგენელი, — **ამბობს ნაპოლეონ ქარქაშაძე,** – ჩამოვიყვანე სოხუმიდან **ზურაბ აჩბა, „აიდგილარას“ თავმჯდომარის მოადგილე; დავით ფილია, პარტიის ტყვარჩელის ქალაქკომის პირველი მდივანი, „აიდგილარას“ პრეზიდიუმის წევრი (აფხაზებისთვის ამოსავალი პრინციპი ეროვნული კუთვნილება იყო. პარტიულ და საბჭოთა ნომენკლატურას ყურადღებას არ აქცევდნენ); იგორ ქეცბაია, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ესეც — „აიდგილარადან“.**

შეხვედრა რუსთაველის საზოგადოებაში გაიმართა. აფხაზებმა გვთხოვეს, საგნობრივი საუბარი რომ გამოგვივიდეს, ნუ იქნებიანო 7-8 კაცზე მეტი ზვიად გამსახურდიასთან ერთადო.

**შევედით დანიშნული დროისთვის ოთახში და ვხედავთ, გავსებულია ხალხით იქაურობა, ფანჯრების რაფებზეც კი სხედან. სტუმრებისთვის ადგილი არ არის. დგანან ეს ჩვენი აფხაზები და არ იციან, როგორ მოიქცნენ. ძალიან უხერხული სიტუაცია შეიქმნა. ვხედავ, ერთ მხარეს დგას ტახტი. ცარიელია. მივიწვიე სტუმრები. დამხვდურები წინ გადაგვიდგნენ — აქ გამსახურდია უნდა დაჯდესო.**

მოვიდა ზვიად გამსახურდია და ამ ტახტის შუაში დაჯდა.

აფხაზები დგანან ფეხზე.

რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეს — თენგიზ სიგუას ვანიშნე, რომ ასე არ ივარგებდა. მანაც წამოყარა სათათბირო მაგიდასთან მიმჯდარი რამდენიმე კაცი და, როგორც იქნა, დავსვით აფხაზები.

ყოველგვარი მისალმების გარეშე ზვიად გამსახურდიამ ჯიქურ მიმართა სტუმრებს:

— **Ну, начнем?**

იძულებული ვიყავი, მე დამეწყო ლაპარაკი. ავუხსენი, რომ აფხაზები თავიანთი საზოგადოების მიერ დელეგირებული იყვნენ თბილისში კონკრეტული წინადადებების წარმოსადგენად.

**— რომელი წინადადებების?**

— წინა დღით ჩავატარეთ თათბირი და შევთანხმდით, რომ შექმნილი ურთულესი მდგომარეობიდან გამოსასვლელად ყველაზე ეფექტიანი იქნებოდა ქართულ-აფხაზურ ლიბერალურ კონფედერაციაზე შეთანხმება.

**— რა იგულისხმებოდა ლიბერალურ კონფედერაციაში?**

— იგულისხმებოდა, რომ ცენტრალური ხელისუფლება არ უნდა ჩარეულიყო აფხაზეთის საშინაო პოლიტიკაში, მაგრამ შენარჩუნებული იქნებოდა ერთიანი არმია, ერთიანი ვალუტა, ერთიანი საგარეო პოლიტიკა.

**— ერთიან საზღვრებში?**

— დიახ, ერთიან საზღვრებში. დაიწყო ამაზე საუბარი ზურაბ აჩბამ. ლაპარაკობს ეს კაცი და ადგილებიდან არ წყდება წამოძახილები, რომელთა შორის ყველაზე „უწყინარი“ იყო:

— **Откуда приехали эти абсуа!**

ცივი ოფლი მასხამს. თუ ასე გაგრძელდა ადგებიან ეს აფხაზები და წავლენ, ეს კი ნიშნავდა, რომ დაიწყებოდა დაპირისპირების ახალი და უფრო დაუნდობელი ეტაპი.

— **Вы уже закончили**? — ეკითხება ზვიად გამსახურდია ზურაბ აჩბას.

— **Пока что** — **да**!

ზვიად გამსახურდია იწყებს ლაპარაკს და ეუბნება, რომ მათ ჯერ უნდა წაიკითხონ მისი ნაწერები და შემდეგ წამოაყენონ თავიანთი წინადადებები. მე ვწერ და ახლაც გიმეორებთ, რომ ფართო კულტურულ ავტონომიას მოგცემთო:

— Я Вам даю широкую культурную автономию.

— И Вы думаете, Звиад Константинович, что мы будем жить на своей территории на правах армян?! — იყო პასუხი.

— А что Вы еще хотите? — კიდევ რა გინდათო?! — ისე მიმართა, რომ ეს ნიშნავდა დისკუსიის დამთავრებას.

მაშინ ჩავერიე და ვთქვი, რომ აფხაზები ჩამოვიყვანეთ მათი წინადადების განსახილველად და, ეგებ, მათი პოზიციის განსჯა-განხილვაზე გადავსულიყავით.

**— თქვენ საერთოდ ვინ ხართ?**

შევცბი. ვინ ვიყავი და — ინსტიტუტის რექტორი, ქართული მოძრაობის დამაარსებელი აფხაზეთში... აფხაზებისთვის ავტორიტეტული კაცი, ახლა კი...

**— რეაქცია?**

— არავითარი... უშედეგოდ დამთავრდა ასე ნალოლიავები და ნაწვალები შეხვედრა. შეიძლება ვცდები, მაგრამ აფხაზებს თბილისში ასეთი კატეგორიულობა და მაქსიმალიზმი რომ არ დახვედროდათ, მოვლენები, გამორიცხული არ არის, სხვა კალაპოტით განვითარებულიყო...

## როცა ბუნების კანონი ირღვევა

**— აფხაზებზე მინდა შეგეკითხოთ. ერთმა გონიერმა ქართველმა კაცმა დამიანე გოგოხიამ, რომელიც წლების მანძილზე პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში მეორე მდივნად მუშაობდა, მითხრა, რომ აფხაზებს მეგობრობის საოცარი უნარი აქვთ. თუ ერთხელ ასეთად მიგიღო და გცნო, სიკვდილამდე არ გიღალატებსო.**

— სწორად უთქვამს. სანიმუშო მეგობრობა იციან აფხაზებმა. ინსტიტუტის რექტორად რომ დავიწყე მუშაობა სოხუმში, პრობლემები იქაურმა ქართველებმა შემიქმნეს. მხარში კი სწორედ ინსტიტუტში მომუშავე აფხაზები ამომიდგნენ, თანაც — ძალიან სერიოზულად.

**— ქართველები რას გედავებოდნენ?**

— ეს კაცი რას ჩამოგვიყვანეს, ჩვენ აქ არ ვიყავითო? აფხაზებმა თქვეს — ეს კაცი აქ საქმის გასაკეთებლად ჩამოვიდა და ჩვენი მოვალეობაა დავეხმაროთო.

**აფხაზები, ჩემი დაკვირვებით, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი განათლებული ხალხი ჰყოლოდათ. ხაზს ვუსვამ — განათლებული და არა მხოლოდ დიპლომიანი ახალგაზრდები.**

პროტექციონიზმი მაშინაც იყო, ახლაც არის და მომავალშიც იქნება.

**— ოღონდ ადრე ნათლიმამობა ერქვა, ახლა — „ერთ გუნდში“ ყოფნა.**

**— ჰოდა, როცა ინსტიტუტის ქართველი თანამშრომლები თავიანთ მამიდაშვილებსა და ბიძაშვილებზე მაწუხებდნენ. აფხაზი ამას არავითარ შემთხვევაში არ კადრულობდა.**

მათემატიკის კათედრის გამგედ ჩვენთან ღირსეული აფხაზი კაცი გიორგი ხაშბა მუშაობდა. ერთხელ ვკითხე:

— ჟორა, ნუთუ ნათესავი არავინა გყავს, არავის შეუწუხებიხარ, რომ არასოდეს არაფერი გითხოვია-მეთქი ჩემთვის?

— როგორ არა, ბატონო ნაპოლეონ, — მიპასუხა მან, — მაგრამ ჩემი ერის დევალვაციას მე ხელს ვერ შევუწყობო.

**ერთმანეთის საოცარი თანადგომა ახასიათებთ აფხაზებს, სიყვარული და პატივისცემა. შეიძლება სრულიად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები ჰქონოდათ, მაგრამ ერთმანეთის ღირსებას ცუდად არასოდეს შეეხებიან. მყავდა ერთი პრორექტორი ვიქტორ ხიშბა, ბიჭვინთიდან იყო, ლიძავადან. მამამისი დოროფეი ხიშბა ანტიქართველი იყო. მაგრამ მე მათ ოჯახში მიღებულ კაცად ვითვლებოდი და ბატონი დოროფეი (დოროთე) როგორც შვილს, ისე მიყურებდა.**

თბილისში ვარ ჩამოსული, შვებულებაში ვიმყოფები, და შემატყობინეს, რომ ვიქტორი მოულოდნელად გარდაიცვალა. იმავე დღეს დავბრუნდი სოხუმში და საღამოს სატირალში მივედი. მივუსამძიმრე მისი ოჯახის წევრებს და აივანზე გავედი სიგარეტის მოსაწევად.

**— სოხუმში ხართ?**

— დიახ. ამ დროს მოდის ჩემთან ერთი თანამშრომელი და მორიდებით მეუბნება, რომ ბატონი დოროფეი მისვლას გთხოვთო. ოთხმოცს გადაცილებული კაცი იყო.

რა თქმა უნდა, მივედი.

მეუბნება:

— მაპატიე, ჩემო შვილო, რომ ჩემთან გიხმე. მოხუცი კაცი ვარ და მიჭირს სიარულიო.

რას ბრძანებთ-მეთქი.

— ახლა რასაც გეტყვი, ნუ შეეცდები გადამათქმევინო, რადგან არ არსებობს ამქვეყნად ძალა, რომელიც ჩემს გადაწყვეტილებას შემაცვლევინებს. შენ კი გეუბნები იმიტომ, რომ შემდეგ საქვეყნოდ შენ გამოაცხადოო.

გავვოგნდი და ყურადღებად ვიქეცი.

— ხვალ დილაადრიან გავუყვები ლიძავასკენ გზას. ჩემს ვაჟს რომ გადმოასვენებენ, იქ დავხვდები (ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, უნივერსიტეტში დაგვესვენებინა, იქ გამოვმშვიდობებოდით და შემდეგ წაგვესვენებინა ბიჭვინთაში). როგორც შეშვენის ასეთი შვილის დამკარგავ კაცს, ისე დავიტირებ და შემდეგ მივაბარებო ჩემს ცოდვილ სულს უფალს.

გთხოვ, მამა-შვილი ჩვენს ეზოში ერთად დაგვკრძალოთო.

საკმაოდ დაბნეულმა, ასეთ ლაპარაკს არ ველოდი, სასიკვდილო რა გჭირთ-მეთქი, ვუთხარი, და, ესეც რომ არ იყოს, ვიქტორის შვილებს ხომ სჭირდებათ მიხედვა?

— დაირღვა ბუნების კანონი, — მითხრა ბატონმა დოროთემ, — ჩემს შვილს მე უნდა დავეტირებინე, მაგრამ ღმერთმა სხვაგვარად ინება. ვიცი, რომ ღმერთის წინააღმდეგ მივდივარ. მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია. წერილს დავწერ და თქვენი ნათქვამის შემდეგ წაიკითხავენო.

— ბატონო დოროფეი, ამის გაკეთება არ შეიძლება, გთხოვთ გადაიფიქროთ!

— არა, არა, — თქვა, ხელი მკლავზე მომკიდა, თავისკენ მიმიზიდა, შუბლზე მაკოცა და ღმერთი იყოს შენი მფარველიო, მითხრა.

ჩავასვენეთ საწყალი ვიქტორ ხიშბა ლიძავაში, მამა-პაპის სახლში. გამოგვეგება შავებში ჩაცმული დოროფეი, ხმით იტირა, იგმინა, სახე დაიკაწრა, ჩაეხუტა თავის შვილს, ღმერთს რაღაც შეჰღაღადა და ბარბაცით აუყვა რამდენიმე საფეხურიან კიბეს, შინ შევიდა და ძველებური დამბაჩით განიგმირა შუბლი...

**არ არიან მარტივი ხალხი აფხაზები, მათთან ბრძოლაც არ იყო მარტივი.**

**ჩემი დაკვირვებით, აფხაზი არასოდეს შეეცდება, თავისი აზრი სხვა ერის წარმომადგენელს თავს მოახვიოს. თუ მიხვდები, რომ იგი მართალია და მხარს დაუჭერ, ესიამოვნება. ეს ერთი.**

**მეორე კი გულითადობაა. საქმეს თუ ხელს მოჰკიდებენ, გულით გააკეთებენ.**

**— ცხონებული დოროფეიც ანტიქართული განწყობილების კაცი იყოო, თქვენ თქვით.**

— ძალიან თავისებურად. და რომ გაგარკვიოთ, ეს თავისებურება რას ნიშნავდა, ერთ ამბავს მოგიყვებით.

მირეკავს ერთ დღეს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა და მეუბნება, თუ შეიძლება, რომ თქვენმა პრორექტორმა მამამისის სახლში აფხაზ უხუცესებთან მოსალაპარაკებლად მიგვიღოსო.

**— ესე იგი, დოროფეის სახლში?**

— დიახ. სტუმრის მიღებაზე აფხაზი უარს როგორ იტყვის?! მივედით — საკავშირო კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი რაზუმოვსკი, საქართველოს კომპარტიის ცეკას მეორე მდივანი კოლბინი, ადლეიბა, მე, ვიქტორი, აფხაზი ხანდაზმულები — ათიოდ კაცი ჩოხებში გამოწყობილი.

თამადად დოროფეი დადგა.

ერთ მომენტში მან სუფრის წარმართვის წესი დაარღვია და მაღალ სტუმრებს მიმართა:

— ვიცი, რომ საქმისთვის ხართ ჩამოსულები და ჩვენი აზრი გაინტერესებთ, — და დაიწყო.

ლაპარაკობდა რუსულად: საუკუნეების მანძილზე ამ მიწაზე ვცხოვრობთ აფხაზები, ჩვენ აბორიგენები ვართ. მოვიდა ქართველი, დასახლდა. კარგი მეზობლობა გვაქვს. მოვიდა სომეხი. დასახლდა. არც იმასთან გვაქვს ცუდი დამოკიდებულება. ვმეზობლობთ, ვეხმარებით ერთმანეთს. რუსი მოვიდა და ასევე არის. მაგრამ ქართველი რომ მოხვედი, მეზობლობას არ დასჯერდი და ჩემი ხელმძღვანელობა მოინდომე. რა უფლებით?

ვსხედვართ აქ — ქართველი, აფხაზები და რუსები და ვსაუბრობთ რუსულად. იმიტომ, რომ ქართული არ ვიცი. როცა მთელი საბჭოთა კავშირი რუსულად ლაპარაკობს, რატომ უნდა ვიყოთ ჩვენ საქართველოს შემადგენლობაში და არა იმ ენობრივ სივრცეში, რომელიც გვესმის და მეორე მშობლიურ ენად მიგვაჩნია? ქართველებთან, გარდა კეთილმეზობლობისა, საერთო არაფერი გვქონია.

**ქართველებს კი აქ ხელმძღვანელად გვიგზავნით. ახლა ჩვენთან მუშაობს ერთი პირველი მდივანი, მივედით და ჩვენი წინადადებები შევთავაზეთ. არაფერი რომ არ გააკეთა, მეორედაც მივედით, მაგრამ აღარ მიგვიღო. კიდევ მივედით და კიდევ არ მიგვიღო. რად გვინდა ისეთი კაცი, რომელმაც აქაური არაფერი იცის, გაგებაც არ სურს და თავზე იმიტომ გვაზის, რომ ქართველიაო?**

**— კონკრეტულ პიროვნებაზე ლაპარაკობდა?**

— დიახ. მაგრამ მე არ ვასახელებ იმიტომ, რომ კარგა ხნის გარდაცვლილია... ▶

**« შევთანხმდით, რომ შექმნილი ურთულესი მდგომარეობიდან გამოსასვლელად ყველაზე ეფექტიანი იქნებოდა ქართულ-აფხაზურ ლიბერალურ კონფედერაციაზე შეთანხმება. »**



ზვიად გამსახურდია:
თქვენ ვინ გეკითხებათ!
თქვენი გაკეთებული საქმეები
ჩვენ უკვე ვნახეთ! როგორც
ორჯერ ორი ოთხია,
ისე აირჩევთ არძინბას!..

# რა უთხრა დოროფეი ხიშბამ რაზუმოვსკის, კოლბინსა და ადლეიბას?!

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**— დარჩა პასუხგაუცემელი პატივცემული დოროფეი-დოროთეს პოლიტიკური დეკლარაცია?**

— აფხაზებში წესია: შვილი, რაგინდ მაღალი რანგის პიროვნება იყოს, მამის ნებართვის გარეშე სუფრასთან ვერ დაჯდება. ვიქტორი — ჩემი პრორექტორი იცავდა ამ წესს და სტუმრებს გვემსახურებოდა. ქართულად ვესაუბრებოდი იმიტომ, რომ იცოდა. და ჩემი საპასუხო სიტყვაც ამ მომენტიდან დავიწყე.

ალბათ, შეამჩნიეთ, — მივმართე სტუმრებს, — რომ ამ აფხაზმა კაცმა, ინსტიტუტის პრორექტორმა შესანიშნავად იცის ქართული. მისმა შვილებმა, რომლებიც სოხუმში, კელასურში დაიბადნენ და იზრდებიან, ასევე მშვენივრად იციან ქართული ენა. მათი ნათესავი ვლადიმერ ხიშბა საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილედ მუშაობს. — ვინმე მოვიდა თქვენთან, გენადი ვასილიევიჩ, — მივმართე ცეკას მეორე მდივანს, — პრეტენზიით, თუ რატომ არის აფხაზი ასეთ მაღალ თანამდებობაზე?

კოლბინმა — არაო, როგორ გეკადრებათო.

ცეკაში მუშაობს განყოფილების გამგედ კაპბა, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა ლაბახუა, აფხაზი კაცი, და ჩამოვუთვალე ის აფხაზები, ვინც მახსოვდა, რომლებიც ხელმძღვანელ თანამდებობებზე იყვნენ იმ პერიოდში. თუნდაც თქვენ, — მივუბრუნდი კოლბინს, — რუს ადამიანს, შეგექმნათ რაიმე პრობლემა საქართველოში თქვენი ეროვნული წარმომავლობის გამო?

კოლბინმა — არა, რა თქმა უნდაო.

და განვაგრძე იმ თემაზე ლაპარაკი, რომელიც ამ უმაღლესი რანგის კომუნისტებს კარგად ესმოდათ, კერძოდ, სოციალისტური სამშობლოს ერთიანობასა და ურღვეობაზე.

ამან გაჭრა. უკანა გზაზე, სტუმრების „ჩაიკაში" რომ ვისხედით, მადლობა მითხრეს.

**— აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ქართველი და აფხაზი დეპუტატების კვოტების საკითხი, ინსტიტუტის რექტორად თქვენი იქ ყოფნის პერიოდში წამოიჭრა, მგონი.**

— კი, და ქართველები სასტიკი წინააღმდეგი ვიყავით იმ განაწილების, რომელიც მაშინ შემოგვთავაზეს: 26 — ქართველი დეპუტატი, 28 — აფხაზი, 11 — დანარჩენი ეროვნებების წარმომადგენლებისთვის. დისკრიმინაციულად მივიჩნიეთ ასეთი პროექტი.

სამწუხაროდ, რა არის, იცით? ქართველებმა ის 26 ადგილიც ვერ ავითვისეთ. ერთმანეთი დავჭამეთ. აფხაზებმა არა მარტო უპრობლემოდ შეავსეს თავიანთი კვოტა, არამედ დანარჩენ თერთმეტ ადგილზე ისეთი სომხები და რუსები შეარჩიეს, ვინც მათ უჭერდა მხარს.

**— რა ვერ გაიყავით, რატომ მოხდა ასე?**

— ამბიციურობამ დაგვღუპა. მაგრამ მარტო ამან არა — მთელი თაიგული იყო ნეგატიური მომენტების: თავდაჯერებულობა, მიკერძოება, ზერელობა, ორმაგი თამაში და ა.შ.

## ორჯერ ორივით არჩეული არძინბა და ოთხი წინააღმდეგი

ამ ყველაფერმა თავი განსაკუთრებით იჩინა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის დროს.

**— არძინბასი?**

— დიახ, არძინბასი. ამ დროს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორობისთვის გამოცხადებულ კონკურსში უკვე გამარჯვებული ვარ. მაგრამ ვარ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და, რა თქმა უნდა, ჩავედი სოხუმში. იმავე საღამოს ტურბაზის დირექტორის — მეშველიანის კაბინეტში შეიკრიბა ქართველების დეპუტაცია. ჩვენთან იყო პროფესორი ალექსიძეც, ზვიად გამსახურდიას თანაშემწე. შევთანხმდით, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა აგვერჩია არძინბა. აუცილებელი გახდა, რომ ამ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ გვეცნობებინა ზვიად გამსახურდიასთვის, რომელიც ამ დროს უკვე ქვეყნის პირველი პირი იყო. ეს საქმე მე დამავალეს. შინაგან საქმეთა სამინისტროდან, სადაც მინისტრად ლომინაძე მუშაობდა, „ვჩ" კავშირით დავურეკე გამსახურდიას და მოვახსენე დანაბარები.

პასუხად მივიღე აღელვებული კაცის რეაქცია: — თქვენ ვინ გეკითხებათ! თქვენი გაკეთებული საქმეები ჩვენ უკვე ვნახეთ! როგორც ორჯერ ორი ოთხია, ისე აირჩევთ არძინბას!.. და ასე შემდეგ.

ბოდიში მოვუხადე და ასე დამთავრდა „შეთანხმება". ღამის სამ საათზე ჩემს სახლთან რომ მივედი, ეზოში დამხვდა ბორის ადლეიბას თანაკლასელი, ოჩამჩირეში ერთ-ერთი ტრესტის მმართველი გივი ჯიტავა. ადლეიბა უკვე აღარ არის პირველი მდივანი, მაგრამ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატია.

ჯიტავა მეუბნება, რომ ბორის ვიქტოროვიჩი გთხოვთ, ოჩამჩირეში ჩამოხვიდეთ და შეხვდეთო.

ეტყობოდა, რომ ძალიან სერიოზული ამბის გამო მიბარებდა.

წავყევი გივის. ჩავედით მის სახლში. ვხედავ, ბუხართან სხედან ადლეიბა, ერთ-ერთი მეურნეობის დირექტორი ბიგვავა, კიდევ რამდენიმე აფხაზი.

ბორისმა პირდაპირ საქმით დაიწყო:

**— ხვალ გაიმართება სესია და თქვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ არძინბას არჩევა. ЕСЛИ ВЫ ЕГО ИЗБЕРЕТЕ, БУДЕТ ВОЙНА И ПОГИБНЕТ МОЙ МАЛЕНЬКИЙ НАРОД, — აირჩევთ და იქნება ომი, რომელშიც ჩემი პატარა ხალხი განადგურდება.**

ვუთხარი, ზვიად გამსახურდიასთან ამ თემაზე საუბრის შესახებ.

მაინც გთხოვთო დაჟინებით, ვინაიდან გამსახურდიამ არ იცის, ვინ არის ეს კაციო.

მაშინ ნებართვა ვითხოვე, რომ დამემოწმებინა მასთან შეხვედრა და ისე გამეცნო ზვიად გამსახურდიასთვის ეს მოსაზრება.

დამეთანხმა.

არადა, ილევა ღამე. დილის 11 საათზე იწყება სესია.

> « ჩიხიდან გამოსავალს აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენაში ვხედავ. მოლაპარაკებაში ისინიც უნდა მონაწილეობდნენ, ვინც აფხაზეთს იცნობს, ჰქონდა ურთიერთობა აფხაზებთან, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩა ავტორიტეტი. დღეს ასეთი ადამიანები გარიყული არიან ამ პროცესიდან. »

10 საათზე კვლავ გივი ლომინაძის კაბინეტიდან შინ ვურეკავ ზვიად გამსახურდიას. მიპასუხებენ — ძინავსო.

რამდენიმე წუთში ისევ ვრეკავ. ჯერ არ გაულვიძიაო. იძულებული გავხდი, მეთქვა, რომ ვარ ნაპოლეონ ქარქაშაძე და ვრეკავ სასწრაფო და მნიშვნელოვანი საქმის გამო. ყურმილში ქალის აღშფოთებული ხმა ისმის: — ვინ არის ეს ნაპოლეონ ქარქაშაძე, რომ რეკავს? კიდევ რაღაც ხმები მესმის და ბოლოს ტელეფონთან მოდის ზვიად გამსახურდია.

— ბატონო ზვიად, — ვეუბნები, — არ აღელდეთ, არ ანერვიულდეთ, მაგრამ არ მაქვს უფლება, არ გადმოგცეთ იმ საუბრის შინაარსი, რომელიც ბორის ადლეიბასთან მქონდა.

— ადლეიბა ვინ არის?

— ადლეიბა არის პიროვნება, რომელიც ათი წელიწადი მუშაობდა საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და ახლაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს აფხაზებს შორის. მისი აზრიც არის, რომ არძინბას არჩევა არ შეიძლება.

— ადლეიბას ვინ ეკითხება, არის თუ არა ასარჩევი არძინბა! თქვენი აშენებული ქვეყანა ჩვენ ვნახეთ, ახლა ჩვენ გვაცალეთ! და ასე შემდეგ.

ასეთი იყო პასუხი.

დრო კი 11 საათს უახლოვდება. გარეთ მელოდებიან გენერალი ლერი აბაშიძე, ოთარ ზუხბაია, ნოდარ მეძმარიაშვილი. ვუთხარი, რაც მოხდა, და წუთი წუთზე მივუსწარით სესიის დაწყებას. დავსხედით მეოთხე რიგში.

სესია გახსნა ოზგანმა, ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა, და წინადადება შემოიტანა არძინბას არჩევის შესახებ.

უყარა კენჭი. წინააღმდეგი ჩვენ ოთხნი აღმოვჩნდით — მე, ზუხბაია, მეძმარიაშვილი და აბაშიძე. წამოვდექი და ვთქვი, რომ მე არა მხოლოდ წინააღმდეგი ვარ, არამედ კატეგორიულად ვარ წინააღმდეგი და მოვითხოვე სიტყვა. განვაცხადე, რომ აფხაზეთში ურთულესი პოლიტიკური სიტუაციაა, საჭიროა ამ სიტუაციის ბრძნული გადაწყვეტილებებით განმუხტვა, უფლება არ გვაქვს, დავუშვათ შეცდომები. არძინბაზე ვთქვი, რომ, როგორც ამბობენ, ის კარგი მეცნიერია, მაგრამ არავითარი პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს. მისი არჩევით ჩვენ შეიძლება დავკარგოთ კარგი მეცნიერი და ხელში შეგვრჩეს სუსტი პოლიტიკური მოღვაწე და ა.შ.

ამიტეხეს სტვენა და ყვირილი: დარბაზი სავსე იყო უცხო ხალხით, რომელთაც დეპუტატობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ.

მოვითხოვე დარბაზის მათგან გაწმენდა.

გამოაცხადეს ხუთწუთიანი შესვენება.

ტრიბუნიდან არ ჩამოვდივარ.

როცა მარტო დეპუტატები დავრჩით, ვთქვი ჩემი სათქმელი ბოლომდე, რისი კვინტესენციაც ჩვენი ერთობლივად ცხოვრების გაგრძელება, ძმობა და მეგობრობა იყო.

**— აირჩიეს არძინბა, ხომ?**

— აბა, ოთხი წინააღმდეგი რას ვიზამდით?!

**— სხვა ქართველმა დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს?!**

— არ ვიცი. წინა რიგში ვიჯექით. უკან არ მიმიხედია.

## შემთხვევით გადარჩენილი

იმავე ღამეს, შინ რომ მივედი, თავს დამესხნენ. დაღლილი ვიყავი. დაძინების წინ ტელეფონი, სასადილო ოთახიდან საძინებელში შევიტანე — ვინმეს რომ დაერეკა, აუცილებლად რომ გამეგო. ღამის 2 საათისთვის გავიგონე, რომ კარზე ვიღაც ზარს რეკავს. ახალი ჩათვლემილი ვიყავი. ძლივს წამოვდექი, ვინ ხარმეთქი, ვიკითხე. ორი ნაბიჯი გადავდგი, ფეხით ტელეფონის შნურს გამოვედე და წავიქეცი.

წავიქეცი და დააყარა ვიღაცამ ავტომატის ჯერი ჩემს ხის კარს. დაცხრილეს.

ეტყობა, ჩემი წაქცევის ხმა რომ გაიგონეს, იფიქრეს, მოვკალითო და უქმომ, უქმომ-ს ძახილით გაიქცნენ.

დავრეკე უშიშროებაში. დაუყოვნებლივ მოვარდნენ, დილამდე ჩემთან იყვნენ. დილას თვითმფრინავის ტრაპამდე მიმაცილეს: — შენი აქ დარჩენა არ შეიძლებაო და გამომამგზავრეს თბილისში. ამის შემდეგ, სხვა დროს, კიდევ ორჯერ თავს დამესხნენ. გადავრჩი.

**— შეიარაღებული თავდასხმები, ეტყობა, შეიარაღებული დაპირისპირების მომასწავებელი იყო...**

— ჩვენ ვიცოდით, რომ აფხაზები იარაღდებოდნენ, ყიდულობდნენ იარაღს. ქართველებმაც დავიწყეთ ფულის შეგროვება — ვყიდულობდით სახლებს მრავალშვილიანი ოჯახებისთვის და, მგონი, იარაღსაც.

**— მაშინ ამიხსენით, რატომ იყო, რომ 15 ოქტომბერს, აფხაზეთში ჩვენი სამხედრო ნაწილის შესვლის მეორე დღეს, სოხუმელმა ქართველებმა თენგიზ კიტოვანს, მაშინდელ თავდაცვის მინისტრს, იარაღი რომ სთხოვეს, უარით გაისტუმრა? თუ შეძენილი ჰქონდათ, რაღას სთხოვდნენ?**

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მიხეილ ბღაჟბა, კონსტანტინე გამსახურდია, ბაგრატ შინკუბა, საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი დამიანე გოგოხია



— როცა საჭირო გახდა ამ იარაღის ხელში აღება, ვეღარ მივაკვლიეთ. რატომ, რა მიზეზით და სად გაქრა, დაე, მკითხველმა განსაჯოს.

**— მიგაჩნიათ, რომ ჩვენი ნაწილები რკინიგზის დასაცავად რომ არ შესულიყვნენ, თავიდან ავიცილებდით ომს?**

**— ედუარდ შევარდნაძე აფხაზეთში თვითონ რომ ჩასულიყო მოსალაპარაკებლად, ომი შეიძლება თავიდან აგვეცილებინა... ყველა სხვა შემთხვევაში მოხდებოდა ის, რაც მოხდა.**

სამწუხაროდ, შენ მართალი ხარ, ნაპოლეონ ირაკლიევიჩ!

— მიტინგები თუ გახსოვთ, პერმანენტულად რომ იმართებოდა იმ დროს?

— რა დამავიწყებს! 1989 წელია. ჩამოვიდნენ ერთხელ არაფორმალები თბილისიდან 50 ავტობუსით და გაგრაში მოინდომეს მიტინგის გამართვა, სტადიონზე. კატეგორიულად ვურჩიეთ, ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვაზე. ვინ გისმინა!

წავედით ჩვენც — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ზუხბაია, საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი მიშა წულაძე, აფხაზეთის პროფკავშირების თავმჯდომარე გიორგი ცობეხია და მე, რამე რომ არ მომხდარიყო, გამოუსწორებელი.

მივედით გაგრის საქალაქო კომიტეტში. ამ დროს მოდის ჩვენთან გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი ოზგანი და გვეუბნება, რომ მისი რაიონიდან გაგრისკენ მოემართება 400-მდე ხელკეტებით შეიარაღებული აფხაზი და მიტინგის მონაწილეთა უსაფრთხოებაზე გარანტიას ვერ მოგცემთო. ამიტომ, ეგებ, დროზე დაამთავრონ მიტინგიო. წავედით სტადიონზე, ვუთხარით, რაც ხდებოდა. ბევრს ვეცადეთ. მაგრამ უარი თქვეს არაფორმალებმა მიტინგის დამთავრებაზე, რომელიც უკვე სამი საათი მიმდინარეობდა.

აქაურ ქართველებს ყველაფრის გეშინიათ, მოვიდნენ და ჩვენც დავხვდებითო!

ჰოდა, შემოესიენ აფხაზები, მათ შორის, ქალებიც. დაიწყო დიდი ჩხუბი და... იმ საღამოს გაგრის საავადმყოფოში გაცილებით მეტი ქართველი მოხვდა, ვიდრე აფხაზი.

გამწარებული შევუვარდი ადლეიბას კაბინეტში. თავს ვერ ვაკონტროლებდი, გადავუტრიალე სათათბირო მაგიდა: — რა სინდისით ზიხარ აქ მშვიდად, როცა გაგრაში სისხლი დაიღვარა-მეთქი!

თავი არ აუწევია, ისე წამოდგა:

— К сожалению, ты прав Наполеон Ираклиевич, — მითხრა და მეორე ოთახში გავიდა.

**— ეს ყველაფერი იყო გუშინ. ხვალინდელი პერსპექტივა როგორ გესახებათ?**

— ჩიხიდან გამოსავალს აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენაში ვხედავ. ეს იქნება ხანგრძლივი პროცესი, მაგრამ იგი გარდაუვალია, თუ ნამდვილად გვსურს კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსვლა. მოლაპარაკებაში ისინიც უნდა მონაწილეობდნენ, ვინც აფხაზეთს იცნობს, ჰქონდა ურთიერთობა აფხაზებთან, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩა ავტორიტეტი. დღეს ასეთი ადამიანები გარიყული არიან ამ პროცესიდან.

* * *

**სიმართლის თქმას რომ გავურბივართ, უფრო ვშორდებით მას.**

**რაგინდ მწარე და მტკივნეული იყოს იგი, მაინც მიახლოება სჯობს. ბატონ ნაპოლეონთან საუბარმა ერთხელ კიდევ დამარწმუნა ამ სიმართლეში.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

მიმოხილვა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ამ „მწვანე ტალღისთვის" მზადება 2008 წლის აპრილში დაწყებულა, — WIKILEAKS-ზე დაყრდნობით გვამცნობს THE DAILY TELEGRAPH-ი, — 6 აპრილს FACEBOOK-ზე რამდენიმე ათეული ათასი ახალგაზრდა გაერთიანდა ჯგუფში, რომელიც ქალაქ ალ-მაჰალა ალ-კუბრას მუშების გაფიცვას უჭერდა მხარს. ეს გაფიცვა შემდეგ ნაციონალურ დაუმორჩილებლობაში გადაიზარდა. სწორედ ამ დღეს დაუდო სათავე ვირტუალურ ახალგაზრდულ მოძრაობას „6 აპრილი", რომელიც შემდგომში მითითებებს აძლევდა და პირდაპირ წარმართავდა მუშების მხარდამჭერ გამოსვლებს.**

# აშშ-მა ლიბიაში რევოლუციის მზადება 2008 წლის აპრილში დაიწყო, ანუ თავისუფლება ისე არ მოდის...



**WikiLeaks-ი წარმატებით განაგრძობს მსოფლიოს გაოცებას. ნამეტანი ბანალურად კი დავიწყე, მაგრამ, როცა მსოფლიო კრიზისის პირასაა და თანაც ამ ყველაფერს ის უწყობს ხელს, ვინც, წესით, ხელს უნდა უშლიდეს, ორიგინალურობის ნერვები და განწყობა ნამდვილად აღარ მაქვს. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, რომ WikiLeaks-მა ახალი ინფორმაცია დადო აშშ-ის მონაწილეობის შესახებ არაბულ სამყაროში ამჟამად მიმდინარე დედის წიოკში. ამ საიდუმლო ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის მთავარი მოკავშირე, ისრაელი, ომარ სულეიმანს დიდი ხნით ადრე მოიაზრებდა, როგორც ეგვიპტის მომავალ პრეზიდენტს.**

ისრაელის ხელისუფლება რამდენიმე წლის წინათ მისულა დასკვნამდე, რომ **„ომარ სულეიმანი უნდა ჩაითვალოს, მინიმუმ, დროებით პრეზიდენტად მაინც, იმ შემთხვევაში, თუ ჰოსნი მუბარაქი მოკვდება ან თავისი მოვალეობის შესრულებას ველარ შეძლებს".**

ხოლო The Daily Telegraph-მა WikiLeaks-ისგან მოიპოვა და გამოაქვეყნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საიდუმლო დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც **აშშ ფარულად უჭერდა მხარს იმ დისიდენტებს, რომელთაც 3 წლის წინათ ვაშინგტონს პირობა მისცეს, რომ ეგვიპტეში ხელისუფლებას 2011 წელს შეცვლიდნენ.**

**ამ რევოლუციებში რომ აშშ-ის ხელი ურევია, ამას ნებისმიერი მიხვდებოდა. სხვა თუ არაფერი, საკუთარ ზურგზე გვაქვს გამოცდილი (და დღემდე ვცდით), რასაც ნიშნავს მათი მხარდაჭერა რევოლუციისას და რა სიკეთე და ბოროტება მოჰყვება მას.**

მაგრამ არაბულ რევოლუციებში (მე ამ ტალღას „მწვანე რევოლუციების ტალღას" დავარქმევდი, მწვანე – ისლამის ფერია) შეტანილია ერთი მნიშვნელოვანი სიახლეც – სოციალური ქსელები, რომელიც არანაირ საზღვრებს არ ემორჩილება და მათი ზეგავლენა საზოგადოებაზე, უფრო ზუსტად, საზოგადოების ბრბოდ ქცევაზე.

**ჩვენ მაგაშიც ჩამორჩენილი ვართ – ჩვენ რომ რევოლუცია ვქენით, მაშინ ტელევიზია იყო მთავარი საინფორმაციო საშუალება. პრინციპში, ახლაც ასეა – მაგაში მაინც ვართ დაზღვეულები, ძალიანაც რომ მოინდომონ, ჩვენთან ინტერნეტით რევოლუცია გამორიცხულია – ჩვენთან კომპიუტერი რომ აქვს და მისი მოხმარება იცის, მაგდენი ხალხი ლიბიაში დახოცეს უკვე.**

**ამ „მწვანე ტალღისთვის" მზადება 2008 წლის აპრილში დაწყებულა, — WIKILEAKS-ზე დაყრდნობით გვამცნობს THE DAILY TELEGRAPH-ი, — 6 აპრილს FACEBOOK-ზე რამდენიმე ათეული ათასი ახალგაზრდა გაერთიანდა ჯგუფში, რომელიც ქალაქ ალ-მაჰალა ალ-კუბრას მუშების გაფიცვას უჭერდა მხარს. ეს გაფიცვა შემდეგ ნაციონალურ დაუმორჩილებლობაში გადაიზარდა. სწორედ ამ დღეს დაუდო სათავე ვირტუალურ ახალგაზრდულ მოძრაობას „6 აპრილი", რომელიც შემდგომში მითითებებს აძლევდა და პირდაპირ წარმართავდა მუშების მხარდამჭერ გამოსვლებს.**

ამ მოძრაობის ლიდერები იმავე 2008 წელს ნიუ იორკში მიიწვიეს სხვა 15 რესპუბლიკის ახალგაზრდული მოძრაობების ლიდერებთან ერთად, სადაც დაიგეგმა კიდეც „მწვანე ტალღა" და მისი სავარაუდო შედეგებიც დაითვალეს.

**საინტერესოა, რომ ამ შეკრებაში, ძირითადად, აშშ-ის გუშინდელი მოკავშირე ლიდერების ქვეყნებიდან მონაწილეობდნენ ახალგაზრდები. როგორც ჩანს, ობამას წინასაარჩევნო სლოგანი „ცვლილებების დროა" მართლაც მუშაობს („საქმე ლაპარაკის ნაცვლად" კი არ არის, რომ არ იმუშაოს) და ეს ცვლილებები აშკარად არ ეხება შტატების შიდა პოლიტიკას.**

აღმოსავლეთ ევროპაში გამოცდილი და აპრობირებული რევოლუციების ტალღა არაბულ სამყაროს მოედო, ამ ტალღას აშშ-ის გუშინდელი მოკავშირე ლიდერების გარკვეული ნაწილი უკვე შეეწირა და ნაწილიც თავის რიგს ელოდება.

თანაც, როგორც The Daily Telegraph-ი წერს, ამ ტალღებისა და ცვლილებების ნამდვილ შემოქმედს, აშშ-ის რუხ და ჭაღარა კარდინალს, ჩვენს ჯიგარს, ჯონ მაკეინს უთქვამს: **„ეს ცვლილებები მხოლოდ ახლო აღმოსავლეთით არ უნდა შემოიფარგლოს. თავისუფლების ქარი უბერავს და მისი შეჩერება შეუძლებელიაო!".**

ასე რომ, ეს ტალღა აქეთაც წამოვა და, როგორც აქედან ჩანს, ახალ რევოლუციებს ვარდებისა მხოლოდ ფერი აქვს და მეტი არაფერი...

> **« ეს ცვლილებები მხოლოდ ახლო აღმოსავლეთით არ უნდა შემოიფარგლოს. თავისუფლების ქარი უბერავს და მისი შეჩერება შეუძლებელია! »**

# მოგენატრებათ კადაფი, ანუ მუამარის წყევლა

*„მაშ, ეგრე შეისმინე მამის დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასაგან მოძულებულო, დედმამის საფლავიდან ამომდგებო!..*
*რა სასჯელი არის, რომ შენ გადაგიწყვიტოთ?.. — ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი მსაჯულების მიუბრუნდა — მომძეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩურჩუნებს და სამართალს ითხოვს! გადასწყვიტე თემო!"*
*(ალექსანდრე ყაზბეგი, „ხევისბერი გოჩა").*



**დომინოს პრინციპი ამოქმედდა, ეგვიპტემ და ტუნისმა დემოკრატიის ახალი შუქურები „დალნიზე" ჩართეს და მსოფლიომაც მზერა ლიბიას მიაპყრო, სადაც ერთ-ერთი ყველაზე ძველი და გამოცდილი ლიდერი — მუამარ კადაფი იჯდა და თავის საქმეს მშვიდად აკეთებდა.**

იჯდა რა, ახლაც ზის!

ზის და არც აპირებს გადადგომას!

ეგ კი არა, რამდენიმე დღის წინათ სიტყვით გამოვიდა და ხალხს მიმართა: **არსად წასვლას არ ვაპირებო! ვინც ჩემს წინააღმდეგ გამოდიხართ, წყეულიმც იყავითო!**

თუმცა რაღა მე ვილაპარაკო, აი, ნიუსიც:

**„მე არასოდეს დავტოვებ ლიბიის მიწას, ვიბრძოლებ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და მოვკვდები ჩემს თანამემამულეებთან ერთად, როგორც წამებული. კადაფი უბრალო პრეზიდენტი არ არის, რომ წავიდეს. ის რევოლუციის ლიდერი და მეომარი-ბედუინია, ლიბიელებისთვის დიდების მომტანი. ჩვენ, ლიბიელები წარსულში წინააღმდეგობას ვუწევდით აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს და არც ახლა დავნებდებით",** — განაცხადა კადაფიმ.

მისივე თქმით, ლიბიას რევოლუცია არ სურს და დემონსტრანტები არა ლიბიას, არამედ ეშმაკს ემსახურებიან.

**„წყეულიმც იყავით",** — მიმართა ლიბიელებს კადაფიმ.

პრეზიდენტი ირწმუნება, რომ ქვეყანაში არანაირი ომი არ არის და უკმაყოფილება ახალგაზრდების ჯგუფმა გამოიწვია.

**„ვირთხებს, დაქირავებულებს, რომლებიც საკუთარ ქვეყანას პატივს არ სცემენ, სურთ ეგვიპტისა და ტუნისის მოვლენების კოპირება და ისლამური სახელმწიფოს, ახალი ავღანეთის შექმნა",** — ასე მოიხსენია კადაფიმ დემონსტრანტები.

მე არ ვაპირებ ლიბიაში მტყუან-მართლის გარჩევას, მაგრამ ფაქტია — ეს ის შემთხვევაა, როცა სხვის შეცდომებზე სწავლა ნამდვილად არ გვაწყენდა.

წყევლაცაა და წყევლაც — დიდ დიქტატორებსა და მმართველებს ოკულტიზმისთვის ადრეც არაერთხელ მიუმართავთ, მაგრამ ახლა სხვა შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე.

**როგორც ჩანს, ვინც ეს რევოლუციები მოიფიქრა, ვეღარ გაითვალისწინა, რომ რევოლუციის ცდის პირებიდან რამდენიმე უძველესი ცივილიზაციის ნაშთებზეა აღმოცენებული და ამ ქვეყნებში დიდი ენერგიის გამოთავისუფლება (გადადექი, გადადექი...) აუცილებლად გამოიწვევდა რამე წყევლისმაგვარის გაღვიძებას (ან ხელისუფალში წყევლის სურვილის გაღვიძებას), რაც აშკარად არავის მისცემდა ხელს.**

არ ვიცი, ეს ჩემი ნახევრადხუმრობა რამდენად შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ ზებუნებრივ ძალებს თუ არა, სხვას რას უნდა მივაწეროთ რევოლუციისშემდგომი მოვლენები?

მოვყვეთ თავიდან — მოხდა „ვარდების რევოლუცია" საქართველოში, მერე მოჰყვა უკრაინის „ნარინჯისფერი" და შემდეგ ყირგიზეთის ნამეტანი სისხლისფერი რევოლუცია.

**არ გასულა რამდენიმე წელი და უკრაინაში რევოლუციურმა ხელისუფლებამ დნეპრის წყალი დალია, ხოლო ყირგიზეთი ისევ სისხლმა და ცეცხლმა წალეკა. ყველა რევოლუციური ქვეყანა აირია, საქართველოს გარდა და „ჩამოიშალა".**

დაიწყო „ფერადი რევოლუციების" მეორე ტალღა, ამჯერად არაბულ სამყაროში. გააძევეს ტუნისის პრეზიდენტი, ეგვიპტეში გადადგა მუბარაქი, მხოლოდ ის რჩება თავის ადგილზე, ვინც თავის დროზე მოასწრო და დაწყევლა ხალხი, ანუ — მუამარ კადაფი.

მე არ ვარ ლიბიელი, ამიტომ არ მაქვს უფლება, კადაფის პატრიოტიზმში ეჭვი შევიტანო, მხოლოდ ფაქტებით ვმსჯელობ: **ლიბიის ლეგენდარული პრეზიდენტი ძალიან მოხუცია. თანაც მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება უკვე გადავიდა ოპოზიციის მხარეს, ასე რომ, სავარაუდოდ, კადაფის ხელისუფლებაში ყოფნის დღეები უკვე დათვლილია.**

გაივლის წლები და ლიბიელი ხალხი ცრემლიანი თვალებით გაიხსენებს მეექვსე თაობით ტრიპოლელ ყარიბ პოეტს, რომელმაც რევოლუციის პერიოდში თავის ბლოკნოტში, მარჯვნიდან მარცხნივ, ბატიფეხური არაბულით ჩაწერა: **მოგენატრებათ კადაფი...**

მანამდე კი „ინტერპრესნიუსმა" მაცნობა, რომ ლიბიის ბელადმა განაცხადა: **„ლიბია ეგვიპტე და ტუნისი არ არის და ლიბიელებმა საკუთარი ბედის შეცვლა თვითონ უნდა შეძლონ".**

არც საქართველოა ლიბია, ბატონო კადაფ! **არც ასეთი იოლად დასამორჩილებელი ხალხი გყავთ, როგორც ქართველები და არც ასეთი უთავმოყვაროები კიდევ! არც ორ მილიონად მომიტინგეების "დამშლელი" ნასყიდი ოპოზიცია გყავთ, არც პარლამენტში გაგაჩნიათ ყოფილი ოლიგარქის ყოფილი ხელისბიჭის, გაიძვერა გამყიდველის ვითომ ოპოზიციური ფრაქცია, რომელსაც თქვენი შინაგან საქმეთა მინისტრი ციბრუტივით ატრიალებს. ასე რომ, თქვენ თქვენი რეჟიმის შესანარჩუნებლად მთელი არმია, აგენტურული ქსელი, სისასტიკე და კანონის სიმკაცრე დაგჭირდათ, მაგისთვის აქ ორიოდე ტელევიზია და კარგი რეჟისორი ირჩევა მხოლოდ.**

ვნახოთ, სადამდე გაჭრის პრეზიდენტის წყევლის ძალა... ამბობენ, წყევლა — მაწყევარსაო და...



თქვენ რომ ჩვენებურად იცოდეთ, ვისზე აპირებს თქვენი მთავრობა იარაღის გაყიდვას, მუზარაქივით დაამხობდით დღესვე! დიდი განათლება არ სჭირდება იმის მიხვედრას, რაში შეიძლება ამ იარაღის გამოყენება, ვინაიდან და რადგანაც იარაღს მხოლოდ ერთი დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს – ის ომისთვისაა შექმნილი.
მით უმეტეს, რომ საქართველოში ახლა იწყება ნამდვილი ეკონომიკური კრიზისი. ეკონომიკური კრიზისისას კი, ძირითადად, ადამიანები საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიან ხოლმე.

მიმოხილვა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# არ მისცეთ პირომანს ასანთი!




**ხომ ვამბობდი, ჯოშუა კუცერა გვჭირდება-მეთქი? ჯოშუა კუცერა აუცილებლად გვჭირდება! ამ ხნის განმავლობაში ერთი-ორი კარგი ჯოშუა კუცერა არ უნდა გვყოლოდა? უნდა გვყოლოდა!**

**გასულ კვირას ჯოშუა კუცერამ ისევ გამოაქვეყნა ძალიან საინტერესო პოსტი თავის ბლოგზე და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ მხოლოდ ბრიყვები სწავლობენ საკუთარ შეცდომებზე.**

**საუბარი ისევ აშშ-ის მიერ ჩვენს მხარდაჭერასა და იარაღით დახმარებაზეა. კერძოდ კი, ჩემ მიერ წინა ნომერში ნახსენები „ამერიკული პროგრესის ცენტრის“ ექსპერტების, ჩარაპისა და ველტის მიერ მომზადებულ ანგარიშზე, რომლის თანახმადაც, აშშ ჩვენთვის იარაღის გადმოცემით „ბერლინის კედლის ეფექტს“ სამუდამოდ განამტკიცებდა.**

**მივყვეთ თავიდან:**

ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ საქართველოში არსებულ კონფლიქტებს განვითარების ორი შესაძლო სცენარი ჰქონდა — „ბერლინის კედლის“, რომელიც ამ კონფლიქტს დიდი ხნით გააჩერებდა ძალთა ბალანსის ხარჯზე (გააჩერებდა და არა გადაწყვეტდა) და მეორე, რომელიც რეალური დიპლომატიური ჩარევის გზით რეალურ შედეგებს მოიტანდა.

მოდი ვნახოთ, რა წერია ანგარიშში:

**„საქართველოს დაუცველობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ სამხრეთ-ოსეთში შორი დამიზნების სარაკეტო სისტემების ინსტალირებაა (სმერჩი და ტოჩკა-UU), რადგან მათ თბილისს ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ დაარტყან...**

**შორი დამიზნების არტილერიის დისლოცირება სამხრეთ-ოსეთში მხოლოდ ამძაფრებს საქართველოს დაუცველობას და არაფერს მატებს სამხრეთ-ოსეთის უსაფრთხოებას. აშშ-ის მთავრობამ უნდა მოითხოვოს ასეთი შეიარაღების გატანა სამხრეთ-ოსეთიდან...“**

იდეალური ვარიანტია!

**ქართულ-რუსული კონფლიქტისთვის 15 წლის მეოცნებე ბავშვის თვალითაც რომ შეგეხედათ, ამაზე უკეთესს მაინც ვერ დაინახავდით რასმე!**

მაგრამ ამ დიდებულ გეგმას ერთი ნაკლი აქვს, რასაც ჯოშუა კუცერა უჩემოდაც კარგად მიმხვდარა და დაუწერია კიდეც:

**„რაღა თქმა უნდა, ეს ამერიკელების მიერ დაწერილი რეკომენდაციაა და ისეა შედგენილი, რომ ამერიკელ პოლიტიკოსებს გამოადგეთ, მაგრამ ვაშინგტონს ვუსურვოთ წარმატება, რომ რუსეთს ეს ყველაფერი გააკეთებინოს“.**

წარმატების სურვების გარდა გულმხურვალე ლოცვაც არ აწყენდა ამ გეგმის განხორციელებას!

**საქმე ისაა, რომ არ არსებობს ძალა, თვინიერ დიპლომატიისა, რომელიც რუსეთს ომით მოპოვებული ტერიტორიების დათმობასა და აღიარებების გაუქმებას აიძულებს.**

**დიპლომატიის მაგიერ კი რას აკეთებს აშშ? რა თქმა უნდა, იარაღს ყიდის საქართველოზე და, სტატიის ავტორთა თქმით, „ბერლინის კედლის ეფექტს“ ამყარებს:**

„... შეიარაღების მიყიდვის მომხრეები ვაშინგტონში ისეთ რიტორიკას მიმართავენ, რომელიც საქართველოს მომავალს ხშირად პირველი სცენარით განსაზღვრავს (გაყოფილი ბერლინი): შეერთებულ შტატები უნდა დაეხმაროს თავის მეგობრებს იმაში, რომ ის ქართული „ბერლინის კედლის“ საკუთარ მხარეს გამაგრდეს და მანამდე შეძლოს იქ ყოფნა, სანამ მისი მტერი არ აფეთქდება“.

**ელოდეთ! რუსეთი საბჭოთა კავშირი კი არაა, რომ ადრე თუ გვიან დაიშალოს და დაქუცმაცდეს. ეს უკვე ძლიერი სახელმწიფოა, ფედერაციული დერჟავა, რომელიც საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, ხელოვნურად შექმნილი არაა.**

„მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორები აღნიშნავენ, რომ აშშ-ის მიერ შეიარაღების მიყიდვა ცუდი იდეა იქნებოდა, არა მარტო იმიტომ, რომ ის საქართველოს შეტევისკენ წააქეზებდა, არამედ იმიტომ, რომ „ბერლინის კედლის“ მენტალიტეტს განამტკიცებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯიუტად არ ცვლი პოზიციას და უარს ამბობ თანამშრომლობაზე...

„მაგრამ ასეთ ქცევაზე საპასუხოდ საქართველოსთვის იარაღის მიწოდება და მხარდაჭერა მხოლოდ გაართულებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენის პროცესს. აშშ-ის მთავარი მიზანი უნდა იყოს კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა საქართველოს საყოველთაოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, ხოლო ამ მიზნით მისთვის შეიარაღების მიყიდვა საუკეთესო შემთხვევაში ირელევანტური და შექმნილ ვითარებაში მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი იქნებოდა.

შეიარაღების მიყიდვა შექმნიდა შთაბეჭდილებას, რომ შეერთებული შტატები ემხრობა ერთ მხარეს და ეწინააღმდეგება ყველა აქტიორის მორიგებას. გარდა ამისა, ეს ნაბიჯი გამოიწვევდა კონფლიქტის ზონის შემდგომ მილიტარიზაციას, რაც, როგორც ცნობილია, მადესტაბილიზებელი ფაქტორია. არსებობს რუსეთის ქცევის გამოსწორების სხვა გზები, კერძოდ კი ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესება და შესაბამისი სტიმულების შექმნა, რასაც ნეგატიური გავლენა არ ექნებოდა კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესზე“.

როგორც ჩანს, ეს ხალხი მართლა საღად აზროვნებს!

**გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, მართალიაო, რუსეთმა ტერიტორიები შეაიარაღაო, და არტილერია და რაკეტები დადგაო, მაგრამ საქართველოსთვის იარაღის მიყიდვა პრობლემას კი არ გადაჭრისო, პირიქით, გაამძაფრებსო!**

ეეჰ, ჩემო ჩარაპ და ველტ, ჩემო კუცერა და კიდევ ჩემო გენიალურო ამერიკელებო! **თქვენ რომ ჩვენებურად იცოდეთ, ვისზე აპირებს თქვენი მთავრობა იარაღის გაყიდვას, მუზარაქივით დაამხობდით დღესვე!**

**ადამიანების ჯგუფი, რომელიც პირადი გადარჩენისა და გამორჩენისთვის ყველაფერზე არიან წამსვლელები, რომლებმაც უკვე მიჰქარეს ერთხელ და პროვოკაციაზე წამოეგნენ (მე ვიტყოდი — წამოეხივნენ), ახლა თქვენგან იარაღის ყიდვას აპირებს!**

დიდი განათლება არ სჭირდება იმის მიხვედრას, რაში შეიძლება ამ იარაღის გამოყენება, ვინაიდან და რადგანაც იარაღს მხოლოდ ერთი დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს – ის ომისთვისაა შექმნილი.

**მით უმეტეს, რომ საქართველოში ახლა იწყება ნამდვილი ეკონომიკური კრიზისი. ეკონომიკური კრიზისისას კი, ძირითადად, ადამიანები საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიან ხოლმე.**

და როგორ გგონიათ, ძვირფასო ამერიკელო მკვლევარებო, თქვენ მიერ შეიარაღებული ხელისუფლება ხალხის უკმაყოფილების გადატანას რით შეეცდება? ისევ ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსი მახსენდება: **გაგონილა თავლაში ხანძრობანას თამაში?**

**არ შეიძლება პირომანს (მანიაკალურად მიდრეკილი ცეცხლის გაჩენისადმი) ასანთი ჩაუდო ხელში და განაცხადო, რომ ეს მისი სიბნელიდან გამოყვანის ერთადერთი საშუალებაა!**

გვერდები მოამზადა **ლექსო ლეკიაშვილმა**

# პატიმარი ციხის უფროსს წამებაში ადანაშაულებს

**პატიმარ ტარიელ საყვარელიძეს, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ყური ჩამოითალა (მასზე „საქართველო და მსოფლიომ“ ვრცლად მოგითხროთ), ამჯერად სხეული ბასრი საგნით აქვს დასერილი. სასტიკად ნაწამები პატიმარი გლდანის დაწესებულების ახლადდანიშნულ დირექტორს — ვაჟა ცხვედიანს ადებს ხელს. საყვარელიძე წამების მსხვერპლი არაერთხელ გამხდარა. მის ცემასთან დაკავშირებით თანამდებობიდან გაათავისუფლეს სამკურნალო დაწესებულების ყოფილი ხელმძღვანელი ბუთლიაშვილი, თუმცა მოგვიანებით იგი სასჯელაღსრულების სამინისტროში სხვა თანამდებობაზე დანიშნეს.**
**საყვარელიძე სასჯელს მძიმე დანაშაულისთვის იხდის, იგი ფსიქიურად დაავადებულია. მაგრამ, ექსპერტიზის არაერთი დასკვნის მიუხედავად, მისი სამკურნალო დაწესებულებაში ხანგრძლივად, განკურნებამდე, მოთავსება არადა არ მოხერხდა.**
**„საქართველო და მსოფლიო“ ტარიელ საყვარელიძის ადვოკატს — ვლადიმერ ტაბაღუას დაუკავშირდა.**

**ვლადიმერ ტაბაღუა:**

— საყვარელიძეს ჯანმრთელობის მდგომარეობა გამწვავებული ჰქონდა და რუსთავის მეორე დაწესებულებიდან სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს. მას სცემენ, აძლევენ ბასრ იარაღს. ამჯერად დაჩეხილი აქვს კიდურები — ორივე ხელი და ფეხები. როგორც ამბობს, ახალმა დირექტორმა და სხვა თანამშრომლებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, სასტიკად სცემეს, ასევე ემუქრებოდნენ დაწესებულების ყოფილი დირექტორის — ბუთლიაშვილის მიყვანითაც. შემდეგ კი ისევ გაწერეს სამკურნალო დაწესებულებიდან. საყვარელიძეს სჭირდება ინტენსიური მკურნალობა, მშობლები ყოველთვის ვერ ახერხებენ წამლის შეგზავნას ციხეში. მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ხუთი დასკვნა არსებობს, განაჩენშიც მითითებულია ეს, მაგრამ ამეტებენ უფლებამოსილებას. აღნიშნულთან დაკავშირებით მივმართე დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რათა მიიღოს ზომები, აღდგენილ იქნას პატიმრის შელახული უფლებები, ამავე დროს ილახება მისი, როგორც პაციენტის უფლებებიც, რადგან მას არ უტარდება შესაბამისი მკურნალობა. დეპარტამენტის ხელმძღვანელისგან მოვითხოვე, გასცეს შესაბამისი განკარგულება, რომ შემდეგში მისმა თანამშრომლებმა აღარ გაიმეორონ მსგავსი დანაშაულებრივი საქციელი.

**— თქვენ თქვით, რომ მას ბასრ საგნებს აძლევენ, ამას განზრახ აკეთებენ, რომ თავი დაიზიანოს?**

— რა თქმა უნდა, ამას სპეციალურად აკეთებენ. მიუგდებენ ბასრ საგნებს — თუ გინდა, თავი მოიკალიო. მე რომ შევდივარ ციხეში, მჩხრეკენ, ის კი ყოველი ცემის დროს არის დაჭრილიც, თითქოს თვითდაზიანებები მიიყენა. მისი ფიზიკური ლიკვიდაცია უნდათ, შეკვეთილია ეს დაზარალებულის მიერ თუ რა ხდება, არ ვიცი. ასე გრძელდება 2008 წლიდან დღემდე. იმასაც ამბობენ, თითქოს ყოფილი დირექტორი რადგან ამის გამო გაათავისუფლეს, ამიტომ სჯიან. ეს არის თვითნებობა, უფლებამოსილების გადამეტება და პირდაპირი დაინტერესება, რომ პატიმარს შეუქმნან ტანჯვა-წამების გარემო და აწამონ.

**— როცა მან ყური ჩამოითალა, მაშინ გაურკვეველი იყო და ახლა თუ დადგინდა, თავად ჩაიდინა ეს საყვარელიძემ თუ აქაც ვინმეს ბრალეულობა გამოიკვეთა?**

— არაფერი დადგენილა, გამოძიება არაფერს ადგენს, ექსპერტიზა გვიან ჩატარდა. თვითონ სხვადასხვანაირად საუბრობს, რადგან ფსიქიურად დაავადებულია; ხან ამბობს, მე ჩამოვითალე და შევჭამეო, ხან ვიღაცამ ჩამომაჭრაო. მისი ნათქვამით ვერაფერს დაადგენ. მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ეს ადამიანი ნამდვილად დაავადებულია ფსიქიურად და ასეთ მდგომარეობაში აყენებენ.

**— და ადმინისტრაციის თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ ეს თვითდაზიანებებია?**

— რა თქმა უნდა, 2008 წლიდან დღემდე 5-ჯერ თუ ექვსჯერ აღიძრა საქმე, ყოველთვის ადგენენ, რომ თვითდაზიანებები მიიყენა, მაგრამ საიდან აქვს ეს ბასრი, მჭრელი იარაღი საყვარელიძეს, არ იკვლევენ. ტელეფონი რომ შეიტანო, ფული რომ შეიტანო, დაგსჯიან, მჭრელი იარაღის შეტანაც დასჯადია და ამისთვის რატომ არავის სჯიან? ამის დადგენა მათ არ სურთ.

**— ვაჟა ცხვედიანს ადანაშაულებს საყვარელიძე წამებაში?**

— დიახ, ცხვედიანს, სამკურნალო დაწესებულების ახალ დირექტორს. მას მელაძე და ბუთლიაშვილიც უხსენებია, შენ რომ გგონია, არც ერთი არ არის გათავისუფლებული, ახლავე მოვიყვან ორივეს, რადიატორზე მიგაბამენ და ნახავ, რას გიზამენო, ემუქრებოდა და თან სცემდა, როგორც საყვარელიძე ამბობს, და ეს მოხდა იმის გამო, რომ პატიმარი ხალათით გამოვიდა პალატიდან.

**— ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბუთლიაშვილიც და მელაძეც კვლავ დააბრუნეს სასჯელაღსრულების სისტემაში.**

— მელაძე არ ვიცი, ბუთლიაშვილი კი მე-8 საპყრობილეში სოციალური განყოფილების უფროსად დანიშნეს, შესაძლოა, ისევ დააწინაურონ. ისეთი პრეტენზიები იყო მის მიმართ, საერთოდ არ უნდა აღედგინათ, მაგრამ ეს არის ერთი გუნდი, ახალაიას მოყვანილი ხალხი და ამიტომაც ხდება ასე.

ესაუბრა **სოფო გელაშვილი**

ოლიმპიადა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ყველა ობიექტი კაპიტალურად შენდება და ოლიმპიადის მასპინძლებს იმედი აქვთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენების წინაშე თავს არ შეირცხვენენ.**



# კურორტ სოჭს

## წერილი მეორე

**პირველ წერილში უკვე აღვნიშნე, რომ სოჭში დსთ-ს, ბალტიისპირელი და ქართველი ჟურნალისტების პრესტურის ინიციატორი იყო რუსეთის უდიდესი მულტიმედიური საინფორმაციო სააგენტო „რია-ნოვოსტი“ და „ერთიანი საინფორმაციო ცენტრი“. საქართველოს კი საიფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის გენერალური დირექტორი და მთავარი რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი წარმოვადგენდით.**

2014 წელს ასეთი იქნება იმერეთის დაბლობი



**„რია-ნოვოსტის“** შესახებ ისედაც ბევრი რამ არის ცნობილი (**სხვათა შორის, ეს სააგენტო წლეულს 70 წლის ხდება და ყველას დავასწრებ — მოსკოვში ზაფხულისთვის დაგეგმილ საიუბილეო ღონისძიებებამდე გაცილებით ადრე მინდა მივულოცო კოლეგებს ეს ღირსშესანიშნავი თარიღი! ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ამ პრესტურის, ევრაზიის მედიაფორუმებისა და სემინარებისთვის,** რომლებიც ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისა და კონტაქტების დამყარება-გაღრმავების საშუალებას გვალევს).

რაც შეეხება „ერთიან საინფორმაციო ცენტრს“, იგი სპეციალურად 2014 წლისთვის სოჭში დაგეგმილი 22-ე ზამთრის ოლიმპიური და 11-ე პარალიმპიური თამაშების გასაშუქებლად და ოლიმპიადისწინა მზადების მსოფლიოსთვის გასაცნობად 2009 წელს შეიქმნა რუსეთის მთავრობის განკარგულებით. **მისი ორი ოფისიდან ერთი მოსკოვში, „რია-ნოვოსტის“ შენობაშია განთავსებული** (რა დამთხვევაა — ეს შენობა სპეციალურად 1980 წლის ოლიმპიადის საერთაშორისო პრესცენტრისთვის აშენდა თავის დროზე!), **მეორე კი — უშუალოდ ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში.**

ჩვენ „ცენტრის“ ოფისს კვლავ დავუბრუნდებით, როცა სოჭის მერთან — ანატოლი პახომოვთან შესახვედრად მივგიწვევენ. ახლა კი ოლიმპიურ ობიექტებზე და ახალ დასახლებებში გამომყევით და ერთად ვნახოთ, რა შენდება იმერეთის დაბლობზე.

### პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში

**როგორც უკვე იცით, ოლიმპიური ობიექტები ორ — სამთო და ზღვისპირა კლასტერებად არის გაყოფილი. სამთო კლასტერმა ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ვფიქრობდი, ნეტავ, აქ რაღა იქნება ისეთი, ასევე სასიამოვნოდ რომ გაგვაოცებს-მეთქი.** როცა ამით დავინტერესდი, ჩვენმა თანმხლებმა, „რია-ნოვოსტის“ პასუხისმგებელმა რედაქტორმა ვალერია პანინამ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და მიპასუხა, ამას ახლავე ნახავო...

იმერეთის დაბლობის ზღვისპირა ზონა ერთ დიდ სამშენებლო პოლიგონად არის გადაქცეული. უპირველესად, იმ ადგილს გვიჩვენებენ, სადაც ოლიმპიური სოფელი, პრესცენტრი და ტელეცენტრი განთავსდება. **შენობის მაკეტი უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა პირობებში მოუწევთ მუშაობა ოლიმპიადის გასაშუქებლად სოჭში ჩასულ ჟურნალისტებს** (სხვათა შორის, მთის კლასტერში უკვე შექმნილია ამგვარი პირობები). ამის შემდეგ კი იწყება სიების გადამოწმება და პასპორტების კონტროლი — მშენებარე ობიექტების უსაფრთხოებას აქაც განსაკუთრებულად იცავენ.

**ზღვისპირა კლასტერში, ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად, ოლიმპიური ობიექტები წრიულად იმგვარადაა განლაგებული, რომ ყველა მათგანის შემოვლას სულ რაღაც 20 წუთი სჭირდება.**

ოლიმპიური პარკი — ცენტრალური სტადიონი, ყინულის სპორტის სასახლე, დახურული საციგურაო ცენტრი, ყინულის არენა კერლინგისთვის, დიდი და პატარა ყინულის არენები ჰოკეისთვის, — აი, ის ოლიმპიური ობიექტები, რომლებიც იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ მშენებლობის მთავარ გმირებს — მუშებს, უპირველესად, ოლიმპიური სოფლის მეზობლებს მისასალმებლად ხმის აწევაც არ დასჭირდებათ.

ჩვენთან შესახვედრად სახელმწიფო კორპორაცია „ოლიმპსტროის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი ალექსანდრა კოსტერინა გამოემართა და საგანგებოდ მოწყობილ სტენდთან მიგვიწვია. მის საუბარში ნათლად იგრძნობა ოლიმპიური მშენებლობის მიმდინარეობისა და პერსპექტივის საფუძვლიანი ცოდნა:

**„ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ოლიმპიური პარკი საერთოდ არ არის დამახასიათებელი, აქ კი ყველა ყინულის არენა გვერდიგვერდ არის განთავსებული და თანაც ძალიან ახლოს. ყველა მათგანი ცარიელ ადგილზე შენდება, რადგან სპორტის ყინულის სახეობები სოჭის კლიმატურ პირობებს არ ეხამება, თუმცა ჰოკეის ახალგაზრდული გუნდი კი ჰყავთ,“** — გვითხრა ალექსანდრა კოსტერინამ.

როცა უკვე აშენებული ობიექტების ოლიმპიადისშემდგომი ბედით დავინტერესდით, „ოლიმპსტროის“ მიმხიბვლელმა წარმომადგენელმა გვითხრა, რომ ეს საკითხი უკვე ამთავითვე გადაწყვეტილია:

**„არსებობს ასეთი გამოთქმა — „თეთრი სპილოები“. რასაკვირველია, სოჭს ამდენი ყინულის არენა არ სჭირდება და, სხვათა შორის, ეს დიდი პრობლემაა ბევრი ოლიმპიური ქალაქისთვის. ოლიმპიადის შემდგომ ამ ობიექტებს, უბრალოდ, ვერაფერში იყენებენ. არადა, მათი ექსპლუატაცია უზარმაზარ ხარჯებს მოითხოვს. ამიტომაც მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ობიექტების ნაწილი ასაწყობ-დასაშლელი იქნება.“**

**ყველა ამ ობიექტის არამარტო საოლიმპიადო, არამედ ოლიმპიადისშემდგომი ფუნქციაც უკვე განსაზღვრულია და ისე აშენებენ, რომ მათი ნაწილის დაშლა და სხვაგან გადატანა არ გაჭირდეს.** მაგალითად, 12 ათას მაყურებელზე გათვლილი ყინულის სპორტის სასახლე, რომლის მშენებლობაც 2012 წელს უნდა დამთავრდეს ასაწყობ-დასაშლელი ტიპისაა და მისი გადატანა იგეგმება. ასეთივეა ყინულის არენა კერლინგისთვის (3000 მაყურებელი, მშენებლობის დამთავრების ვადა — 2012 წელი), რომელსაც გადაიტანენ და ყინულის მცირე არენა (7000 მაყურებელი, მშენებლობის დამთავრების ვადა — 2012 წელი), რომლის „მითვისებასაც“ რუსეთის სხვადასხვა ქალაქები ერთმანეთს ეცილებიან. დახურულ საციგურაო ცენტრში კი სამომავლოდ ველოტრეკის ან რუსეთის სამხრეთში ყველაზე დიდი ექსპოცენტრის მოწყობა იგეგმება.

სამაგიეროდ, **სამუდამოდ ჩაიწერება სოჭის ისტორიაში, რომ 46 ათას მაყურებელზე გათვლილი ცენტრალური სტადიონი,** რომელზეც მხოლოდ ოლიმპიადის გახსნა-დახურვისა და დაჯილდოების ცერემონიალები გაიმართება და რომლის მშენებლობაც 2013 წელს უნდა დამთავრდეს, **ყინულის დიდი არენა** (12 ათასი მაყურებელი, მშენებლობის დამთავრების ვადა — 2012 წელი) **და დახურული საციგურაო ცენტრი** (8 ათასი მაყურებელი, მშენებლობის დამთავრების ვადა — 2012 წელი) **ამ უნიკალურ კურორტს** (ერთადერთ სუბტროპიკულ ზონას რუსეთში) **სწორედ ზამთრის 22-ე ოლიმპიური და მე-11 პარალიმპიური თამაშების სახსოვრად დარჩა.** რაც მთავარია, **ყველა ობიექტი კაპიტალურად შენდება და**

სახელმწიფო კორპორაცია „ოლიმპსტროი“ ყველა მშენებარე ობიექტის დათქმულ ვადებში დასრულებას გვპირდება




პროექტის ავტორების ჩანაფიქრით, „ყინულის მცირე არენა“ ქარგუშის შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს





ახლა სოფელ ნეკრასოვსკოეში
112 ერთმანეთისგან
განსხვავებული სახლი დგას
770 კვ. მეტრი საკუთარი ეზოთი
და ყველა კომუნიკაციით,
მათ შორის, გათბობის
ავტონომიური სისტემებით.


ოლიმპიადა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# დღედაღამ აშენებენ

**ოლიმპიადის მასპინძლებს იმედი აქვთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენების წინაშე თავს არ შეირცხვენენ.**

აქვე, ალბათ, უპრიანი იქნება, აღინიშნოს, რომ **სოჭის ცენტრალური სტადიონი 2018 წელს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩს უმასპინძლებს. ამიტომაც, ფიფას მოთხოვნით, გულშემატკივართათვის ადგილები თავდაპირველად დაგეგმილი 40-დან 46 ათასამდე გაზარდეს.**

ვემშვიდობებით ოლიმპიური ობიექტების მშენებლებს და **კიდევ ერთხელ თვალს ვავლებ მიდამოს, რომლის კომპაქტურობა მისი დამგეგმავების გონიერებაზე მიუთითებს. სულ რაღაც 20 წუთში ყველა მათგანს შემოივლი!** ხოლო თუ მთის კლასტერში, კრასნაია პოლიანაზე გამგზავრებას გადაწყვეტთ, ამ სურვილსაც უმალ აისრულებთ: იქვე, **ოლიმპიური პარკის რკინიგზის სადგურიდან, მატარებელი,** წინა წერილში რომ გითხარით, იმ მაგისტრალით, **30 წუთში მიგიყვანთ ნამდვილ ზამთარში...**

## პატარა ევროპა – სადღაც აქვე, იმერეთის დაბლობზე

**საქართველოში სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით პირველი, რაც შევიტყვეთ, ის იყო, რომ ხელისუფლებამ, ოლიმპიური ობიექტების ასაშენებლად, ადგილის გამოთავისუფლების მიზნით, იმერეთის დაბლობში მცხოვრებთ სახლები დაუნგრია და აიძულა, წასულიყვნენ. და ისინი უკმაყოფილონი იყვნენ.** არ დავმალავ, მეც ასე ვფიქრობდი და, როდესაც ახალმშენებლობების დასათვალიერებლად გავემართეთ, დიდი ინტერესით (და, ცოტა არ იყოს, დაეჭვებით) ვუსმენდი „ოლიმპსტროის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენელს — სიმა აივაზიანს. იგი იმ ადამიანების პრეტენზიების შესახებ გვიამბობდა, ვინც უარს აცხადებდა გადასახლებაზე და გვირჩევდა, დასკვნები მას შემდეგ გამოგვეტანა, როცა ახალ დასახლებას ვნახავდით.

**ათასამდე ოჯახმა გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი, თუმცა ძალიან შორსაც არ გადასახლებულან: ზღვის ნაპირს სულ რაღაც 200 მეტრი აშორებთ.** ვინც გადაასახლეს, უწინდელზე უკეთესი პირობებით უზრუნველყვეს, რაც საკუთარი თვალით ვიხილეთ სოფელ ნეკრასოვსკოეში. მაგრამ მათ მაინც ძველ ადგილზე ცხოვრება ერჩიათ, რადგან პლაჟის მეზობლად, გზის გადაღმა ცხოვრობდნენ და დამსვენებლებისგან მეტ შემოსავალსაც იღებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობებს იყვნენ მოკლებული — გაზი და კანალიზაციაც კი არ ჰქონდათ...

**„იმ სოჭელებისთვის, ვისი გასახლებაც საჭირო გახდა, გამოიყო 138 ჰექტარი საერთო ფართობის შვიდი სამშენებლო მოედანი, სადაც 570-ზე მეტი ინდივიდუალური სახლი და 600-ზე მეტი ბინა აშენდება,"** — გვითხრა სიმა აივაზიანმა.

**ახლა სოფელ ნეკრასოვსკოეში 112 ერთმანეთისგან განსხვავებული სახლი დგას 770 კვ. მეტრი საკუთარი ეზოთი და ყველა კომუნიკაციით, მათ შორის, გათბობის ავტონომიური სისტემებით. სახლები პატრონებს, როგორც იტყვიან, „პოდ კლუჩ" ჩააბარა სახელმწიფო კორპორაცია „ოლიმპსტროიმ" და მობინადრეების ნახევარმა ახალმოსახლეობა უკვე იზეიმა.**





სახლები „პოდ კლუჩ" ჩაბარდათ — მფლობელები სახლის პროექტს და შიდა მოსაპირკეთებელ მასალებსაც კი თვითონ ირჩევდნენ

გაჰყურებ ამ მონოლითურ სახლებს სოფლის მოასფალტებული გზის გასწვრივ და, რომ არა რეალობა, ვერაფრით იფიქრებ, თუ რუსეთის ერთ-ერთ სოფელში ხარ. **56-დან 570 კვადრატულ მეტრამდე ფართობის თითოეული სახლი ინდივიდუალური პროექტით არის აშენებული და საერთო არქიტექტურულ ანსამბლში იმდენად ბუნებრივად ჯდება, თავი ევროპულ დაბაში გეგონება** (უნებლიეთ გამახსენდა წეროვანის ლტოლვილთა დასახლება, რომელსაც ხალხმა „გეტო" შეარქვა, თუმცა პირველი წერილის დაპირება არ დამვიწყებია — არც ერთი სიტყვა პოლიტიკაზე!)

მშენებლობისას გაითვალისწინეს ახალმოსახლეთა ინტერესებიც. მაგალითად, ერთ-ერთმა მათგანმა საცხოვრებელი სახლის დანგრევის სანაცვლოდ და საკომპენსაციოდ პატარა სასტუმროს აშენება მოითხოვა და მისი კუთვნილი ფართიც სასტუმროს ტიპის მიხედვით დაიგეგმა. ხოლო ერთმა ბებიამ სააბაზანო-ტუალეტის ვარდისფერი კაფელმეტლახით გაწყობა ისურვა, თუმცა მანამდე უბრალო სააბაზანოც არ ჰქონდა. **ზოგიერთმა სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია მიიღო და საკუთარი საბინაო პრობლემა თავად გადაწყვიტა, უმრავლესობამ კი ევროპულ სოფელში ცხოვრება ამჯობინა, რადგან ოლიმპიური პარკის აღმოსავლეთით განფენილი სოფელი ზღვასთანაც ახლოსაა და კომუნალური ინფრასტრუქტურაც სრულყოფილია.**

ჩემმა კოლეგამ არნო ხიდირბეგიშვილმა პრეს-ტურის თითოეული მონაწილის სურვილი გაახმიანა და იხუმრა, — **არ შეიძლება ერთი ასეთი სახლი, თუნდაც ერთსართულიანი, მეც რომ ამიშენოთო?** პასუხად მასპინძლებმა გაიღიმეს, **— თუ მოიტანთ იმერეთის დაბლობზე საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს, დიდი სიამოვნებით, პროექტი თქვენ თავად აირჩიეთო.** მეტი რაღა დოკუმენტი იყო საჭირო, თვით ამ დაბლობის დასახელება ცოტას ნიშნავს? ესეც ხუმრობით, რასაკვირველია.

ხუმრობა ხუმრობად, არჩევანი კი მართლაც დიდია: **ნეკრასოვსკოეს გარდა კიდევ ექვსი ასეთი დასახლებაა, სადაც როგორც კერძო, ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებია. ზოგიერთი მათგანი უკვე დამთავრებულია და შიდამოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს, ზოგიერთი კი მშენებლობის სტადიაშია, თუმცა მაქსიმუმ 2013 წლისთვის ყველა მათგანი პატრონს ჩაბარდება.**

და ბოლოს: ნეკრასოვსკოე არამხოლოდ კეთილმოწყობილი სახლებით, არამედ სრულყოფილი ინფრასტრუქტურითაც გამორჩეული სოფელი იქნება. აშენდება სკოლა, სავაჭრო და საზკვების ობიექტები, კულტურის ცენტრი და მოედანი ბავშვებისთვის. სოფელს ეთნოგრაფიული დასახლების სტატუსი აქვს, რადგან აქ იცხოვრებს თითქმის ყველა ადგილობრივი სტაროვერი. მათ ჯერჯერობით დროებითი სალოცავი სახლი აქვთ, შემდეგ კი ტაძარსაც აღმართავენ. ალბათ, **აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ქალაქის ხელისუფლებამ იმერეთის დაბლობზე ყოფილ მოსახლეთა ინტერესები გაითვალისწინა და იქ, სადაც ოლიმპიური სოფელი შენდება, არ გააუქმა სასაფლაო, რომელიც ოლიმპიური პარკის პერიმეტრზეა. სასაფლაოს მაღალ ღობეს შემოავლებენ. ოლიმპიადის სტუმრებისთვის ის, რასაკვირველია, დაკეტილი იქნება, ახლობლები და ნათესავები კი საფლავების მონახულებას კვლავაც შეძლებენ.**

ბუნებრივია, ყველა ყოველთვის კმაყოფილი ვერ იქნება, თუმცა ოლიმპიადის მეზობლებმა რომ გვარიანად იხეირეს, ფაქტია. და არამხოლოდ მათ, — **მთლიანად კურორტი სოჭი იძენს ახალ სახეს.** ამის შესახებ კი ქალაქის თავმა ანატოლი პახომოვმა ისაუბრა, რომელსაც, სოჭელებთან ერთად, ქვეყნის ხელისუფლებამაც დიდი ნდობა გამოუცხადა და რომლის ოპტიმიზმიც მომავლისადმი იმედით გავსებს.

ოლიმპიურ პარკში განთავსებულ ყველა ობიექტს 20 წუთში შემოივლით, ზაფხულიდან ნამდვილ ზამთარში მოსახვედრად კი 30 წუთიც საკმარისია



## პახომოვი მესამე იქნება

**სოჭის მერს — ანატოლი პახომოვს მკაცრი და მომთხოვნი ხელმძღვანელის იმიჯი აქვს. თუმცა ჟურნალისტებთან შეხვედრისას მის საუბარში უფრო საკუთარი ქალაქის სიყვარული და მისი აღორძინების ჟინი დავინახეთ.** იგი ისეთი მონდომებით ცდილობდა ჩვენს დარწმუნებას კურორტის უნიკალურობაში, თითქოს ყოფილ საბჭოთა სივრცეში ვინმესთვის სიახლეა სოჭი და სოჭელთა სითბო. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ამ ზღვისპირას განფენილ ქალაქში, აქაურობა ტკბილ მოგონებად დარჩებოდა, ვინც არა და, — გადმოცემით მაინც იცის.

ამის თაობაზე თავად ანატოლი პახომოვმაც ისაუბრა, როცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **2014 წლისთვის სოჭი არამხოლოდ ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობით მოიწონებს თავს, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისა და ხალხების ურღვევობასაც დაადასტურებს და მათ კიდევ უფრო დაახლოებას შეუწყობს ხელს.** ამიტომაც, ძვირფასი სტუმრების დასახვედრად საგანგებოდ ემზადებიან, რადგან **„ეს ოლიმპიადა ჩვენი საერთო ოლიმპიადაა!".**

წესით, პრესტურის ფარგლებში გამართული შეხვედრების რიგითობას თუ დავიცავდი, ქალაქის თავი მეორე წერილის გმირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქალაქის ინფრასტრუქტურა იმდენად იცვლება, იმდენი სიახლეა დაგეგმილი კურორტის ცხოვრებაში, რომ ჯერ ოლიმპიური ობიექტები მოგატარეთ, დასკვნითი წერილისთვის კი სწორედ სოჭის აღორძინება-განვითარების პერსპექტივა შემოვინახე.

ასე რომ, პახომოვი იქნება მესამე. და აუცილებელი!

**ბონდო მძინარაშვილი**

კრიმინალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ეს პიროვნება იმით იყო საინტერესო, რომ 47 სისხლის სამართლის საქმეში მოწმის სტატუსით იყო დაკითხული, თანაც 47-ვე საქმეში, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, ჩვენება ბრალდებულის საწინააღმდეგოდ ჰქონდა მიცემული. მაშინ ჩვენმა კოლეგებმა, ჟურნალისტური გამოძიების მეშვეობით გაარკვიეს, რომ გაბიტაძეს ოზურგეთის პოლიცია ხშირად „ანათხოვრებდა“ სხვადასხვა სასამართლო პროცესებზე, ხან ოზურგეთში, ხან ლანჩხუთში და ხანაც ჩოხატაურში.**

## გადმოძახებული



**ლევან ბერძენიშვილი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

საქართველოს საკმარისი რაოდენობის ტერიტორია დარჩა მასზე ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად... საუბარი იმაზე, რომ ეს ჩვენი ძირძველი ტერიტორიებია, არაფერს შველის. სერბიასაც ჰქონდა ძირძველი ტერიტორიები, რომლებზეც დღეს სულ სხვა სახელმწიფოები ვითარდება.

*ტელეკომპანია RTVI*



**სოფიო ხორგუანი, „ქართული პარტიის“ წევრი:**

საქართველოს რეკეტიორი პრეზიდენტი ჰყავს... ერთ ხელში მოქცეული მოპარული ქონება და ერთ ხელში მოქცეული მიტაცებული ძალაუფლება — ეს მიხეილ სააკაშვილის შექმნილი ავტორიტარული რეჟიმია. კრიმინალური ხელისუფლება ართმევს მოქალაქეებს უკანასკნელ ლუკმას, გაწირა შიმშილობისთვის ათასობით ოჯახი იმისთვის, რომ მხოლოდ ერთი — მიხეილ სააკაშვილის ოჯახი იყოს მაძღარი.

*ინტერპრესნიუსი*



**ნამიგ ალიევი, აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში:**

ჯავახეთი, მთიანი ყარაბაღი და მისი მიმდებარე 7 რაიონი მონო-ეთნიკური ზონებია. ამ ზონებში, სომხების გარდა, არავინ ცხოვრობს. 65 პროცენტი აფხაზეთისა ასევე ახალი მონოეთნიკური ზონაა. დღესდღეობით აჭარაში ქობულეთის, ბათუმისა და სხვა რაიონების სომეხიზაცია მიმდინარეობს და ისინი იქ აქტიურად სახლდებიან;

*საინფორმაციო სააგენტო „АПА“*



**გუბაზ სანიკიძე, „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

სააკაშვილს ელოდება ცუდი დღეები და დიდი გამოცდა!.. ბოლო შანსი აქვს, — ხელისუფლებიდან არჩევნებით წავიდეს და ამ შემთხვევაში, ის გარკვეული გარანტიების მიღების უფლებას მოიპოვებს!.. მარტო სააკაშვილი მოიპოვებს ამ უფლებას და არა მისი ხროვის წევრები.

*„კვირის ქრონიკა“*

# მოწმე გამოძახებით

**სანამ „დემოკრატიის შუქურა“ პრეზიდენტი ხელში ჩირაღდანს აიღებდა და საქართველოს გაანათებდა, „ნაცმოძრაობის“ მტკიცებით, ქართულ სამართალდამცავ სისტემაში იყო ბნელი და უკუნი... ქაოსი და განუკითხაობა... მერე შს მინისტრად მოვიდა ვანო მერაბიშვილი და ნათელიც დადგა! აშენდა პოლიცის „სუპერთანამედროვე“ შენობები, დაიბადა პატრული, რომელიც იმდენად „წარმატებულია“, დღეს ყველა ბავშვი პატრულობაზე „ოცნებობს“. ერთი სიტყვით, ქვეყანაში ყველა დანაშაული აღიკვეთა და დამყარდა „სრული წესრიგი“. ყურადღება ერთ-ერთ ჯადოსნურ მეთოდზე გავამახვილოთ, რომლითაც შსს-მ წესრიგი დაამყარა.**



გურიის რეგიონულმა გაზეთმა „გურია ნიუსმა“ ოზურგეთელი ვინმე გიორგი გაბიტაძის შესახებ სტატია დაბეჭდა. ეს პიროვნება იმით იყო საინტერესო, რომ 47 სისხლის სამართლის საქმეში მოწმის სტატუსით იყო დაკითხული, თანაც 47-ვე საქმეში, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, ჩვენება ბრალდებულის საწინააღმდეგოდ ჰქონდა მიცემული. მაშინ ჩვენმა კოლეგებმა, ჟურნალისტური გამოძიების მეშვეობით გაარკვიეს, რომ გაბიტაძეს ოზურგეთის პოლიცია ხშირად „ანათხოვრებდა“ სხვადასხვა სასამართლო პროცესებზე, ხან ოზურგეთში, ხან ლანჩხუთში და ხანაც ჩოხატაურში.

ამ შემთხვევის გამოაშკარავების შემდეგ ამგვარი ქმედებებით შსს-ს თავი აღარ გამოუჩენია, მაგრამ ახლახან ეს ადამიანი ისევ დააფიქსირა ჟურნალისტის ფოტოობიექტივმა პოლიციის შენობაში. **როგორც გურულები პირად საუბრებში ამხელენ, მსგავსი მეთოდით, ანუ პროფესიით „მოწმე გამოძახებით“, სხვაც ბევრი მუშაობს გურიაში, მათ შორის — ვინმე აბესალო ცინცაძეც. ჩვენი აბესალო თურმე არა მარტო გურიაში ქირავდება, არამედ სხვა კუთხეებშიც აქტიურად და წარმატებულად ფქვავს ბრალდებულის საწინააღმდეგო ჩვენებებს.**

ბატონი აბესალო რამდენიმე წლის წინათ ქურდობისთვის დაუჭერიათ თბილისში, მისი მოულოდნელი განთავისუფლება და ოზურგეთში დაბრუნება დღესაც უკვირთ მეზობლებს. მას შემდეგ მისი სახელი და გვარი ხშირად ფიგურირებს სასამართლოებში — ხან გურიაში, ხან ქუთაისში და ხანაც კახეთში.

**ჩოხატაურელი ახალგაზრდა, სავარაუდოდ, ჩვენმა „სამართალდამცავებმა“ თანამშრომლობაზე დათანხმების გამო გამოუშვეს ციხიდან. მას შემდეგ ასე შეხმატკბილებული აგვარებენ ერთად საქმეებს.**

როგორც ჩანს, შსს-მ საქმის გამოსაძიებლად ძველი მეთოდები განაახლა. „დაქირავებული მოწმის ინსტიტუტს“ ისევ აქტიურად იყენებს, ოღონდ შეცვლილი ფორმით. თუ აქამდე ადგილობრივი პოლიციელები ერთმანეთს ეხმარებოდნენ და მოწმეებს მხოლოდ რაიონის ტეროტორიაზე იყენებდნენ, ახლა უფრო შორს წავიდნენ და სხვადასხვა რეგიონებშიც გზავნიან. კოლეგა კოლეგას ეხმარება! ვინ იცის, რამდენი ათობით ადამიანი ზის ციხეში უსამართლოდ ასეთი „გამოძახებული მოწმის“ ჩვენების საფუძველზე. ფაქტი ერთია, ის „ნათელი“ და „წესრიგი“, რომელიც შსს-მ ქვეყანაში „დაამყარა“, სწორედ ასეთი არაკანონიერი მეთოდების შედეგია.

**როგორ თხზავენ ბრალდებებს დაქირავებული მოწმეების ჩვენებების საფუძველზე და ცნობილია თუ არა მსგავსი ფაქტები სისხლის სამართლის ისტორიაში, ამაზე ადვოკატ ლალი აფციაურს** ვესაუბრეთ.

## ლალი აფციაური:

## თუკი ბრალდების მხარე ჩათვლის, რომ საქმეს უჭირს, «დაქირავებულ მოწმეს» ხელის აუკანკალებლად გამოიყენებენ

**— ქალბატონო ლალი, გსმენიათ თუ არა უკანასკნელ ხანს „დაქირავებული მოწმების“ შესახებ, რომლებიც ბრალდების მხარის სასარგებლოდ იძლევიან ჩვენებებს?**

— ეს მეთოდი, ერთი და იმავე მოწმის სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებში გამოყენებისა, კარგად აპრობილებული იყო 7-8 წლის წინათ. მე სიაც კი მქონდა გაკეთებული ასეთი მოწმეების. არსებობდა უამრავი ადამიანი, რომელიც ასეთი საქმეებისთვის გამოიყენებოდა. იყენებდნენ ნებისმერ საქმეში, თითქოს თვითმხილველები იყვნენ, თითქოს შემთხვევით შორიდან დაინახა და ა.შ. შემდგომში ამ ფორმას ბრალდების მხარე თითქოს მოეშვა, ანუ ნაკლებად იყენებდნენ ე. წ. კონფედენტებს, უხეშად რომ ვთქვათ, „ნასეტკებს“.

როგორც ჩანს, დღეს ხელისუფლებამ დაიბრუნა კარგად აპრობირებული მეთოდი. ისევ დასჭირდა აგენტურული ქსელის ჩართვა სისხლის სამართლის საქმეებში. პირადად მე ასეთი მოწმე ბოლო პერიოდში არ შემხვედრია, მაგრამ ვფლობ ინფორმაციას, რომ ამ მეთოდის გამოყენება უკვე აქტიურად მიმდინარეობს.

**— ხომ შეიძლება, ასეთი მოწმეების წყალობით სრულიად უდანაშაულო ხალხი მოხვდეს ციხეში?**

— გარდა იმისა, რომ ასეთი მოწმეების ჩვენების საფუძველზე შეიძლება უამრავი უდანაშაულო ადამიანი მოხვდეს ციხეში, დღევანდელ პირობებში ისედაც ბევრი უდანაშაულო ხვდება საპყრობილეში. დღეს ქვეყანაში სასამართლო არ არსებობს. თუ რომელიმე მოსამართლეს ჰგონია, რომ უკანონოდ გამოტანილი განაჩენი არ არის დანაშაული და არ დადგება იმის დრო, როდესაც ისინი თავიანთ ქმედებებზე პასუხს აგებენ, ძალიან შემცდარან.

დღეს ქვეყანაში ისეთი მდგომარეობაა, დაქირავებული მოწმის ჩვენების საფუძველზე კი არა, ცარიელი ფურცელი რომ შეიტანოს ბრალდების მხარემ და მოსთხოვოს, რომ ამ ფურცელზე წერია, რომ ვინმე ქიბროწაშვილმა ვინმე პეტრიაშვილის მიმართ რაიმე ჩაიდინა და დააკანონეო, სასამართლო ამასაც დააკანონებს. თუკი ბრალდების მხარე ჩათვლის, რომ უჭირს რომელიმე საქმეს და არ ჰყავს კონკრეტული მოწმე, ნებისმერ საქმეზე ხელის აუკანკალებლად გამოიყენებენ ასეთ კონფედენტებს. თუ ვინმეს დაჭერას მოინდომებენ, ასეთ მოწმეს გამოიყენებენ და დაიჭერენ. არ აქვს მათთვის მნიშვნელობა, დამნაშავე იქნება პიროვნება თუ უდანაშაულო.

**— პრეზიდენტი ხშირად იწონებს თავს იმით, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყანაში დანაშაულებების მხრივ წესრიგი დამყარდა.**

— რომელ წესრიგზეა ლაპარაკი, როცა თვითონ „ნაციონალური მოძრაობაა“ ჩართული კრიმინალურ ქმედებებში. კონკრეტულ ფაქტს მოგიყვანთ: ბიზნესმენ ნუგზარ ბოჭორიშვილს ბრალი ედება ტრასნაციონალურ დანაშაულში. ეს არის უმძიმესი დანაშაული საქართველოსთვის. ქვეყანა გაეხვა ნარკოტრანზიტში და ასეთ პიროვნებას, რომელსაც უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი, კუდის თანამშრომელი ურეკავს და ეუბნება, რომ 3 მილიონი ევრო გადაიხადე და თავისუფალი ხარ, თავში ქვა გიხლიაო. რომელ წესრიგზეა ლაპარაკი? თვითონ ხელისუფლების მხრიდან ხორციელდება ყველაზე დიდი დანაშაულებები და ვის დანაშაულზე საუბრობენ ესენი?!

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**





## მოკლედ

## ჰუმანიზმი ჩინურად

**არაძალადობრივი ეკონომიკური დანაშაულისთვის ჩინეთში სიკვდილით აღარ დასჯიან. ქვეყანამ ოფიციალურად შეამცირა დანაშაულებათა რაოდენობა, რომლის ჩადენის შემთხვევაში დამნაშავეს სიკვდილით დასჯა ელის. ცვლილებები კონსტიტუციაში სრულიად ჩინეთის სახალხო დეპუტატთა მორიგ სესიაზე მიიღეს.** იმ მუხლების რაოდენობა, რომლებიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, 13-ით შემცირდა. სიკვდილით აღარ დაისჯებიან ის დამნაშავეები, რომლებმაც არაძალადობრივი ეკონომიკური დანაშაულები ჩაიდინეს. ამ შესწორებამდე სიკვდილით დასჯას ჩინეთში 68 სახეობის დანაშაული ითვალისწინებდა.




## ინტერნეტ-მანიაკი ინტერნეტმა შეიწირა

**პეკინის მკვიდრი ინტერნეტ-კაფეში მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც 27 დღე უწყვეტად გაატარა ინტერნეტში, სწრაფი მომზადების მაკარონით იკვებებოდა და პირდაპირ კომპიუტერთან ეძინა. როგორც ჩინური მასმედია იტყობინება, 33 წლის მამაკაცი უმუშევარი იყო და კომპიუტერს ვერაფრით მოწყვიტეს.** ინტერნეტ-კაფეს სხვა მომხმარებლები ამბობენ, რომ ყოველ დღე ხედავდნენ მამაკაცს, რომელიც ჭამდა და იძინებდა პირდაპირ კომპიუტერთან, მაგრამ ინტერნეტ-მანიაკის სიკვდილის მიზეზი არ კონკრეტდება.



ნინო ციხისთავი:
ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სპეციალურად სთხოვა კომისარიატს, გაეკეთებინა ასეთი გამამართლებელი და მხარდასაჭერი განცხადება, რაც პირდაპირ შეასრულა გაეროს წარმომადგენლობამ საქართველოში.

რეაქცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# «UNHCR-ის წარმომადგენლობის როლი მხოლოდ ხელისუფლების უკანონო ქმედებათა გამართლებაა»

**რვა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ერთობლივ ღია წერილში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) თბილისის წარმომადგენლობა იმ განცხადების გამო გააკრიტიკა, რომელშიც ნათქვამია, რომ მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, იანვარში თბილისის დროებითი თავშესაფრებიდან დევნილი ოჯახების გამოსახლების პროცესში „საერთაშორისო სამართლის ან საერთაშორისო სტანდარტების არსებითი დარღვევა არ მომხდარა“. არასამთავრობოებმა ჟენევის ცენტრალურ ოფისს მისწერეს წერილი, რომელშიც ზემოხსენებული შეფასება გააპროტესტეს.**

## გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა რეზინის ხელკეტებით დევნილების სახლიდან გამოყრაში საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა „ვერ აღმოაჩინა“



UNHCR- ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ, 2010 წლის ზაფხულთან შედარებით, როდესაც დევნილთა გამოსახლება ორგანიზაციამ გააკრიტიკა, ამჟამად პროცესის „საგრძნობი გაუმჯობესება“ მოხდა. **„საერთაშორისო და ადგილობრივი უფლებადამცავი ორგანიზაციების კრიტიკის შემდეგ, ხელისუფლებამ 2010 წლის ზაფხულში დევნილთა გამოსახლების პროცესი შეაჩერა და UNHCR-თან ერთად მთელი რიგი პროცედურები შეიმუშავა, რომლითაც გამოსახლება და დევნილთა განსახლება უნდა მომხდარიყო“.**

2010 წლის ზაფხულში განხორციელებული გამოსახლებებისგან განსხვავებით, UNHCR-მა განაცხადა, რომ იანვარში „არ მომხდარა“ „არაპროპორციული ძალის გამოყენება“, გარდა ერთი შემთხვევისა. „დევნილები, ძირითადად, ინფორმირებულნი იყვნენ სხვა საცხოვრებელ ადგილას გადაყვანისა და შესაბამისი გამოსახლების შესახებ“.

**„არავინ დარჩენილა ქუჩაში. ფინანსური კომპენსაცია მათ გადაეცა, ვისაც ეკუთვნოდა, და ვინც დროულად შეავსო განაცხადი. საცხოვრებელ ადგილებად შეთავაზებული ვარიანტები, რომლებიც მოინახულა UNHCR- მა და მისმა პარტნიორებმა, გამზადებული და დევნილთა განსახლებისთვის შესაფერისია,“** – განაცხადა კომისარიატმა.

ამ განცხადებების შემდეგ ქართულმა არასამთავრობოებმა გადაწყვიტეს, ჟენევის ცენტრალურ ოფისს აცნობონ, რეალურად როგორ მოხდა დევნილების გამოსახლება. **„UNHCR-ის 2011 წლის თებერვლის ოფიციალურმა განცხადებამ დევნილთა გამოსახლებასთან დაკავშირებით შელახა და ეჭვქვეშ დააყენა მისი რეპუტაცია, შეურაცხყო, დააბნია და გააღიზიანა საზოგადოება, ომით დაზარალებულებს, დევნილებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს აფიქრებინა, რომ გლუკის წარმომადგენლობის როლი მხოლოდ ხელისუფლების უკანონო ქმედებების გამართლებაა,“** – ნათქვამია ღია წერილში, რომელიც არასამთავროებმა ჟენევაში გააგზავნეს. ამავე წერილის თანახმად, უნდა აღიკვეთოს მსგავსი პრაქტიკა, როდესაც თავისი უკანონო ქმედებების გასამართლებლად ხელისუფლება UNHCR-ის წარმომადგენლობისკენ იშვერს ხელს ან მის განცხადებას ეფარება.

წერილის თანახმად, UNHCR-ი აკვირდებოდა გამოსახლების პროცესს, მაგრამ არაფერს ამბობს დაკვირვების პროცესის დეტალებზე, მათ შორის — გამოყენებულ მეთოდოლოგიასა და დაკვირვების ფარგლებზე. ნაცვლად იმისა, რომ განცხადებაში გამოსახლების პროცესთან დაკავშირებით ქართველი იურისტების „ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების“ თაობაზე ესაუბრა, კომისარიატს იმ ფაქტზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება, რომ „დევნილები სრულიად მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, დავა საკუთარი უფლებებისთვის ეწარმოებინათ სასამართლო წესით, ვინაიდან ხელისუფლებამ მათ დაგეგმილი გამოსახლების თაობაზე ცოტა ხნით ადრე აცნობა.

**წერილში ასევე ნათქვამია, რომ UNHCR-ის განცხადება, რომლის მიხედვითაც „არავინ დარჩენილა ქუჩაში“, „უსაფუძვლოა,“ ვინაიდან დღემდე საზოგადოებამ და დაინტერესებულმა პირებმა არ იციან, თუ რამდენი ოჯახი გამოასახლეს; მათგან რამდენი ნებით და რამდენი იძულებით დასთანხმდა გადასვლას, რამდენმა თქვა უარი გადასახლებაზე და რამდენი ოჯახია დღეს დაბინავებული.**

ადვოკატ ლია მუხაშავრიას თქმით, გლუკის დასკვნა ერთადერთია, სადაც გამოსახლება დადებითად არის შეფასებული, მანამდე გაკეთებულ ყველა განცხადებაში ხელისუფლების ქმედება დევნილებთან მიმართებაში გაკრიტიკებულია.

28 იანვარს დევნილთა გამოსახლებასთან დაკავშირებით Amnesty International-მაც გამოხატა შეშფოთება და განაცხადა, რომ პროცესი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით არ მოხდა. ეს განცხადება საქართველოს ხელისუფლებამ მიკერძოებულად და უსამართლოდ შეაფასა.

**ღია წერილს, რომელიც ჟენევაში გაიგზავნა, ხელს აწერენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: „კავკასიის ქალთა ქსელი“, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ „საერთო სამოქალაქო მოძრაობა“, „მრავალეროვანი საქართველო“, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „კოალიცია სამოქალაქო განვითარებისათვის“ „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი“, „ჯანმრთელი სამყარო“ და „ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი“.**

**ნინო ციხისთავი, „კავკასიის ქალთა ქსელის“ ხელმძღვანელი:**

— ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სპეციალურად სთხოვა კომისარიატს, გაეკეთებინა ასეთი გამამართლებელი და მხარდასაჭერი განცხადება, რაც პირდაპირ შეასრულა გაეროს წარმომადგენლობამ საქართველოში.

გლუკის პირდაპირი მანდატია დაიცვას, გვერდში დაუდგეს დევნილებს. ის კი არ უნდა მოგვახსენოს, რომ უკეთესი მდგომარეობაა გამოსახლების თვალსაზრისით, არამედ ჩვენ უნდა გვითხრას ზუსტი სტატისტიკა, კონკრეტული ფაქტები — სად, რა მოხდა, რატომ მოხდა და როგორია მისი შეფასება. შეფასებაში კი ის უნდა იყოს ნეიტრალური და არა — ხელისუფლების არკანონიერი განცხადებების გამპრავებელი. ჩვენი წერილის გაგზავნის მიზანი არის ის, რომ უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობას ჟენევიდან შეახსენონ მათი უფლება-მოვალეობები“.

**თეო ტაბატაძე**

## გაფრაზებულნი

**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი:**



2009 წელს ჩვენი ოპოზიცია რომ არ გაქცეულიყო სააკაშვილთან ხელის ჩამოსართმევად და მხარზე ხელის მოსათათუნებლად, დღეს სააკაშვილი პრეზიდენტი არ იქნებოდა! ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით!

*„ასავალ-დასავალი“*

**ირაკლი მელაშვილი, „ეროვნული ფორუმის“ ყოფილი წევრი:**



თქვენ როგორ გგონიათ, ამერიკელები კმაყოფილი არიან სააკაშვილის ხელისუფლების, ამხელა ინვესტიციები რომ ჩადეს და სააკაშვილი მათ იმედებს რომ არ ამართლებს? ისინი პირად საუბრებში კიდევაც აცხადებენ და იმაზეც საუბრობენ, რომ საქართველოს სისხლიანი მაფია მართავს.

*„კვირის ქრონიკა“*

**კახა კაციტაძე, სამხედრო ექსპერტი:**



თუ ჩვენი ჯარისკაცები ავღანეთში საქართველოს სწირავენ თავს, მაშინ ეს ხელისუფლება რატომ ასაფლავებს მათ ასე გასაიდუმლოებულად? ვერაფრით გაიმართლებენ თავს და იმიტომ!

*„ასავალ-დასავალი“*

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, პარლამენტის წევრი:**



პოლიტიკურ თავშესაფარს იმიტომ ვითხოვ, რომ ლუტიძეები, მეჩითოვები, ჯანელიძეები და სხვები გადარჩნენ. სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს და რა უსაფრთხოების კონცეფციაზეა საერთოდ საუბარი?!

*„ვერსია“*

**გუგე ცანავა, ექს-პარლამენტარი:**



ინფარქტამდე ბოლო წლების განმავლობაში გადატანილმა მუდმივმა დაძაბულობამაც მიმიყვანა. საშინლად განვიცდი, თავის დროზე სააკაშვილის გვერდით რომ ვიდექი.

*„ასავალ-დასავალი“*

მოკლედ

## მინისტრმა უკან დაიხია

**გერმანიის თავდაცვის მინისტრი კარლ-თეოდორ ცუ გუტენბერგი დისერტაციის დაწერისას დაშვებული შეცდომების გამო მისთვის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის ჩამორთმევას ითხოვს. ის, რასაც მინისტრი შეცდომებს უწოდებს, სხვებმა პლაგიატობად შეაფასეს — დისერტაციაში გამოყენებულ მრავალ ციტატას წყარო მინიშნებული არ აქვს.** გუტენბერგს ტექსტის 30 გვერდის გადაწერაში ადანაშაულებენ. მინისტრს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გამოესარჩლა .




## ნავთობის კრიზისი

**საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტომ ოპეკის წევრ ქვეყნებს, საჭიროების შემთხვევაში, ნავთობის მოპოვების თავისუფალი სიმძლავრეების გამოყენება ურჩია. ამის მიზეზად სააგენტომ დაასახელა ლიბიაში არეულობები, რამაც, შესაძლოა, მსოფლიო მასშტაბით ენერგორესურსების მიწოდება შეაფერხოს.** „ამჟამად ბაზარს არ ჰყოფნის დღიურად 500-750 ათასი ბარელი, ანუ მსოფლიო მასშტაბით ნავთობის ყოველდღიური მოხმარების ერთი პროცენტი“, — ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

აგვისტოს ომმა ნათლად წარმოაჩინა, რომ ამერიკელების მიერ მომზადებული ქართული ქვედანაყოფები მომზადებული იყვნენ მხოლოდ კოლონიური ტიპის ომებში ნახევრადსაპოლიციო ფუნქციების შესრულებისთვის. იმ მოქმედებების განხორციელება, რომლისთვისაც ნებისმიერი კონტინენტური არმია მუდამ მზად უნდა იყოს, მათთვის არ უსწავლებიათ.

## მოკლედ

### რა ასაკში გავიწვიოთ ახალგაზრდები?



**ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება" სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ასაკის 18-დან 20 წლამდე გაზრდის ინიციატივით გამოდის.** „ახალგაზრდები სკოლას ამთავრებენ 18 წლის ასაკში და მაშინვე ხდებიან სამხედრო ვალდებული. ეს ეწინააღმდეგება მათ განათლების უფლებას. არასწორია 18 ან 19 წლის აბიტურიენტის სამხედრო სამსახურში გაწვევა, როდესაც ის ემზადება უმაღლესი განათლების მისაღებად", — ნათქვამია ასოციაციის განცხადებაში („ინტერპრესნიუსი").

### აზერბაიჯანმა რუსული ვერტმფრენები იყიდა



**აზერბაიჯანმა რუსეთში 24 მრავალმიზნობრივი მოიერიშე ვერტმფრენი „Ми-35М" შეიძინა.** „Ми-24"-ის ამ გაუმჯობესებული ვარიანტის დანიშნულებაა ჯავშანტექნიკის განადგურება, ქვედანაყოფების საცეცხლე მხარდაჭერა, დესანტის გადმოსხმა, აგრეთვე, დაჭრილების ევაკუაცია და ტვირთების გადაზიდვა. მას შეუძლია როგორც დღისით, ისე ღამით რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში იმოქმედოს. „Ми-35М"-ის მაქსიმალური სიჩქარეა 310 კმ/სთ, კრეისერული — 250 კმ/სთ; მოქმედების რადიუსი — 420 კმ.

### ავღანეთში კი გამოადგებათ



**გერმანულმა კომპანიამ „Rheinmetall"-მა ქვეითთა ახალი საბრძოლო მანქანა „Close" წარმოადგინა.** ის „Marder"-ის ბაზაზეა შექმნილი, მაგრამ ახალი მოდულური ჯავშნის ხარჯზე გაცილებით უკეთაა დაცული. შეირაღების მოდული „Lance RC", რომელიც დისტანციურად იმართება, აღჭურვილია 30 მმ. ქვემეხით „Wotan" (400 გასროლა წუთში) და 7,62 მმ. ტყვიამფრქვევით. ქვემეხის დახრის კუთხე 60 გრადუსია. ეკიპაჟი 3-კაციანია, დესანტი — 7 მებრძოლი; ძრავის სიმძლავრე 1500 ცხენის ძალაა.

### ინდოელებმა «Arjun»-ი გააუმჯობესეს



**ინდოეთში დასრულდა მუშაობა ძირითადი საბრძოლო ტანკის „Arjun Mk. I"-ის გაუმჯობესებულ ვერსიაზე — „Arjun Mk. II".** ის ახალი აქტიურ-რეაქტიული ჯავშნითა და დამიზნების სისტემებით აღიჭურვება, აგრეთვე, მიიღებს შესაძლებლობას, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები ქვემეხის ლულიდან გაუშვას. ამ ტანკის მიღება შეირაღებაზე 2014 წლიდან იგეგმება. მისი კომპონენტები, მათ შორის ძრავა და ტრანსმისია, 90%-ით ადგილობრივი წარმოების იქნება, შედარებისთვის: „Arjun Mk. I"-ში მათი წილი 58%-ს შეადგენდა.

# «ხუთდღიანი ომის» წაგების ხუთი მიზეზი

**„Eurasia Review"-მ გამოაქვეყნა მაიკლ ჩეჩირეს წერილი „ხუთი მიზეზი, რის გამოც საქართველო ომში დამარცხდა". ეს პუბლიკაცია წარმოადგენდა გაშლილ პასუხს ბლოგ „Ares-ზე გამოქვეყნებული ქრისტინ მაკკენზის შემდეგ მოსაზრებაზე: „აშშ-ის მიერ გაწვრთნილი საქართველოს არმია თავდასხმის მცდელობიდან ერთ კვირაში განადგურდა. მაგრამ, თუკი რუსეთის არმია ისეთი უვარგისია, როგორც ამას ამტკიცებენ, მაშინ როგორ ახასიათებს ეს იმ წვრთნის ხარისხს, რომელიც შეერთებულმა შტატებმა საქართველოს გაუწია"?!**
**(აქ და შემდგომ „foreignpress.ge"-ს თარგმანი).**



თუ მაიკლ ჩეჩირეს წერილს ყურადღებით წავიკითხავთ, ვნახავთ, რომ მისი მთავარი მამოძრავებელი მოტივი, სავარაუდოდ, სწორედ ამერიკელების მუნდირის ღირსების დაცვაა. ის ამტკიცებს, რომ ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველებს კარგად ამზადებდნენ, ოღონდ — ოპერაციებისთვის ავღანეთსა და ერაყში. ამასთან, **„ქართული არმია დღემდე არ მოუმზადებიათ ტერიტორიის დაცვის ან ერთობლივი შეიარაღებული ძალების ოპერაციებისთვის".**

ის, რომ ამერიკული მომზადება ზოგადად შესანიშნავი რამ არის, საკმაოდ სადავო თეზისია. აშშ-მა უზარმაზარი შრომა გასწია ავღანური სამთავრობო ჯარის შექმნისთვის, მაგრამ თავად ამერიკელი სამხედროების აღიარებით, დღეს ის ძალზე სუსტია, მარტივად რომ ვთქვათ, ავღანელი სამხედროები გარბიან, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემათ. **ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ „ISAF"-ის კონტიგენტის გაყვანის შემთხვევაში, ავღანური სამთავრობო ძალები თალიბების შეკავებას ვერ შეძლებენ. შედარებისთვის საბჭოელების გაწვრთნილი ავღანური არმია ბევრად მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს სამი წლის განმავლობაში წარმატებით უმკლავდებოდა და დამარცხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბორის ელცინის გადაწყვეტილებით ნაჯიბულას მთავრობას საწვავისა და ტექნიკის მიწოდება შეუწყვიტეს.**

ამერიკელებს დიდი წვლილი მიუძღვით სამხრეთ კორეის არმიის გაწვრთნაში, მიუხედავად ამისა, თავად ამერიკელი სამხედროები აღიარებენ, რომ ეს ქვეყანა, რომელიც ჩრდილოეთ მეზობელს მოსახლეობით ორჯერ აღემატება და ეკონომიკური განვითარების გაცილებით მაღალ საფეხურზე დგას, ვერ შეძლებს ჩრდილოკორეელების შეტევის მოგერიებას, თუ ომში აშშ-ის მსხვილი სახმელეთო შენაერთები და ზოგადად სამხედრო მანქანა არ ჩაერევა.

**ბოლოს და ბოლოს, არსებობს სამხრეთ ვიეტნამის მაგალითი, რომლის უზარმაზარ არმიას ამერიკელი ინსტრუქტორები ნამდვილად ასწავლიდნენ „ტერიტორიის დაცვას", მაგრამ ის არმია დამარცხდა, ხოლო სამხრეთ ვიეტნამის სახელმწიფო განადგურდა. ამ და რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელების ავტორიტეტი სხვა ქვეყნების სახმელეთო ძალების მომზადებაში სერიოზული ეჭვის ქვეშ დგას.**

ბუნებრივად იბადება მეორე კითხვა: **რაში გვჭირდებოდა არმიის მომზადება ისე, რომ მას არა მხოლოდ „ტერიტორიის დაცვა" არ შეუძლია, არამედ სხვა პირობებშიც მოქმედება უჭირს.** თავის წიგნში „ეს ჩვენი სამშობლო იწვის" გენერალი ყარყარაშვილი დაწვრილებით აღწერს 43-ე ბატალიონის მოქმედებას აგვისტოს ომის დროს. ეს ბატალიონი ზნაურის მიმართულებით მოქმედებდა და რუსულ ქვედანაყოფებს მისთვის გზა არ გადაუღობავს, წინააღმდეგობას მხოლოდ მცირერიცხოვანი ოსური ჯგუფები უწევდნენ. აშკარად ჩანს, რომ ბატალიონი „ბუქსაობს" მაშინაც კი, როდესაც არაადეკვატურად სუსტ მოწინააღმდეგესთან შეტაკება უწევს. **„43-ე ბატალიონის მოქმედება დეტალურად აღვწერე, რათა მეჩვენებინა, ქართული ბატალიონები შეტევისას რა ტაქტიკით მოქმედებდნენ და რა ამოცანები ჰქონდათ დასახული,** — წერს ყარყარაშვილი, — **ასე იყვნენ მომზადებულები და გაწვრთნილები. მათ მოქმედებაში ვერ ვნახულობთ შეტევისთვის დამახასიათებელ მოთხოვნებს, ისეთს, როგორიც არის შეუჩერებლად დღისა და ღამის განმავლობაში სწრაფი ტემპით სვლა, ძალების სრული დაძაბვით გადამწყვეტი დარტყმების განხორციელება, მანევრირება, მოწინააღმდეგის თავდაცვითი პოზიციების გარღვევა და სიღრმეში გასვლა".**

აგვისტოს ომმა ნათლად წარმოაჩინა, რომ ამერიკელების მიერ მომზადებული ქართული ქვედანაყოფები მომზადებული იყვნენ მხოლოდ კოლონიური ტიპის ომებში ნახევრადსაპოლიციო ფუნქციების შესრულებისთვის. იმ მოქმედებების განხორციელება, რომლისთვისაც ნებისმიერი კონტინენტური არმია მუდამ მზად უნდა იყოს, მათთვის არ უსწავლებიათ. ვერაფერს ვიზამთ: ასეთი არმია შეგვიქმნეს მიხეილ სააკაშვილმა და მისმა ამერიკელმა მეგობრებმა.

დავუბრუნდეთ მაიკლ ჩეჩირეს და მის „ხუთ მიზეზს".

პირველი თეზისი — **„რუსეთის შეიარაღებული ძალები, ისევე, როგორც ქვეყანა, საქართველოს ბევრად აღემატება",** ერთი შეხედვით, ეჭვს არ იწვევს. ავტორი წერს, რომ მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში 100 ათასზე მეტი რუსი სამხედრო და ბევრი სამხედრო ტექნიკაა დისლოცირებული და დასძენს: **„არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ ქართუ-** ▶



ამერიკელი პარტნიორებისთვის, ომამდე გაცილებით ადრე, ძნელი გასათვლელი არ იყო, რომ ომის შემთხვევაში ეს პრობლემები ძალზე უარყოფით შედეგებს გამოიღებენ; ინფორმაცია ქართული არმიის მდგომარეობის შესახებ მათ ნამდვილად ჰქონდათ. თუმცა ისინი, როგორც ჩანს, საკმარისად დამაჯერებლები არ იყვნენ, როდესაც ქართველ პარტნიორებს ვითარების შეცვლა ურჩიეს, თუ მსგავს რჩევას ადგილი საერთოდ ჰქონდა.

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



◀ლი დანაყოფები სწრაფად დაჯაბნა დიდმა და უკეთ აღჭურვილმა რუსულმა არმიამ“.** მაგრამ ჩვენ, ალბათ, თვალი მწარე სიმართლეს უნდა გავუსწოროთ, ომის პირველ ორ დღეში, რომელმაც მისი ბედი გადაწყვიტა, ქართულ არმიას კონფლიქტის ზონაში მეტი სამხედრო ძალა და საბრძოლო ტექნიკა ჰყავდა, ვიდრე მოწინააღმდეგეს, რომელსაც ბრძოლაში ჩაბმა გართულებულ პირობებში უხდებოდა. ამგვარად ჩეჩირეს ეს თეზისი, უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებთან მიმართებაში სერიოზულ ეჭვს ბადებს.

კიდევ ერთი თეზისი — **„საუკეთესოდ გაწვრთნილი ქართული სამხედრო დანაყოფები ერაყში გააგზავნეს“;** თუ ისინი საქართველოში იქნებოდნენ, ჩეჩირე წერს: **„ასეთ შემთხვევაში მსოფლიოს ჰქონდა შანსი, შეეფასებინა ის, თუ როგორ მოქმედებდნენ „ამერიკელების გაწვრთნილი“ ქართველი სამხედროები რუსების წინააღმდეგ“.** ეს თეზისი, შესაძლოა, წინარესთან ფარულ წინააღმდეგობაში მოდის. ვინაიდან რუსეთი, თავად ჩეჩირეს შეფასების თანახმად, განუზომლად დიდ რესურსს ფლობდა. ის, უბრალოდ, პროპორციულად გაზრდიდა ოპერაციაში ჩართულ ძალებს, მაგალითად, გააძლიერებდა საჰაერო და სარაკეტო იერიშებს, რის შესაძლებლობაც მას ნამდვილად ჰქონდა. გამორიცხული არაა, რომ ასეთ „ალტერნატიულ რეალობაში“ ამერიკელების მიერ „საუკეთესოდ გაწვრთნილ“ ქვედანაყოფებს ბრძოლის ველამდე, უბრალოდ, ვერ მიეღწია.

შემდგომი თეზისი — **„რუსეთმა მნიშვნელოვანი ეფექტის მისაღწევად ძალის რამდენიმე მულტიპლიკატორი გამოიყენა, საქართველომ კი — არც ერთი“.** ეს თეზისი ეჭვს არ იწვევს, თუმცა აქაც შეიძლება დაისვას კითხვა, რომელმა ინსტრუქტორმა ან მრჩეველმა ასწავლა ქართველ სამხედროებს, მაქსიმალურად არ გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული შესაძლებლობები, იქნებოდა ეს უპილოტო საფრენი აპარატები თუ ტანკების უკეთესი აღჭურვილობა, რომელიც ღამით ეფექტური მოქმედების შესაძლებლობას იძლეოდა. ის, რომ **„რუსეთის ხელში ერთ-ერთი ასეთი მულტიპლიკატორი საქართველოს საჰაერო სივრცის აბსოლუტური კონტროლი იყო“,** ეჭვგარეშეა, მაგრამ ნამდვილად გასარკვევია, რომელმა ამერიკელმა ინსტრუქტორმა ან მრჩეველმა მოამზადა ქართველი სამხედროები ისე, რომ **„მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელობა ისე იყო დარწმუნებული იოლ წარმატებაში, რომ ბრიგადის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები თავშეყრის რაიონში დატოვეს“,** როგორც ამაზე გია ყარყარაშვილი წერს. **42-ე ბატალიონის კატასტროფის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც „დუბოვაია როშჩაში“ მოხდა, სწორედ ეს გახდა.**

რაც შეეხება, მაიკლ ჩეჩირეს ბოლო თეზისს, **„ხელმძღვანელობასა და კონტროლთან დაკავშირებული პრობლემები უარყოფითად აისახა საქართველოს შესაძლებლობაზე, რეაგირება მოეხდინა სწრაფად ცვლად გარემოებებზე“,** იგი სავსებით სწორი ჩანს. **„პრობლემა, როგორც ჩანს, სამხედრო იერარქიის ყველა დონეზე არსებობდა — სამინისტროდან დაწყებული, ქვედანაყოფების ხელმძღვანელობით დამთავრებული. ხოლო გეგმები ტერიტორიული თავდაცვის მხარდაჭერის სფეროში, რაც ზოგადად ყველა ნაციონალური შეიარაღებული ძალის არსებობის არსია, ან არ არსებობდა, ან საშინლად შესრულდა“,** — წერს ჩეჩირე. საინტერესოა, რომ ამერიკელი პარტნიორებისთვის, ომამდე გაცილებით ადრე, ძნელი გასათვლელი არ იყო, რომ ომის შემთხვევაში ეს პრობლემები ძალზე უარყოფით შედეგებს გამოიღებენ; ინფორმაცია ქართული არმიის მდგომარეობის შესახებ მათ ნამდვილად ჰქონდათ. თუმცა ისინი, როგორც ჩანს, საკმარისად დამაჯერებლები არ იყვნენ, როდესაც ქართველ პარტნიორებს ვითარების შეცვლა ურჩიეს, თუ მსგავს რჩევას ადგილი საერთოდ ჰქონდა.

მაიკლ ჩეჩირეს წერილი, ნებისმიერ შემთხვევაში საინტერესოა გასაცნობად და კარგი იქნება, თუკი ის ამ პრობლემატიკას თავს არ დაანებებს და დაწერს კიდევ ერთ წერილს **„ხუთი მიზეზი, რის გამოც საქართველომ აშშ-თან სამხედრო თანამშრომლობა უნდა გააგრძელოს“,** რადგან ქართულ საზოგადოებაში სულ უფრო მეტი კითხვა ჩნდება ამ თანამშრომლობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მისი სავალალო შედეგები მან აგვისტოს ომის დროს საკუთარი თვალით იხილა და დღესაც ხედავს, რომ ვითარებას, ძნელია, „უკეთესობისკენ შეცვლილი“ უწოდო.

**« მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელობა ისე იყო დარწმუნებული იოლ წარმატებაში, რომ ბრიგადის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები თავშეყრის რაიონში დატოვეს »**



# «FELIN»-ი: ფრანგული სამხედრო მოდის ახალი კანონმდებელი

**ევროპის ერთ-ერთმა უძველესმა სამხედრო შენაერთმა, საფრანგეთის არმიის პირველმა პოლკმა, ახალი მაღალტექნოლოგიური ამუნიცია „FELIN“-ი წარმოადგინა. „FELIN“-ი ეკიპირებაში ინტეგრირებული აღჭურვილობის თანამედროვე კომპლექსია, რომელიც ჯარისკაცის შესაძლებლობებს ბრძოლის ველზე მნიშვნელოვნად ზრდის.**



დღევანდელ ეტაპზე დასრულდა „FELIN“-ის გამოცდის პირველი ეტაპი, მეორე ეტაპზე მისი ტაქტიკური ინტეგრაცია დაიწყება. უკვე წელს იგეგმება ამ ეკიპირებით იმ ჯარისკაცების აღჭურვა, რომლებიც საფრანგეთის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა მისიებში მონაწილეობენ.

**კომპანია „Sagem“-ის მიერ (თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით) ტაქტიკურ ჟილეტში ინტეგრირებული აღჭურვილობა, უპირველეს ყოვლისა, გამიზნულია იმისთვის, რომ მოტომსროლელთა თანამედროვე ქვედანაყოფები „ციფრულ ფორმატში გადაიყვანოს“. კომპლექტში შედის ინდივიდუალური რადიოსადგური, ინფორმაციის დამუშავების ბლოკი, „GPS“-ი და ბატარეები; მინიატურულ ეკრანზე აისახება ინფორმაცია მიღებული ბრძანებებისა და ქვედანაყოფის ადგილმდებარეობის შესახებ, აგრეთვე, გამოსახულება ვიდეოკამერიდან, რომელიც იარაღზეა დამაგრებული, რაც მებრძოლს შესაძლებლობას აძლევს, გასროლა ცეცხლის ხაზზე თავის გამოყოფის გარეშე მოახდინოს.**

ამასთანავე, ეკიპირებაში გამოყენებულია ოსტეოფონური ტექნოლოგია; ის რეალიზებულია რგოლში, რომელიც ჯარისკაცის თავზე მაგრდება. ის შესაძლებლობას აძლევს ქვედანაყოფის მებრძოლებს, ერთმანეთს ხმაურის მიუხედავად ესაუბრონ. ხოლო იმისთვის, რომ ჯარისკაცმა მაქსიმალურად სწრაფად იმოქმედოს, „FELIN“-ის ძირითადი ფუნქციების, კერძოდ კი დამიზნების სისტემისა და კავშირგაბმულობის მართვის პულტი იარაღზეა დამონტაჟებული.

**ქვედანაყოფის მართვის გაუმჯობესებისთვის მეთაურები აღიჭურვებიან ტერმინალებით „SITComDE“, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს, თითოეული ჯარისკაცის გადაადგილებას თვალი რეალურ დროში ადევნონ.** აგრეთვე, მათ შეეძლებათ, მიიღონ ინფორმაცია ჯარისკაცების ვიდეოკამერებიდან. ეს ფუნქცია ამცირებს სამიზნის იდენტიფიკაციის დროს და ტაქტიკური გადაწყვეტილების მიღებას აიოლებს.

იმისათვის, რომ დისტანციებზე (600 მეტრი დღისით და 400 მეტრი ღამით) საიერიშო შაშხანიდან „FAMAS სროლის ეფექტურობა გაიზარდოს, „FELIN“-ში ოპტიკურ-ელექტრონული სამიზნე გამოიყენება. ეს, პრაქტიკულად, იმას ნიშნავს, რომ ამ დისტანციებზე ნებისმიერ ჯარისკაცს სნაიპერის ფუნქციების შესრულება შეეძლება. ამასთანავე, **„FELIN“-ში გამოიყენება ინფრაწითელი ბინოკლები „JIM“.**

დღეს „Sagem“-ის სპეციალისტები სამხედრო სასწავლებლებში ამზადებენ ინსტრუქტორებს, რომლებიც ჯარისკაცებს „FELIN“-ის გამოყენებას ასწავლიან. ეს სისტემა ახლახან შამბერიში განლაგებულმა სამთო მსროლელთა მე-13 ბატალიონმა მიიღო. ისინი აღჭურვილობას ტაქტიკურ საწვრთნელ ზონებში რიგი ოპერატიული სცენარების ფარგლებში გამოცდიან.

**რუსეთის თავდაცვის სამინისტრო განიხილავს შესაძლებლობას, რომ „FELIN“-ი „ГРУ“-ს სპეცრაზმელებისთვის შეიძინოს.**

მსგავსი სისტემებით მსოფლიოს წამყვანი არმიების აღჭურვა, სავარაუდოდ, მომავალი ათწლეულის განმავლობაში მოხდება. **„FELIN“-ი დღეისთვის, შესაძლოა, ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილებაა ჯარისკაცის ეკიპირების სფეროში, თუმცა მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ; ვნახოთ, რამდენად სასარგებლო იქნება ის რეალურ საბრძოლო პირობებში.**

## ბაფრიზებული

**ბარაკ ობამა, აშშ-ის პრეზიდენტი:**



▼ როდესაც ლიდერი თავისი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, როგორც ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთ საშუალებას, მასობრივ ძალადობას მიმართავს, ის ქვეყნის მართვისთვის ლეგიტიმურობას კარგავს და ის უნდა გააკეთოს, რაც მისი ქვეყნისთვის იქნება სწორი — წავიდეს ახლა.

*echo.msk.ru*

**სერგეი ლავროვი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი:**



▼ რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობა ახლა შეიძლება შეფასდეს, როგორც ორი ნაბიჯი — წინ, ერთი — უკან. ერთის მხრივ, ბარაკ ობამას ადმინისტრაციასთან ურთიერთობა პოზიტიურად ვითარდება, მეორეს მხრივ კი, მოსკოვში არ ესმით აშშ-ის განცხადება იმის თაობაზე, რომ კურილიის კუნძულები იაპონიის საკუთრებაა.

*Эхо москвы*

**ანდრეი ისაევი, „ედინაია როსიას“ წარმომადგენელი:**



▼ ოპოზიცია როგორც არ უნდა ეცადოს, რუსეთში ეგვიპტისა და არაბული ქვეყნების ანალოგიური მოვლენები არ განვითარდება. რატომ ვისაუბროთ ეგვიპტისა და სუდანის შესახებ, როდესაც უშუალოდ ჩვენი ქვეყნის სიახლოვეს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში „ნარინჯისფერმა რევოლუციებმა“ არ გაამართლა.

*gazeta.ru*

**მიხეილ გორბაჩოვი, სსრკ-ს პრეზიდენტი:**



▼ ამას ისტორიული და პოლიტიკური ბუმერანგი ეწოდება. ამერიკელები საიდუმლოდ მუშაობდნენ იმ ძალებთან, რომლებსაც ახლა ებრძვიან. ამდენად დანაშაულის ნაწილი საკუთარ თავზე უნდა აიღონ. ვფიქრობ, ღმერთს აქვს ისეთი მექანიზმი, რომლის დახმარებით სჯის მათ, ვინც შეცდომებს უშვებს.

*The Independent on Sunday*

**დიტერ ბოდენი, გერმანელი დიპლომატი:**



▼ საქართველომ და რუსეთმა ჟენევის მოლაპარაკებების პარალელურად პირდაპირი დიალოგიც უნდა აწარმოონ, პირველ ეტაპზე — თუნდაც არაოფიციალურ დონეზე. ამ გზაზე პირველი ნაბიჯი საკუთარი შეცდომების აღიარება უნდა იყოს, რაც, რა თქმა უნდა, ადვილი არ არის, მაგრამ საქმეს უდავოდ წაადგება.

*Эхо кавказа*

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**თირის „სამების“ ხუროთმოძღვრული სახე და აქვე კლდეში ნაკვეთი უძველესი სამლოცველოები ეჭვს ბადებს, რომ გიორგი აბაშიძემ საფუძველი კი არ ჩაუყარა ამ ტაძარს, არამედ დანგრეული აღაშენა. ძნელი წარმოსადგენია, რომ თუნდაც მეფისტოლა გიორგი აბაშიძეს, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მისი ცოლისძმა იყო, მეტად არეულ დროებაში აქ ასეთი სერიოზული მონასტრის დაარსება მოეხერხებინა.**



# ადრინდელი და გვიანდელი ქტიტორები

## მარგვეთი

**სპეთის, ეხვევისა და ჭალის შემდეგ მკითხველი ყვირილის დინების მიმართულებით უნდა დავიმგზავროთ და სხვიტორის მიდამოებში მდებარე სოფელ ჩიხაში შევიდეთ. 800-კომლიან დასახლებას ახლა ეთქმის სოფელი, თორემ წერეთლების გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე, ხეობის ცენტრი თუ არა, ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტი და ერისთავის სარეზიდენციო ალაგი მაინც იყო. იგი IX საუკუნის საგულისხმო ისტორიულ ამბავთან არის დაკავშირებული. „მატიანე ქართლისაიში“ ნათქვამია: „მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე - ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისა; დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი, რომელსა ერქუა ბაგრატ“. საფიქრალია, რომ სწორედ ამ ამბავმა გამოიწვია სულ მალე დიდი ფეოდალური დაპირისპირება აფხაზეთის (დას. საქართველოს) სამეფოში — კაცხის მფლობელმა მარგველმა ერისთავმა ლიპარიტ I ბაღვაშმა, ბაგრატის სიკვდილის შემდეგ შავლიანების საპირისპიროდ დავით ბაგრატის ძე კუროპალატის ქვეშევრდომობა არჩია და თრიალეთში კლდეკარის საერისთავოც შექმნა.**

ჩიხის „წმ. ბარბარე“



ჭილლაძეების უბანში არსებული კომპლექსის ციხე-კოშკს უთუოდ იმ ეპოქის საძირკველი ექნება, მაგრამ ზედ გვიანდელი კედლები ადგას. მცირე კომპლექსში შემონახულია განვითარებული შუასაუკუნეების ეკლესია, რომელიც იმდენად უდიერადაა აღდგენილი, რომ ზომებში აშკარად დამცრობილია — სიგრძე-სიგანეში 5X4 მეტრიღაა და სიმაღლეც აკლია. საკურთხევლის აფსიდი სწორკუთხა კედლადაა გადაკეთებული, ხოლო სამხრეთის მინაშენი ზეძირკვლის დონეზეა დატოვებული. ხელუხლებლად შემორჩენილია მხოლოდ ერთადერთი, დასავლეთ კარის პორტალი.

სინგურით არშიაშემოვლებული უნატიფესი ჯვრის ირგვლივ არის ასომთავრული წარწერა, რომელიც გიორგი ბოჭორიძემ თავის დროზე ასე წაიკითხა: **„ჯვარი ქრისტესაი. წმიდაი ბარბარე“. „მრავალმოწყალეო ღმერთო, შეუნდვენ ცოდვანი შერაზადს და განუსვენე სულსა მამისა მისისა იოვანესა“.** ჯვრის გამოსახვის ხელოვნებით და გრაფემათა პალეოგრაფიული ხასიათით გიორგი ბოჭორიძე ძეგლს X საუკუნით ათარიღებდა, ხოლო მამა-შვილ იოანესა და შერაზადს ჩიხის ერისთავებად მიიჩნევდა. ვალერიან სილოგავა წარწერას, პალეოგრაფიული ნიშნებით, XII საუკუნეს განაკუთვნებს, რასაც, თითქოს, სამკაულთა ხასიათიც უწყობს ხელს. ძველი ეკლესიებიდან ჩიხაში რამდენადმე სახიერად შემორჩენილია ტანაყრილი ბზის კორომში მჯდარი მეორე საყდარი — სამების ეკლესია, თუმცა იგი მოგვიანებითი ეპოქისა უნდა იყოს.

რაკი საჩხერის რაიონის უმთავრესი ტაძრები ნანახი გვაქვს, ჭიათურისაკენ გავწიოთ. საჩხერიდან ჭიათურაში შესვლამდე 3-4 კილომეტრით აქეთ, ტრასიდან ხელმარჯვნივ, ჩრდილოეთის მიმართულებით მეორეხარისხოვანი გზა დარკვეთისა და ზოდისაკენ ადის. ჩვენთვის დარკვეთის ტაძარია მთავარი. იგი სოფლის სასაფლაოზე დგას.

პირველივე შეხედვით დარკვეთის „წმინდა გიორგი“ თავისი ფორმით ზრზველის, აიაზმისა და კიდევ მრავალ სხვა ტაძარს მოგვაგონებს. აქაც დარბაზული საყდრის სამხრეთ და დასავლეთ გარსშემოსავლელებიდან დასავლეთისა რამდენადმე დაბალია. როგორც მთავარი ნაგებობა, ისე მინაშენები აგებულია სუფთად გათლილი გრანიტის კვადრებით. ეკლესიის ძირითადი ნაწილი უფრო ძველია და ვარდისფერ პერანგში ზის, მინაშენები რამდენადმე გვიანდელია და მოთეთრო ქვისაა. ფასადებზე საინტერესო სამკაულებია, რომელთა ნაწილი სინგურითაა შეღებილი. გვხვდება საინტერესო ჯვრები და ერთგან ფარშავანგის გამოსახულება.

ტაძარი ძალზე მდიდარია რელიეფური წარწერებით, რომლებიც დასავლეთის ფასადს განსაკუთრებულ დატვირთვას აძლევს.

პერევისის „ღვთისმშობელი“ და მისი ძველი ფრესკა





მთავარი წარწერა 5 სტრიქონიანია: **„წმიდაო გიორგი მთავარმოწამეო, შეიწყალენ მონანი შენნი, შვილნი გოლიათისანი: ანტონი, გოდობრელი, ლიპარიტი და კვირიკე, რომელთა აგიშენეს წმიდაი ესე ეკლესიაი. შემწე ეყავ“.** ამ და კიდევ სხვა სახელებს: **„ლაჩხს“** და **„კოხალას“** კიდევ 4 რელიეფურ წარწერაში ვხვდებით. ექვთიმე თაყაიშვილი ამ წარწერებში მოხსენიებულ „გოლიათს“ და სავანის ეკლესიის „გოლიათს“ ერთმანეთთან აიგივებს და გიორგი ერისთავთ-ერისთავის შვილად მიიჩნევს. ვალერიან სილოგავა ბოლომდე იზიარებს სახელოვანი მეცნიერის მოსაზრებას და ტაძრის აგების თარიღად XI საუკუნის მეორე ნახევარს ასახელებს.

განსხვავებული აზრი ჰქონდა რენე შმერლინგს. იგი ფიქრობდა, რომ დარკვეთის ტაძარი X საუკუნის მიწურულის ქმნილებაა. ასეა თუ ისე, დარკვეთის „წმინდა გიორგი“ კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ამ კუთხის მაღალ სულიერ და კულტურულ დონეს.

დარკვეთიდან ჭიათურაში მიმავლებმა, მღვიმევის დიდებული მონასტერს დროებით გვერდი ავუაროთ, ჭიათურიდან ყვირილა და სარკინიგზო ლიანდაგები გადავკვეთოთ და პერევისის გზას დავადგეთ. ეს სოფელი ჭიათურაზე გაცილებით მაღლაა და მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 10 კილომეტრშია. მოზრდილი სოფლის ზედა უბანში, სასაფლაოს ბოლოში, ორი ეკლესია დგას გვერდი-გვერდ. დიდი ეკლესია „წმიდა გიორგია“, მომცრო — „ღვთისმშობელი“.

„წმინდა გიორგი“ XIX საუკუნის ბოლო პერიოდის ტიპიური 3-ნავიანი ტაძარია. დასავლეთის პორტალთან არსებული მხედრული წარწერები იმას გვეუბნება, რომ ეკლესია გაბრიელ ეპისკოპოსის თაოსნობით და მოძღვარ ზაქარიას უშუალო მონაწილეობით აშენებულა. „ღვთისმშობელი“ განვითარებული შუასაუკუნეების ტაძარია. ეკლესია გასულ საუკუნეში გაუმაგრებიათ და გადაუხურავთ.

ამ ტაძრის მთავარი მხატვრული ღირსება ორი სხვადასხვა პერიოდის ფრესკებია. ახალი ფრესკებიც საკმაოდ ოსტატურადაა შესრულებული, მაგრამ ისინი მათზე უმჯობეს და დაზიანებულ ძველ ფრესკებზე გადაუხატავთ. რესტავრატორებს გვიანდელი მხატვრობის ბათქაშის ქვეშ მიუკვლევიათ ძველი ფრესკებისთვის და შეძლებისდაგვარად წარმოუჩენიათ კიდეც. ინტერიერში ყურადღებას იქცევს იატაკზე დამხობილი მზის საათიც. იგი, ალბათ, სამხრეთის კედელში იჯდა.

პერევისიდან უკან ვბრუნდებით, მაგრამ ჭიათურის ცენტრში კი არ შევდივართ, არამედ მდინარეზე გადაუსვლელად ყვირილის დინებას 7-8 კმ. ქვევით, დასავლეთით, მივუყვებით მარცხენა სანაპიროთი. დღევანდელი სოფელი ნავარძეთი ძველი ციხიდან და მეტადრე ეკლესიიდან საკმაოდ დაცილებულია დღეს. უწინ კი, ასე არ ყოფილა. ეს სოფელი მთელ დასავლეთ საქართველოში საუკეთესო ჭურებით იყო ცნობილი. ამას ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის მიერ მოხმობილი XI ს-ის ნიკორწმინდის ერთი საბუთი: **„დავფალ ჭური ნავარძული 16“.** ნავარძეთის ნამონასტრალი ავტომაგისტრალიდან მაღალი სერითაა გამოყოფილი და დამალული, რკინიგზიდან კი ხელისგულზეა, უფრო მეტიც — იგი ზედ პლატფორმაზეა. მონასტერი და რკინიგზის ლიანდაგები ყვირილის მარჯვენა ნაპირზეა და ბონდის ხიდია გადასასვლელი.

დარკვეთის „წმ. გიორგი“ ფარშევანგის რელიეფით



დარკვეთის „წმ. გიორგის“ მთავარი, ხუთსტრიქონიანი წარწერა



თირის ეკლესიის სამხრ. ფასადის წარწერა



ნავარძეთის სამონასტრო კომპლექსს „თირიც“ ჰქვია. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ირგვლივ სულ თირის, ანუ შირიმის ვულკანური კლდეებია და ეკლესიაც ამ ქვითაა ნაგები. ტაძრის ისტორიის გასაცნობად თავდაპირველად მისი ორი წარწერა წავიკითხოთ. სამხრეთ ფასადზე, შესასვლელის თავზე ჩასმულ სხვა ჯიშის თეთრ ქვაზე წერია: **„ჰოი, წმიდაო სამებაო, ერთარსებაო, ყოველთა ხილულთა და უხილავთა შემოქმედო, მამაო, ძეო და სული წმიდაო, დაუსაბამოო და დაუსრულებელო, შეიწყალე ტაძრისა ამისა შენისა ამგები აბაშიძე გიორგი და თანამეცხედრე მისი გულქან ლორთქიფანიძის ასული“.** თარიღის მიმანიშნებელი ასოები დაზიანებულია. მეორე წარწერა დასავლეთის ფასადზე, სარკმლის თავზე თეთრ ქვაში ნატიფი ჯვრის კუთხეებშია ამოკვეთილი: **„წმიდაო სამებაო, ჯვარო ქრისტესაო, მეოხ ექმენ ორთავე შინა ცხორებასა ამგებსა და მადიდებელსა ტაძრისა შენისასა აბაშიძეს გიორგის, თანამეცხედრესა გულქანს, ძესა მათსა ლევანს და ბეჟანს“.**

ამ წარწერების გაშიფრული ტექსტი პროფესორმა ვალერიან სილოგავამ გადმოგვცა და გვითხრა, რომ თავის დროზე ექვთიმე თაყაიშვილს თარიღიც ამოუკითხავს — 1708 წელი. აქედან გამომდინარეიოლი დასადგენია, რომ ტაძრის ქტიტორი XVII-XVIII საუკუნეთა გარდამავალი ორი ათწლეულის მანძილზე დასავლეთ საქართველოს უგვირგვინო მეფე გიორგი (იგივე მალაქია) აბაშიძეა, რომელიც 6 წელი იმერეთის მეფის ტახტზეც კი იჯდა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მან ამ ტაძრის აშენებიდან თუ ხელახალი აგებიდან ერთი წლის თავზე დათმო სწორედ დიდება, როცა მთავარი ციხესიმაგრეები სვერი, კაცხი და ნავარძეთი დაკარგა.

თირის „სამების“ ხუროთმოძღვრული სახე და აქვე კლდეში ნაკვეთი უძველესი სამლოცველოები ეჭვს ბადებს, რომ გიორგი აბაშიძემ საფუძველი კი არ ჩაუყარა ამ ტაძარს, არამედ დანგრეული აღაშენა. ძნელი წარმოსადგენია, რომ თუნდაც მეფისტოლა გიორგი აბაშიძეს, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მისი ცოლისძმა იყო, მეტად არეულ დროებაში აქ ასეთი სერიოზული მონასტრის დაარსება მოეხერხებინა.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

**თბილისი ბევრით არის დავალებული ამ ადამიანისგან. ხალხმრავალ, მაგრამ კეთილმოუწყობელ ქალაქში არც საავადმყოფოები იყო ღარიბებისთვის, არც ფსიქიატრიული სახლები შეშლილთათვის, არც უპატრონო ბავშვთა სახლები... სიპიაგინმა მისი ხანმოკლე მმართველობის პერიოდში გახსნა მრავალი საქველმოქმედო თავშესაფარი და დაწესებულება.**

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ზამთარი ამიერკავკასიაში

**1828 წლის ზამთარი ადრე დადგა. ოქტომბერში მთებზე უკვე ჩამოთოვა, რამაც შეუძლებელი გახდა თურქების მხრიდან შემოტევები. ამდენად, კამპანია დასრულებულად შეიძლებოდა ჩათვლილიყო. ზამთრამდე მოკლე დროში რუსებმა მთლიანად დაიკავეს ბაიაზეთის საფაშო, გურია, ფოთის ციხესიმაგრე; ყარსში, ახალციხესა და არდაღანში კი უკვე იდგა რუსეთის ჯარები. საერთო ჯამში მათ დაიპყრეს სამი საფაშო, აიღეს ცხრა ციხესიმაგრე, ხელში ჩაიგდეს 315 ქვემეხი, 195 სადროშო, 8 ათასამდე ტყვე. ეს ლაშქრობა უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე სპარსეთთან ომი. აქამდე მსგავსი დამარცხება აზიურ თურქეთს არ განუცდია. რუსებს კი არც ერთი კამპანია ისე იაფი არ დაჯდომიათ, როგორც ეს — პასკევიჩის თურქული კამპანია.**



გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი სიპიაგინი

„იმ დროს, — ამბობს ერთი თანამედროვე, — **პასკევიჩის გზავნილებზე ბრძოლის ველიდან გასაოცარი ყურადღება იყო მიპყრობილი. ამ საოცარი საბრძოლო მამაცობის ისტორიების კითხვით ხალხი თავის ეროვნულ სიამაყეს იკმაყოფილებდა“.**

სექტემბრის დასაწყისში მთავარსარდალმა გადაწყვიტა, საფაშოების დაკავების შემდეგ გამოთავისუფლებული ჯარების ეს ნაწილები ზამთრის ბინებში გაეგზავნა. თურქეთის საზღვრებში განათავსა რა 7,5 ათასი ქვეითი, 4 კაზაკთა პოლკი და 34 ქვემეხი; დანარჩენი ჯარები ორ კოლონად საქართველოსკენ გაგზავნა სურამისა და წალკის გავლით, სადაც მათ, შავი ჭირის პროფილაქტიკის მიზნით, 14-დღიანი კარანტინი ელოდათ.

**თვითონ პასკევიჩი არდაღანიდან 28 სექტემბერს გამოვიდა და 5 ოქტომბერს, ღამის 11 სთ-ზე, ყველასგან მოულოდნელად, თბილისში ერთი ადიუტანტის თანხლებით ჩამოვიდა. მეორე დღეს ინფორმაციამ გრაფის ჩამობრძანების შესახებ დაარღვია ქალაქური დილის ჩვეულებრივი ყოფა. ხალხი ჯგუფებად მიაწყდა სასახლეს თურქთა დამმარცხებლის სანახავად. მაგრამ ამ დროს პასკევიჩი იქ არ იყო — იგი მარტო ლოცულობდა მამა დავითის მონასტერში და მადლობას სწირავდა უფალს ამ წარმატებებისთვის.**

**თბილისში პასკევიჩს ცუდი ამბავიც ელოდა — ეს იყო მისი უახლოესი ადამიანის, სამხედრო გუბერნატორის, სიპიაგინის სიკვდილი. პასკევიჩი მას თავის საუკეთესო ქვეშევრდომად მიიჩნევდა მხარის მართვაში. იგი დიდი პატივით დაკრძალეს, მოგვიანებით კი მის მშობლიურ მხარეში — კოსტრომის გუბერნიაში გადაასვენეს.**

სიპიაგინი იყო ფრიად განათლებული და წარმატებული პიროვნება. მან სამსახური პირველად სემიონოვსკის პოლკის ლეიბ-გვარდიაში დაიწყო, სადაც მალე პოლკის ადიუტანტად დაინიშნა. მას მამაცი ოფიცრის სახელი ჰქონდა, აუსტერლიცის ბრძოლაში კანტუზია მიიღო და მარჯვენა ხელში დაიჭრა. ხელმწიფემ იგი ვლადიმირის ჯვრით დააჯილდოვა, ფრიდლანდისთვის კი — ოქროს დაშნით. ნაპოლეონის ომიდან დედაქალაქში იგი გენერალ-ადიუტანტად დაბრუნდა. აქ მან საფუძველი ჩაუყარა სამხედრო ჟურნალის გამოშვებას, განსაკუთრებული იყო მისი წვლილი სამხედრო სწავლების საქმეშიც.

**თბილისში სიპიაგინი პასკევიჩთან ერთად დაინიშნა. ხელოსნობას, მრეწველობას, ვაჭრობას — ყველაფერს დაატყო მზრუნველი კვალი. მან საფრანგეთიდან გამოიწერა ლიტერატურა დახელოვნებულ მევენახეებზე, დააარსა მებაღეობისა და მიწათმოქმედების ფერმები, მოაწყო ბაზრობები. თბილისში ახალი ქარავან-სარაი აღმოცენდა (აღა მუჰამედ-ხანის დროინდელის მსგავსი), აივსო აღმოსავლეთის ძვირფასი ნაქრებით და ევროპული მანუფაქტურების ნაწარმით. ვაჭრობის განვითარების მიზნით, იგი ბევრს ცდილობდა შავი და კასპიის ზღვების ნაოსნობის დაარსებისთვის.**

**თვით დედაქალაქი თბილისი ბევრით არის დავალებული ამ ადამიანისგან. ხალხმრავალ, მაგრამ კეთილმოუწყობელ ქალაქში არც საავადმყოფოები იყო ღარიბებისთვის, არც ფსიქიატრიული სახლები შეშლილთათვის, არც უპატრონო ბავშვთა სახლები... სიპიაგინმა მისი ხანმოკლე მმართველობის პერიოდში გახსნა მრავალი საქველმოქმედო თავშესაფარი და დაწესებულება.**

ამბობენ, რომ ჯარები თურქეთის ომიდან დაბრუნების შემდეგ 2-3 წლის უნახავ თბილისს ვეღარ ცნობდნენ. გალამაზდა მოედნები, ვიწრო ქუჩები გაფართოვდა, ქვიანი მთები, რომლებიც მგზავრობისას საშიშროებას ქმნიდა, დამუშავდა. ყველაფერი ეს დიდი მონდომებით კეთდებოდა. პირველი სამუშაოები სპარსი ტყვეების მეშვეობით ხორციელდებოდა, მაგრამ როცა ომი დასრულდა, ტყვეებმა თავისუფლება მიიღეს. სამუშაოს გაგრძელება ახლა თურქ სამხედრო ტყვეებს მოუხდათ — მტრები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ანგრევდნენ თბილისს, ახლა საკუთარი ხელით აშენებდნენ მას.

**სიპიაგინის მეცადინეობით გაიხსნა ვაჟთა გიმნაზია. მისი ზედამხედველობით დაიწყო თბილისში პირველი რუსული გაზეთის — „Тифлисские ведомости“-ს გამოსვლა, რომელსაც მკითხველთა ფართო წრე რუსეთშიც კი გამოუჩნდა. მან ჩაუყარა საფუძველი კავკასიაში პერიოდულ ბეჭდვით სიტყვას.**

ასეთი იყო სიპიაგინი და მისი წელიწადნახევრიანი მოღვაწეობა ამ მხარეში.

მისი გარდაცვალებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გენერალ-ადიუტანტ სტრეკალოვის ჩაგონებით, პასკევიჩი უკვე საწინააღმდეგოდ ახასიათებდა გარდაცვლილ მეგობარს.

იგი წერდა, რომ **იმის ნაცვლად, რომ სიპიაგინს თავისი პირდაპირი მოვალეობა შეესრულებინა — სასამართლო და სამოქალაქო საქმეების მოწესრიგებაზე ეზრუნა, ქალაქის გალამაზებით, დასუფთავებით, უმაქნისი ნაგებობების მშენებლობით იყო დაკავებული;** საფინანსო ანგარიშებში კი ყველგან უწესრიგობა შეიმჩნეოდა; ხალხი დაჩაგრული იყო, არ იყო მართლმსაჯულება.

პასკევიჩის მიერ დახატული ეს უბადრუკი სურათი სინამდვილეს შეეფერებოდა. არ შეიძლება იმის დაშვებაც, რომ სიპიაგინის კეთილმოწყობითი საქმიანობა ერთგვარი შირმა იყო იმ უწესრიგობისა და ბოროტებისა, რომელიც, დიდი ხანია, ფესვებგადგმული იყო საქართველოს მმართველ ორგანოებში. მაგრამ ბოროტების ფესვები სიპიაგინის საქმიანობაში როდი იყო; ეს იყო დრო რუსული და ქართული კანონების აღრევისა, როცა თითოეულ მაზრაში განსხვავებული წესებით და ინსტრუქციებით ხელმძღვანელობდნენ. **ვერც სიპიაგინის შემცვლელმა მოახერხა სიტუაციის გამოკეთება. მაშინ პასკევიჩი მიხვდა, რომ ამისთვის აუცილებელი იყო, ერთხელ და სამუდამოდ შემოეღოთ მთელ ამიერკავკასიაში რუსული კანონები და რუსული მმართველობა.**

დროებით დადუმდა რუსული ქვემეხები და პასკევიჩს დრო ჰქონდა, მომავალი წლის კამპანიისთვის მომზადებულიყო, მით უმეტეს, თურქეთი თავის მხრივ ყოველნაირად ემზადებოდა სამკვიდრო-სასიცოცხლო ომისთვის.

**თურქულ სომხეთში რუსული არმიის წარმატებამ ძალიან შეაშფოთა კონსტანტინოპოლის კარი და სულთანმა განსაკუთრებული ყურადღება თავის აზიურ სამფლობელოებს მიაპყრო. მთელს აზიურ თურქეთში გამოცხადდა საყოველთაო შეიარაღება** და სამხედრო მოქმედება (რაც აქამდე არასდროს არ ყოფილა) შესაძლოა, ზამთარში დაწყებულიყო. ახალი სერასკირი (მთავარსარდალი) დროს უქმად არ კარგავდა და უზარმაზარ არმიას აგროვებდა. აღდგენილი ჯარი სასაზღვრო პუნქტებზე განლაგდა, ხოლო 10-ათასიანმა თავიდან ფორმირებულმა კორპუსმა დაიკავა არზრუმი. ამასთან, მნიშვნელოვანი საჯარისო შენაერთები მოდიოდნენ ცალკეული ოლქებიდან: სივაზიდან, ტოკატადან, კესარიიდან, ალეპიდან და ეგვიპტიდანაც. ასე რომ, **გაზაფხულისთვის არზრუმის საფაშოში უნდა შეკრებილიყო 80 ათასამდე კაცი 66 ქვემეხით. ამ ძალებით ჰაჯი-სალეხი არზრუმიდან ყარსამდე გზაზე ცენტრალურ პოზიციებს დაიკავებდა. ამავე დროს 50 ათასი ქურთი 50 ქვემეხით უნდა წამოსულიყო მუშისა და ვანის მხრიდან ბაიაზეთისკენ, ხოლო 60 ათას აჭარელს, ქობულეთელსა და თურქს 40 ქვემეხით უნდა ემოქმედა ტრაპეზუნდიდან ახალციხისკენ და გურიისკენ. ამგვარად, თურქეთის არმიის საერთო რიცხოვნება (156 ქვემეხით) სადღაც 200 ათასს მიაღწევდა.**

**ძალები, რომლებიც პასკევიჩის განკარგულებაში იყო, სრულიად არ შეესაბამებოდა მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს. სპარსეთთან ომის დროს რუსეთის არმიამ დიდი დანაკარგი განიცადა. პასკევიჩს არა თუ არ მიუღია შევსება, პირიქით, თავისი ჯარიდან უნდა გამოეყო მნიშვნელოვანი ძალები რუსეთის ევროპული ნაწილის დასაცავად.**

1828 წლის თურქულმა კამპანიამ დაასუსტა რუსეთის არმია — ზოგიერთ პოლკში ჯარისკაცთა რაოდენობა განახევრდა, ზოგში — მეოთხედი დარჩა. მართალია, კავკასიის კორპუსის გასაძლიერებლად 20 ათასი რეკრუტი დაინიშნა, მაგრამ ეს გამაგრება ნომინალური იყო და ნაკლებად შეცვლიდა საქმის ვითარებას. მით უფრო, რეკრუტები გრძელი გზის გამო მხოლოდ 5-6 თვის შემდეგ მოაღწევდნენ მათთან, ე.ი. ივნისში, როცა საომარი მოქმედებები კარგა ხნის გაჩაღებული იქნებოდა. მეორეც, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კავკასიის ხაზზე უნდა დარჩენილიყო; ამასთან, მხედველობაში იყო მისაღები ჯარისკაცთა დიდი სიკვდილიანობა, რასაც ქვეყნის კლიმატური პირობები განაპირობებდა. შედეგად, მოქმედი კორპუსი, ყოველგვარი დამხმარე ძალის გარეშე, მარტო უნდა შებმოდა მტერს, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, — ახალბედებით ნახევრად შევსებულიყო, რომელთაც ბრძოლის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ. **ასეთ ვითარებაში არა თუ წინსვლა, თავდაცვაც გაჭირდებოდა. პეტერბურგიდან კი, ითვალისწინებდნენ რა წინა კამპანიის წარმატებებს, მოითხოვდნენ ლაშქრობის არეალის გაფართოებას.**

**ვასილი პოტო**
ხუთტომეული ნაშრომიდან
**„კავკასიის ომი“**

გაგრძელება იქნება




**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთხუთმეტე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## ვინ მიიღებს ლიბიელ მიგრანტებს?

**სამხრეთ ევროპის ქვეყნები ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ჩრდილოეთ აფრიკიდან წამოსული მიგრანტების მიღებაში დახმარებას სთავაზობენ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ამ რეგიონიდან დევნილების დიდი ნაკადი წამოვა.** ბრიუსელში ევროკავშირის შს მინისტრთან შეხვედრაზე, რომელიც 3 მარტს გაიმართება, იტალიის, საფრანგეთის, კვიპროსის, მალტისა და საბერძნეთის წარმომადგენლები დევნილების მიღების საერთო ევროპული სისტემის შემოღებას განიხილავენ. ამჟამად ლიბიის ტერიტორიაზე იმყოფება მილიონამდე მიგრანტი, რომლებსაც ევროპაში გასვლის იმედი აქვთ.



# ტეხასელი კანონმდებლები სტუდენტების შეიარაღებას აპირებენ

**ტეხასის შტატის საკანონმდებლო კრება განიხილავს კანონპროექტს, რომლის თანახმადაც სტუდენტებსა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებს სტუდენტური ქალაქების ტერიტორიებზე ყოფნის პერიოდში იარაღის ტარების უფლება მიეცემათ. ამგვარად ამოუდგნენ მხარში ადგილობრივი კანონმდებლები იარაღის ამერიკულ ლობს, რომელიც იარაღისთვის უნივერსიტეტების კარების გახსნას, უკვე კარგა ხანია, ითხოვს.**



კანონპროექტის ფარგლებში შტატის ტერიტორიაზე მდებარე ყველა უმაღლეს სასწავლებელში ნებადართული იქნება იარაღის ფარული ტარება. ტეხასში კი 38 სახელმწიფო უნივერსიტეტი და 500 ათასზე მეტი სტუდენტია.

**ადგილობრივი კანონმდებლების ნახევარზე მეტმა კანონპროექტს მხარი უკვე დაუჭირა. ინიციატივამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ტეხასის წარმომადგენლობით პალატაშიც და სენატშიც. პროექტს მხარს უჭერს თავად გუბერნატორიც.**

თუ კანონპროექტს მიიღებენ, ტეხასი შტატ იუტას შეუერთდება — იქ მსგავსი კანონი უკვე მოქმედებს, და კოლორადოს შტატსაც დაუნათესავდება — იქ უმაღლესი სასწავლებლები თავად წყვეტენ, დაუშვან თუ არა საკუთარ ტერიტორიაზე იარაღის ტარება.

**ტეხასში** იარაღისადმი დიდი მიდრეკილებაა, ტეხასელები ყოველთვის პირველები უჭერენ მხარს იარაღით თავისუფალ ვაჭრობას. **ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ადგილობრივი პოლიტიკოსები ხშირად იწონებენ თავს იმით, რომ იარაღის მესაკუთრეები არიან.**



კანონპროექტის მომხრეები ირწმუნებიან, რომ სასწავლო დაწესებულებებზე არაერთი თავდასხმის გამო სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის თავის დასაცავად იარაღის ტარების უფლების მინიჭება, უბრალოდ, აუცილებელია. მაგალითად მოჰყავთ „ტეხასელ სნაიპერთან" დაკავშირებული ინციდენტი და ვირჯინიისა და ჩრდილოეთ ილინოისის უნივერსიტეტებში მომხდარი მასობრივი მკვლელობები. **მტკიცების მიხედვით, ბოროტმოქმედი, რომელსაც ეცოდინება, რომ უმაღლეს სასწავლებელში შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევენ, ამ დაწესებულებებს თავს არ დაესხმებიან.**

**მსგავსი ზომების განხორციელებას მეზობელ ოკლაჰომას შტატშიც აპირებდნენ, მაგრამ იქ კანონპროექტს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა.**

უკლებლივ ყველა კოლეჯისა და უნივერსიტეტის პრეზიდენტი იარაღის ტარების წინააღმდეგ გამოვიდა.

ტეხასში კი ამგვარი ერთადერთი მოიძებნა — ტეხასის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა უილიამ პაუერსმა განაცხადა, რომ შეიარაღებული სტუდენტების საღამოები სახიფათო რამ იქნება.

**RT**

> « ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ტეხასელი პოლიტიკოსები ხშირად იწონებენ თავს იმით, რომ იარაღის მესაკუთრეები არიან. »

# პენტაგონის «ფსიქოლოგიური ოპერაცია» ამერიკელ მაღალჩინოსნებზე

**გასულ კვირას „Rolling Stone"-ის რეპორტიორი მაიკლ ჰასტინგი იტყობინებოდა, რომ ავღანეთის ჯარის მომზადებაზე პასუხისმგებელმა გენერალ-ლეიტენანტმა უილიამ კოლდუელმა ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების „ფსიქოლოგიურ ოპერაციებზე" (პროპაგანდისტური და ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით ადამიანთა ემოციებსა და ქმედებებზე ზემოქმედება) სპეციალიზებულ ჯგუფს უბრძანა, ზეგავლენა მოეხდინათ ამერიკელ სამოქალაქო ხელმძღვანელ პირებზე, რათა მათ მხარი დაეჭირათ ავღანეთის ესოდენ არაპოპულარული ომისთვის.**

„ფედერალური კანონი, — წერს ჰასტინგსი, — სამხედროებს ამერიკელებზე ფსიქოლოგიური ოპერაციების განხორციელებას უკრძალავს. ამა თუ იმ სამხედრო ზომების სანქცირების თაობაზე ყველა კანონპროექტს ახლავს „პროპაგანდისტული შენიშვნა", რომელიც ამგვარ მანიპულაციებს კრძალავს". ამის შემდეგ ჰასტინგსი აღნიშნავს, რომ **„ინფორმაციული პოლიტიკის სპეციალისტთა თქმით, სპეცპროპაგანტისტების ჯგუფისთვის ბრძანების მიცემა, გამოიყენონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება ქვეყანაში ჩამოსული ოფიციალური პირების წინააღმდეგ, იგივეა, რაც ამერიკის პრეზიდენტის მხრიდან ცსს-სთვის ოპონენტ კონგრესმენებზე დოსიეების მომზადების დავალება იქნებოდა".**

ჰასტინგსი ესაუბრა პოდპოლკოვნიკ მაიკლ ჰოლმსს, რომელიც „ინფორმაციული ოპერაციების" ჩატარების ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს.

**„როგორც ჩანს, კოლდუელი ამერიკელებსა და დაფინანსებაზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე ავღანელებზე",** — განუცხადა ჰოლმსმა ჰასტინგსს. ჰოლმსი მიიჩნევს, რომ ამერიკის მოქალაქეებზე ზემოხსენებული გზებით ზემოქმედება 1948 წელს მიღებული სმიტ-მუნდტის კანონის დარღვევაა. ეს კანონი კონგრესმა იმისთვის მიიღო, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს საბჭოთა პროპაგანდის მსგავსი მეთოდები აშშ-ის მოქალაქეთა წინააღმდეგ ვერ გამოეყენებინა. **ჰოლმსმა აღნიშნა, რომ 2010 წლის მარტში პოლკოვნიკმა გრეგორი ბრიზაილმა, რომელსაც ნატოს მისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიციალური წარმომადგენლის თანამდებობა ეკავა და ავღანელი სამხედრო მოსამსახურეების სწავლების საქმით კოლდუელის უშუალო ხელმძღვანელობით იყო დაკავებული, წერილობითი ბრძანება გასცა. ამ ბრძანებაში მან ჰოლმსის ჯგუფს პირდაპირ დაუსახა ამოცანა, გაეჩაღებინათ საინფორმაციო კამპანია და ამ ამოცანის გადაჭრას „სხვა ვალდებულებებთან შედარებით პრიორიტეტული მნიშვნელობა" ენიჭებოდა.**

**პენტაგონმა მხოლოდ 2009 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის 4,7 მილიარდი დოლარი დახარჯა**



მართალია, ამერიკელი სამხედროები და ავღანეთის მცხოვრებნი ავღანეთში სხვათა ხოცვასაც განაგრძობენ და თავადაც იხოცებიან, პენტაგონი კი ყველანაირად ცდილობს, წარმატების ილუზია შექმნას და ამისთვის სისტემატურად ამახინჯებს ადგილებზე შექმნილ რეალურ სიტუაციას, რათა სანაცვლოდ დამატებითი დრო, დამატებითი ძალები და სახსრები, დამატებითი დაფინანსება მიიღოს.

**ამერიკელი სამხედროები და ავღანეთის მცხოვრებნი ავღანეთში სხვათა ხოცვასაც განაგრძობენ და თავადაც იხოცებიან, პენტაგონი კი ყველანაირად ცდილობს, წარმატების ილუზია შექმნას**



ცუდი ისაა, რომ ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბრმად და ყოველგვარი კრიტიკის გარეშე სიტყვასიტყვით ავრცელებენ ოფიციალური პირების განცხადებებს ადგილებზე მიღწეულ „წარმატებათა" შესახებ. **ახლა პენტაგონი თავის უზარმაზარ პროპაგანდისტურ ბიუჯეტს აამოქმედებს, რათა საბოლოოდ წაშალოს კვალი მოსახლეობის ინფორმირებასა და მასზე ინფორმაციულ მანიპულირებას შორის.**

რამდენიმე ხნის წინათ სააგენტო „Associated Press"-მა გაარკვია, რომ პენტაგონმა მხოლოდ 2009 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის 4,7 მილიარდი დოლარი დახარჯა და რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მსახურობს 27 ათასი ადამიანი, რომელთა მოვალეობა კადრების შერჩევა, სარეკლამო და პიარ აქტივობების განხორციელებაა. ეს დაახლოებით იგივე რაოდენობაა, რა რაოდენობის თანამშრომლებსაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ითვლის (30 000 ადამიანი).

საქმის არსი ისაა, რომ პენტაგონი ცდილობს, სახელმწიფო პოლიტიკაზე მოახდინოს ზემოქმედება და დაკავებულია სამოქალაქო ხელმძღვანელობას შორის ლობირებით, რათა ამ უკანასკნელმა სწორედ პენტაგონის ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა განახორციელოს. აღნიშნული სამუშაო მთლიანად ამერიკელი გადასახადების გადამხდელების სახსრებით ფინანსდება.

**საბედნიეროდ, ამერიკელებმა, როგორც ჩანს, უკვე გაიგეს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სამხრეებიანი ხალხის ქება-დიდების მიუხედავად, პენტაგონი ზუსტად ისევე მოქმედებს, როგორც ფედერალური მმართველობის შემადგენლობაში შემავალი ნებისმიერი სხვა ბიუროკრატიული უწყება.** გელაპის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, ამერიკელთა 72%-ს სურს, რომ კონგრესმა ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა დააჩქაროს.

**The National Interest**

## ალ-ქაიდა კადაფის წინააღმდეგია

**ალ-ქაიდას ჩრდილოაფრიკულმა განყოფილებამ მუამარ კადაფის მოქმედებები დაგმო და ლიბიელ ხალხს სოლიდარობა გამოუცხადა. განყოფილება კადაფის ადანაშაულებს აფრიკელების დაქირავებასა და თვითმფრინავებიდან დემონსტრანტებისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანების გაცემაში.** ამიტომ მან მუსლიმან მეცნიერებს, მოაზროვნეებსა და ჟურნალისტებს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ ლიბიელ ხალხს. „ჩვენ ვწუხვართ არეულობებისა და მასობრივი მკვლელობების გამო, კადაფიმ რომ ჩაიდინა საკუთარი ხალხისა და ჩვენი უიარაღო მუსლიმანი ძმების წინააღმდეგ“, — ნათქვამია ალ-ქაიდას განცხადებაში.



დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ამერიკის დაუოკებელი ლტოლვა ჩარევისკენ

## საგარეო პოლიტიკური ელიტა სულ უფრო მეტ ზეწოლას ახორციელებს პრეზიდენტ ობამაზე და მოუწოდებს, „რაიმე ილონოს“

**როდესაც ვამბობდით, რომ „არ გაგვიკვირდება“, თუ მოსახლეობის უკმაყოფილებისა და მრისხანების ზეწოლით, ეგვიპტიდან და ტუნისიდან წამოსული რევოლუციური ვირუსის ზემოქმედებით მორიგი არაბული რეჟიმი დაიმსხვრეოდა, იმ მასშტაბურ ძალადობასა და სისხლისღვრას არ ვგულისხმობდით, რომელსაც, უკვე მერამდენე დღეა, ლიბიაში აქვს ადგილი. ის, რაც ეგვიპტისა და ტუნისის ძირითადად მშვიდობიანი პროტესტების კარგად ნაცნობი გამეორებით დაიწყო, იქ მცირე მასშტაბის სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ლიბიის მდგომარეობას სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, რადგან რეჟიმი განურჩევლად და არათანმიმდევრულად იყენებს რაკეტებს, თვითმფრინავებს, ვერტმფრენებს, ტყვიამფრქვევებსა და სხვა საშუალებებს ფიზიკური განადგურების არსენალიდან. გამოვაცხადოთ, რომ ლიბიაში მდგომარეობა კონტროლს აღარ ექვემდებარება, ეს იგივეა, რაც იმის აღნიშვნა, რომ ციმბირში ზამთარში „გრილა“. რეალობის შერბილება აქ იმდენად დიდია, რომ დეზინფორმაციამდე თითქმის აღარაფერი რჩება.**

თუ პრესის მიერ გავრცელებულ ცნობებს დავუჯერებთ (მათგან ბევრი დასაწყისში საეჭვოდ გამოიყურებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კადაფის ხელისუფლებამ რღვევა დაიწყო და ინფორმაციის თავისუფლად ცირკულირება გახდა შესაძლებელი, ამ დაუჯერებელი ცნობების მტკიცებულებებიც გამოჩნდა), ლიბიამ სულ რამდენიმე დღეში იმდენად შემაძრწუნებელი ძალადობა გადაიტანა, რაც ერაყს 2006 წლის ყველაზე საშინელი და მომაკვდინებელი ომის რამდენიმე თვის მანძილზეც არ უნახავს.

**ახლანდელ პირობებში დაღუპულთა რაოდენობის დათვლა შეუძლებელია, მაგრამ ის საერთაშორისო მიმომხილველები, რომელთა მიმართ უნდობლობის საბაბი არ არსებობს, ათასებზე ლაპარაკობენ. იმის გათვალისწინებით, თუ რა ფანატიზმით ებღაუჭება კადაფი ძალაუფლებას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დარუპულთა რაოდენობა ყოველ წუთს იზრდება. თუ მისი უშიშროების ძალები მართლაც შეასხამენ ხორცს კადაფის ფაშისტურ გეგმას და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე დივერსიებს ძირითადი ნავთობსადენების, გაზსადენებისა და წყალმომარაგების სისტემების აფეთქებებით განახორციელებენ, მაშინ მსხვერპლის რაოდენობა ყველანაირ ზღვარს გადასცდება.**

კადაფის, უკვე დიდი ხანია, მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც ექსცენტრიულ შოუმენსა და მოლაყბე ორატორს, რომელსაც აბსოლუტურად არათანმიმდევრული და უზომოდ გრძელი გამოსვლები ახასიათებს. ამ მხრივ მას მხოლოდ ფიდელ კასტროს თუ შევადარებთ. მაგრამ მისი ეშმაკური პოლიტიკური მანევრები და „გათიშე და იბატონე“-ს პრინციპზე დამყარებული მმართველობის სტილი იმაზე მიანიშნებს, რომ მას მოვლენათა მაჯისცემაზე უდევს ხელი და რეალობას არ წყდება. **როგორც ჩანს, მისი მმართველობის წინააღმდეგ ამბოხების დასაწყისში დიქტატორს ყნოსვამ უმტყუნა. ძნელი წარმოსადგენია, რომ მინიმალურად მოაზროვნე ადამიანი შეიძლება ამდენად იყოს მოწყვეტილი რეალობისგან თავის სახალხო გამოსვლებში, ამდენად არ ჰქონდეს შეხება სინამდვილესთან და სადღაც სხვა სამყაროში ცხოვრობდეს, როგორც ბოლო დროს — კადაფი.**

**ასევე ძნელი წარმოსადგენია ქვეყანა, რომელზეც ამერიკას ზეგავლენის უფრო ნაკლები საშუალებები ექნებოდა, ვიდრე ლიბიაზე აქვს.** საუბარიც არაა კეთილმოსურნეობის უზარმაზარ მარაგზე აშშ-სა და ლიბიას შორის. რესპუბლიკელი სენატორი მარკო რუბიო გამოვიდა და განაცხადა ის, რაც ძალიან სწრაფად იქცევა ორივე პარტიის წარმომადგენლებისგან შემდგარი ვაშინგტონური ელიტის საერთო თვალსაზრისად.

**„ამერიკელებმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა განიკითხონ კადაფის რეჟიმი და მშვიდობიანი მოსახლეობის უაზრო განადგურება. ჩვენ ვალდებული ვართ, ცალსახად დავუჭიროთ მხარი ლიბიელი ხალხის კანონიერ მოთხოვნას თავისუფალი და მშვიდობიანი ქვეყნის შენების შესახებ... აშშ-მა გარკვევით უნდა განუცხადოს ლიბიელ ხელმძღვანელობას,
რომ არ მოითმენს ამერიკელებისთვის მიყენებულ ზიანს და რომ ამგვარ ქმედებებს ყველაზე მძიმე შედეგები მოჰყვება მათთვის, ვინც ახორციელებს მსგავს ზომებს ან მათი განხორციელების ბრძანებებს გასცემს“.**

ვინაიდან ლიბიაში ამ დრომდეც მკვეთრად გამოხატული სათემო საზოგადოებაა, სავსებით გაუგებარია, რომელ ერთ „ლიბიელ ხალხზე“ შეიძლება იყოს საუბარი თუნდაც საუკეთესო პირობებში. და რამდენადაც ლიბიელთა არც თუ მცირე ნაწილი კადაფის ბრძანებებს ასრულებს და ისვრის, ბომბავს, აწამებს და კლავს სხვა ლიბიელებს, რუბიოს საუბარი ერთიან ნაციაზე გადამეტებულ გამარტივებას ჰგავს. **„კანონიერი მოთხოვნების ცალსახა მხარდაჭერა“ აბსოლუტურად უშინაარსო, უშვერი და ცარიელი ფრაზაა, რომელიც ისევეა ყველანაირ აზრს მოკლებული, როგორც ტერმინი „პროლეტარული რევოლუცია“ იყო 1980-იანი წლების ბოლოს.**

რა იქნება, თუ „ლიბიელი ხალხი“ გონიერების ფარგლებში და მოცემული რეგიონისთვის ისტორიულ გამოცდილებასთან სრული შესაბამისობის დაცვით ნავთობის მიმართულების ნაციონალიზაციის მოთხოვნას დაიწყებს, რათა ქვეყნის უდიდესი მინერალური სიმდიდრეებიდან მეტი წილი მიიღოს? ცხადია, ამ შემთხვევაში რუბიო ამ მოთხოვნებს „უკანონოს“ დაარქმევს, იმიტომ, რომ ამგვარი მოთხოვნები აბსოლუტურად ეწინააღმდეგება აშშ-ის გეოსტრატეგიულ მიზნებს რეგიონში. ეს მიზნები კი პრეზიდენტ კარტერის დროიდან მოყოლებული, უპირველეს ყოვლისა, ნავთობის შეუფერხებელ მიწოდებას გულისხმობს.

რუბიო, როგორც ამერიკელი კონსერვატორი, დაჩვეულია გაეროს დაცინვას, ამ ორგანიზაციის ავბედითი ჩვევის გამო მიიღოს უაზრო რეზოლუციები, რომელთა პრაქტიკაში განხორციელებაც არ შეუძლია და იმ მკაცრი ფორმულირებებით სავსე წერილებისთვის, რომელთაც გამოქვეყნებიდან ზუსტად ერთ წუთში ივიწყებენ. მაგრამ *საუბარია* **სენატორზე, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ მოცემულ მომენტში აშშ-ს არანაირი ბერკეტი არ გააჩნია იმისთვის, რომ ლიბიას რაიმე მოთხოვნების შესრულება აიძულოს.**

რეგიონში ლიბიიდან რაკეტის წვდომის სიშორეზე არ არის ამერიკული ავიამზიდები და, სულ მცირე, კიდევ ერთი კვირის განმავლობაში არ იქნება. *რუბიო აბსოლუტურად უსუსურად იცემს მჯიღს მკერდზე და მშვენივრად იცის, რომ აშშ ამას „მოითმენს“.*

სამწუხაროდ, ლიბიაში ამერიკის რამდენიმე ასეული მოქალაქეა ჩარჩენილი და, თუ რუბიოს სულელურ რჩევებს გავითვალისწინებთ და კადაფის რაიმე ულტიმატუმს წავუყენებთ, თავისუფლად შეუძლია, ამ ამერიკელებზე იძიოს შური. ბოლო დღეებში მისი ჯარების მოქმედებების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საბოლოო შედეგი სასიამოვნო ნამდვილად არ იქნება. თუ ეს ადამიანი ავიაციას საკუთარი ქვეყნის დედაქალაქის დაბომბვის ბრძანებას აძლევს, თუ იგი ტელევიზიის ეთერით აცხადებს, რომ ლიბიელთა ყავის ფინჯნებში უსამა ბენ ლადენი ნარკოტიკებს ურევს, მისგან ყველაფერი მოსალოდნელია.

**მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა მრავალჯერ იწვნია ძლიერი და მტკივნეული დარტყმა მუსლიმანურ სამყაროში თავისი იმპერიული ავანტიურებისთვის, ამერიკული ელიტის პირველი რეაქცია კვლავაც უცვლელია. ის უაზროდ გაჰკივის: „გაიგზავნონ იქ საზღვაო ქვეითები!“.** ლიბიელებს გულწრფელად ვუსურვებთ ყოველგვარ წარმატებას იმ ადამიანის ჩამოგდებაში, რომელმაც მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ განდიდების მანიით შეპყრობილი სისხლისმსმელი დესპოტია, მაგრამ ისევე, როგორც ლიბიის გადასაწყვეტი არაა, რა კურსით უნდა იაროს ამერიკამ, არც ამერიკის გადასაწყვეტია, რა კურსით იაროს ლიბიამ. ის, რაც ლიბიაში ხდება, საშინაო საქმეა და არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ ეხება.

**აშშ-ის მთავრობას სრული უფლება აქვს, აკრიტიკოს კადაფი. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს ამ ნაწილში მას არანაირი პოლიტიკური კაპიტალი არ გააჩნია, უფრო გონივრული იქნებოდა, გაჩუმებულიყო. თუმცა ლიბიის გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში მიღება არც თავიდან შეიძლებოდა და, ტრიპოლში ბომბების ცვენა რომ დაიწყო, მაშინ მაინც უნდა გაუქმებულიყო. ამ მდგომარეობაში მხოლოდ წმინდად სიმბოლური ქმედებებია მისაღები. ნებისმიერი სხვა ნაბიჯი ამერიკას ხანგრძლივ და უსაზიზღრეს სამოქალაქო ომში ჩათრევას უქადის.**








> « ძნელი წარმოსადგენია ქვეყანა, რომელზეც ამერიკას ზეგავლენის უფრო ნაკლები საშუალებები ექნებოდა, ვიდრე ლიბიაზე აქვს. »

**მარკ ადომანიკი**
*ИноСми*

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



„ДП“ საბჭოთა მებრძოლთა ხელში საშიში იარაღი იყო. მას იყენებდნენ ფინეთის ომში, შემდეგ კი დექტიაროვის ტყვიამფრქვევი მტერს დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველებზე ანადგურებდა. ათასობით საბჭოთა მეომარი სამშობლოს ტყვიამფრქვევით იცავდა. უამრავი ჯარისკაცის სიცოცხლე სწორედ მან იხსნა შეტაკებისას. გამარჯვებამდე გრძელი გზა იყო, მაგრამ ეს გზა თავიდან ბოლომდე, ბერლინამდე გაიარა დექტიაროვის ტყვიამფრქვევმა საბჭოთა ქვეითებთან ერთად და სავსებით დამსახურებულად დაიკავა საპატიო ადგილი 1945 წლის გამარჯვების ალლუმის მწყობრში.

# ხელის ტყვიამფრქვევი «ДП»



1940 წლის 2 იანვარს „საბჭოთა ხელმძღვანელი“ მიხეილ ივანეს ძე კალინინი კრემლში თანამემამულეებს ორდენებითა და მედლებით აჯილდოებდა, — „სოციალისტური შრომის გმირს ამხანაგ დექტიაროვს, ამ მაღალი წოდების მიმღებს, უდიდესი გამოგონებებისა და წითელი არმიის შეიარაღების ახალი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნიმუშების კონსტრუირებისთვის“. ვასილ ალექსის ძე დექტიაროვი იყო პირველი კონსტრუქტორი, ვისაც სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. ეს წოდება მან ქვეყანაში მეორემ მიიღო. სოციალისტური შრომის პირველი გმირი ორი კვირით ადრე თავად სტალინი გახდა. თავისი მოღვაწეობის წლებში დექტიაროვმა ცეცხლსასროლი იარაღის უამრავი ნიმუში შექმნა, მაგრამ პირველი და ყველაზე პოპულარული დეგტიაროვის ხელის ტყვიამფრქვევი ქვეითთათვის „ДП“ (Дегтарева Пехотный) გახდა.

**სერგეი მაკაროვი, დიდი სამამულო ომის ცენტრალური მუზეუმის ცეცხლსასროლი იარაღის სპეციალისტი:**

**— ჯერ კიდევ პირველმა მსოფლიო ომმა გამოააშკარავა ქვეითთა ქვედანაყოფებისთვის, გარდა მძიმე ტყვიამფრქვევებისა, მათზე გაცილებით მოხერხებული, მანევრირების საშუალების მქონე ხელის ტყვიამფრქვევების აუცილებლობა. და იარაღის ეს სახეობა დაიბადა კიდეც პირველი მსოფლიო ომის ბრძოლის ველებზე. მაგრამ თავისი არსებობის დაწყებით ეტაპზე არც რუსულ და არც წითელ არმიას საკუთარი ხელის ტყვიამფრქვევი არ გააჩნდა. შეიარაღებაში იყო ხელის ტყვიამფრქვევები, ოღონდ მათ ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებდნენ. იყო მცდელობები, მაქსიმის ტყვიამფრქვევის სახელით ცნობილი თითქმის ხელის ტყვიამფრქვევი გადაეკეთებინათ და შეიძლება ითქვას, რომ ეს მცდელობები წარმატებითაც დასრულდა. 1925 წელს შეიქმნა ტყვიამფრქვევი „МТ“ — „მაქსიმ ტოკარევი“, რომლის შექმნაზეც ფიოდორ ვასილის ძე ტოკარევი მუშაობდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ იარაღს ხელის ტყვიამფრქვევი ეწოდებოდა, ის მაინც დიდი, მძიმე და მოუხერხებელი იყო — ვერ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რომელთაც ამ იარაღის მიმართ აყენებდნენ იმ პერიოდში.**

მოთხოვნები კი შემდეგი იყო: ხელის ტყვიამფრქვევით შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მანევრირება, ანუ ის საკმაოდ მსუბუქი უნდა ყოფილიყო. მუდმივად ექნებოდათ რა ხელში მეომრებს, მას ქვედანაყოფის ცეცხლსასროლი შესაძლებლობები უნდა გაეძლიერებინა. მისგან სროლა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ნებისმიერ მდგომარეობაში — ფეხზე დგომისას, წოლისას და სიარულისასაც კი. ამგვარი მოთხოვნების შესაბამისი ხელის ტყვიამფრქვევის შექმნა იოლი ამოცანა არ იყო.

**სერგეი მაკაროვი, დიდი სამამულო ომის ცენტრალური მუზეუმის ცეცხლსასროლი იარაღის სპეციალისტი:**

**— პრობლემა 1927 წელს გადაწყდა. სწორედ მაშინ იქნა მიღებული შეიარაღებაში დექტიაროვის მიერ კონსტრუირებული ტყვიამფრქვევი „ДП“. ეს აბსოლუტურად ორიგინალური, არაფერთან მიმსგავსებული კონსტრუქცია იყო. იმ მომენტისთვის, 20-იანი წლების შუა პერიოდში, ეს ძალზე თანამედროვე იარაღი იყო.**



დექტიაროვის ხელის ტყვიამფრქვევი აბსოლუტურად ახალი ნიმუში იყო, რომელიც მომგებიანად გამოირჩეოდა ტყვიამფრქვევთა იმ დროისათვის ცნობილი ყველა სახეობისაგან. ავტომატიკის წარმატებით შერჩეული სისტემის წყალობით, დექტიაროვმა ტყვიამფრქვევის შედარებით სიმსუბუქეს მიაღწია. გარდა ამისა, „ДП“ უკიდურესი უბრალოებით გამოირჩეოდა წარმოებისას. ტყვიამფრქვევ „მაქსიმის“ დამზადების დრო 700 საათს შეადგენდა, დექტიაროვის ტყვიამფრქვევისა კი — მხოლოდ 130-ს. ბრძოლის დროს „ДП“-ს მისი მომმართველები და მათი დამხმარეები ემსახურებოდნენ. დატენილი სავაზნე კოლოფები რკინის ყუთებით გადაჰქონდათ.



**სერგეი მაკაროვი:**

**— ამ ტყვიამფრქვევის კონსტრუქცია აწყობილი იყო შაშხანის ვაზნებზე და 47 ვაზნაზე გათვლილი დამახასიათებელი დისკი ახლდა. შესაძლოა, ეს ყველაზე მოხერხებული ფორმა არ იყოს, მაგრამ სწორედ ამგვარი ფორმა იმით იყო ნაკარნახევი, რომ გამოეყენებინათ სწორედ ის ვაზნები, რომლებიც იმ პერიოდში ჰქონდათ. მეორეც, საჭირო იყო, რომ სავაზნე ყუთი რაც შეიძლება, ტევადი ყოფილიყო. ამიტომ, იმის გათვალისწინებით, რომ ვაზნებს ნაპირები ჰქონდა, მიღებულ იქნა სავსებით საფუძვლიანი გადაწყვეტილება, რომ ისინი წრიულად განლაგებული იყო. ტყვიების თავები ცენტრისკენ იყო მიმართული, განიერი ბოლოები კი — ნაპირისაკენ. შედეგად სავაზნე კოლოფმა სწორედ ამგვარი ფორმა მიიღო. უნდა ითქვას, რომ ეს პირველი გამოცდილება არ იყო, მსგავსი სავაზნე კოლოფებით ტყვიამფრქვევები მანამდეც არსებობდა. კერძოდ, ასეთი იყო ლიუისის ტყვიამფრქვევი.**



**ასე იყო თუ ისე, ტყვიამფრქვევის დისკი საკმაოდ ტევადი გამოვიდა, ის 47 ვაზნას იტევდა. ტყვიამფრქვევს წუთში 600 გასროლის შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ საბრძოლო გასროლების სისწრაფე იმ დროისთვის სავსებით დამაკმაყოფილებელ, წუთში 80 გასროლას უტოლდებოდა.**

სროლის დროს ხანდახან სავსებით ორიგინალურ მეთოდებს მიმართავდნენ. მაგალითად, ტყვიამფრქვევს აბამდნენ თოკს, რომელიც მეორე მხარეს მებრძოლს ფეხზე ჰქონდა გამობმული. ფეხით თოკის გაჭიმვისას მებრძოლი ტყვიამფრქვევს ძლიერად მიიჭერდა მხარზე, შედეგად ტყვიამფრქვევის მოძრაობა მცირდებოდა და სროლის სიზუსტე მატულობდა. მოწინააღმდეგის მეტყვიამფრქვევე შეიარაღებული იყო ინგლისური ხელის ტყვიამფრქვევი „ლიუისით“. ეს ტყვიამფრქვევი რუსეთში პირველად 1917 წელს გამოჩნდა. მაგრამ შეიარაღებაში დექტიაროვის ტყვიამფრქვევის მიღების შემდეგ „ლიუისი“ მსროლელთა ნაწილებიდან ნელ-ნელა საწყობებში გადავიდა, რა თქმა უნდა, გარკვეულ დრომდე.

30-იან წლებში ტყვიამფრქვევმა „ДП“-მ წითელი არმიის შეიარაღების სისტემაში მყარად დაიმკვიდრა თავი. ის ძირითადად ჯარების ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა. მაგრამ დექტიაროვის ხელის ტყვიამფრქვევების აუცილებელი მარაგი მოგროვილი არ იყო. 1941 წლის პირველ ნახევარში კი იარაღის ახალი ნიმუშების შექმნაზე გადაწყობისას ამ ტყვიამფრქვევების წარმოება საერთოდ მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ფრონტზე კი ხელის ტყვიამფრქვევები ჰაერივით სჭირდებოდათ. ომის პირველ პერიოდში მათ ნაკლებობას იგივე ინგლისური „ლიუისით“ ანაზღაურებდნენ და 1941 წლის ნოემბრის აღლუმის ფოტოებზე ეს საკმაოდ კარგადაც ჩანს.

ტყვიამფრქვევი „ДП“ ტანკებზე, თვითმფრინავებზე, ჯავშანმანქანებსა და გემებზე ქვეითთა ცეცხლსასროლი იარაღის პირველი საბჭოთა სისტემების შექმნის ბაზად იქცა. „ДП“-ს მცირედი გადკეთების შედეგად, მის საფუძველზე შეიქმნა ტყვიამფრქვევი „ДА“ (дегтярева авиационный). ქვეითთა ტყვიამფრქვევისაგან განსხვავებით, საავიაციოს გაცილებით მეტი მოცულობის სავაზნე კოლოფი ჰქონდა. მასში 63 ვაზნა ეტეოდა. ფორმითაც განსხვავებული იყო და პისტოლეტის მსგავსი სახელური ემატებოდა.

1930 წელს შეიარაღებაში გაჩნდა დაწყვილებული საავიაციო ტყვიამფრქვევი „ДА 2“. დექტიაროვის სატანკო ტყვიამფრქვევი „ДТ“ ხელის ტყვიამფრქვევისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მასაც ჰქონდა პისტოლეტის მსგავსი სახელური და დასაკეცი ლითონის ბჯენი. მისი სავაზნე კოლოფის ტევადობა 60 ვაზნამდე გაიზარდა. „ДТ“-ს უამრავ საბჭოთა ტანკსა და ჯავშანმანქანაზე ამონტაჟებდნენ. მისი გამოყენება საველე პირობებშიც შეიძლებოდა. თუ ბრძოლის დროს ტანკი მწყობრიდან გამოდიოდა, ეკიპაჟი ტყვიამფრქვევს ხსნიდა, ხმელეთზე აყენებდა და ისე ესროდა მტერს.

დექტიაროვის ტყვიამფრქვევებით აღჭურვეს მოტოციკლებიც. კონსტრუქცია ისე იყო აგებული, რომ საჭიროების შემთხვევაში შეეძლო ცეცხლი გაეხსნა საზენიტო სამიზნეებისათვისაც.



**სერგეი მაკაროვი:**

**— ტყვიამფრქვევს, იმის მიუხედავად, რომ ის საკმაოდ საიმედო და მოხერხებული იყო, ნაკლოვანებებიც ჰქონდა და ეს დეტალები უშუალოდ ბრძოლებისას გამოვლინდა. ამ ნაკლოვანებებიდან უმთავრესად ის მიიჩნევა, რომ ტყვიამფრქვევი სროლის დაძაბულ ტემპს ვერ უძლებდა. მისი ღერძი საკმაოდ სქელკედლებიანი იყო და სროლის პროცესში მისი გამოცვლა გათვალისწინებული არ იყო. ამიტომ, ჯერის ხანგრძლივობა იზღუდებოდა და, თუ მებრძოლს არ უნდოდა, იარაღი მწყობრიდან გამოეყვანა, გარკვეული დროის შემდეგ უნდა შეეჩერებინა სროლა და მის გაგრილებას დალოდებოდა. გარდა ამისა, უკუმგდები ზამბარა, რომელიც ღერძის ქვეშ იყო განთავსებული, იმის გამო, რომ ღერძთან ამდენად ახლოს იყო, ინტენსიური სროლის დროს ცხელდებოდა და ხელს უშლიდა ტყვიამფრქვევის შეუსვენებლივ გამოყენებას. დიდი სამამულო ომის გამოცდილების შემდეგ, როდესაც ომი უკვე მთავრდებოდა, ტყვიამფრქვევის ნაკლოვანებათაგან დიდი ნაწილი გაითვალისწინეს. შედეგად დამუშავდა მისი მოდერნიზებული ვერსია, რომელიც წინამორბედისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა, მაგრამ საერთო სქემის შენარჩუნებით მას პისტოლეტის მსგავსი სახელური დაემატა, უკუგდების ზამბარა კი სასხლეტისაკენ გადავიდა.**

**„ДП“ საბჭოთა მებრძოლთა ხელში საშიში იარაღი იყო. მას იყენებდნენ ფინეთის ომში, შემდეგ კი დექტიაროვის ტყვიამფრქვევი მტერს დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველებზე ანადგურებდა. ათასობით საბჭოთა მეომარი სამშობლოს ტყვიამფრქვევით იცავდა. უამრავი ჯარისკაცის სიცოცხლე სწორედ მან იხსნა შეტაკებისას. გამარჯვებამდე გრძელი გზა იყო, მაგრამ ეს გზა თავიდან ბოლომდე, ბერლინამდე გაიარა დექტიაროვის ტყვიამფრქვევმა საბჭოთა ქვეითებთან ერთად და სავსებით დამსახურებულად დაიკავა საპატიო ადგილი 1945 წლის გამარჯვების აღლუმის მწყობრში.**



კალიბრი — 7,62 მილიმეტრი;
წონა (სავაზნე კოლოფის გარეშე) — 8,4 კილოგრამი;
სავსე სავაზნე კოლოფის წონა — 2,8 კილოგრამი;
სავაზნე კოლოფის მოცულობა — 47 ვაზნა;
დამიზნების სიშორე — 1500 მეტრი;
სროლის ტემპი — წუთში 600 გასროლა;
სროლის საბრძოლო სიხშირე — წუთში 80 გასროლამდე.



ძნელი წარმოსადგენია, რას გრძნობდა ადამიანი, რომელიც „კატიუშას“ ზალპქვეშ მოჰყვებოდა. მათი თქმით, ვინც ამ ცეცხლის წვიმას გადაურჩა, მისთვის ეს მთელი ომის განმავლობაში ყველაზე საშინელი შთაბეჭდილება იყო. ხმას, რომელსაც რაკეტები ფრენის დროს გამოსცემდნენ, ყველა სხვადასხვანაირად აღწერდა. განადგურების ზონაში ყველაფერი ფეთქდებოდა და ფეხქვეშ მიწა იწვოდა.

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# სტალინის ორღანი «კატიუშა»

**1941 წლის 14 ივლისი. ბელორუსიის სარკინიგზო სადგურ ორშაში დილიდანვე ერთი მეორის მიყოლებით ჩადიოდა გერმანელი ჯარისკაცებით, სამხედრო ტექნიკით, საწვავითა და საბრძოლო მასალებით დატვირთული ეშელონები. 15 საათსა და 15 წუთზე გერმანელებს უცნობი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. თვალის დახამხამებაში მთელი სადგური უზარმაზარ ცეცხლოვან ღრუბელს დაემსგავსა. ამ დღეს გერმანელების გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა გალბერგმა თავის დღიურში ჩაწერა: „14 ივლისს ორშასთან რუსებმა გამოიყენეს რაღაც ახალი, აქამდე უცნობი იარაღი. ცეცხლოვანი ჭურვების მოულოდნელმა შემოტევამ გადაწვა ორშას სარკინიგზო სადგურზე ჩამოსული ყველა საბრძოლო ტექნიკითა და პირადი შემადგენლობებით დატვირთული ეშელონი. მიწა იწვოდა, მეტალი დადნა“. ასეთი იყო ლეგენდარული „კატიუშას“ პირველი საბრძოლო გამოყენება.**



**დიმიტრი ჟერებკო**, გვარდიის სერჟანტი, ლენინის ორდენოსანი „კატიუშას“ გადარჩენისთვის:

— ამ დროს სადგურზე სამი ეშელონი იდგა. ერთი ტანკებით იყო დატვირთული, მეორე — საწვავის ცისტერნებით, მესამე კი მოტო-ქვეითებს ეკუთვნოდა. იქ მსუბუქი მანქანებიც იყო, მოტოციკლებიც და პირადი შემადგენლობაც. იმას, რაც დარტყმის შემდეგ სადგურზე ხდებოდა, სახელს ვერავინ მოუძებნიდა. ცისტერნები იწვოდა, ტანკები აქეთ-იქით გადაცვივდა და ცეცხლის ალში გაეხვია, გერმანელები აქეთ-იქით გარბოდნენ, ზოგი ვერც გარბოდა, ძირს ეგდო, რაღაცას ებღაუჭებოდა, რომ წამომდგარიყო.



1941 წლის 17 ივნისს მოსკოვის შემოგარენში მდებარე პოლიგონზე იარაღის ახალი ნიმუშების გამოცდა მიმდინარეობდა. პროგრამაში ბოლო პუნქტად ზალპური ცეცხლის სისტემების უახლესი სახეობების ჩვენება იყო ჩანიშნული. ხუთი მანქანის მოქმედებაში დემონსტრირებამ სახალხო კომისრის — სიმონ ტიმოშენკოს ხელმძღვანელობით შეკრებილ წარმომადგენლობით დელეგაციაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. რეაქტიული დანადგარების სერიული წარმოების ბრძანებას ამ ჩვენებიდან ზუსტად სამი დღის შემდეგ მოაწერეს ხელი. დიდი სამამულო ომის დაწყებამდე სულ რამდენიმე საათი რჩებოდა.

**26 ივნისს ვორონეჟის ქარხანაში დასრულდა ორი ახალი მანქანის აწყობა. ამ მანქანებს სახელად „БМ-13“ მიენიჭა. ისინი განკუთვნილი იყო 132-მილიმეტრიანი კალიბრის რეაქტიული ჭურვების გასაშვებად. დანადგარი აიწყო სამღერძიანი სატვირთო მანქანის — „ЗИС-6“-ის ბაზაზე. სწორედ „БМ-13“ გამოიყენეს ორშას სადგურზე განხორციელებული პირველი საბრძოლო შეტევისას. ოპერაციას კაპიტანი ივან ფლიოროვი ხელმძღვანელობდა.**

ზალპური ცეცხლის სისტემების უკიდურესი ეფექტურობა ხელს უწყობდა ახალი რეაქტიული შეიარაღების წარმოების ტემპების სწრაფ ზრდას. 1941 წლის ივლისის ბოლოს დასავლეთ ფრონტზე რეაქტიული არტილერიის მეორე და მესამე ბატარეა ჩავიდა. იმავე წლის აგვისტოში რეაქტიული არტილერიის რვა პოლკის ფორმირების საკითხი გადაწყდა. ჯერ კიდევ ბრძოლებში მონაწილეობის მიღებამდე მათ უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის არტილერიის გვარდიული ნაღმმტყორცნი პოლკების სახელი მიენიჭათ. ამით ხაზი გაუსვეს იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც რეაქტიული არტილერიის შეიარაღებასა და მებრძოლებს ენიჭებოდათ.

უკვე მოქმედი სამი პოლკიდან თითოეული სამი განყოფილებისგან შედგებოდა, თითო განყოფილებაში ოთხი ერთეული „БМ-13“ იყო გაერთიანებული, საერთო ჯამში — 36 გამშვები დანადგარი. პოლკების შეიარაღებისათვის 1941 წელს 593 დანადგარი დამზადდა. პოლკის პირადი შემადგენლობა თითქმის ათას ხუთას ადამიანს ითვლიდა. ამ ადამიანების შერჩევა უმკაცრესი წესების დაცვით მიმდინარეობდა, ვინაიდან გამშვები დანადგარები საიდუმლო იარაღის კატეგორიას განეკუთვნებოდა. სპეციალური სწავლების გავლის შემდეგ მებრძოლები ფიცს დებდნენ.



**დიმიტრი ჟერებკო:**

**— თითოეულ მანქანაზე 30 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება იყო. როდესაც ფიცს ვდებდით, ვიღებდით ვალდებულებას, რომ მტრისთვის მანქანები არ მიგვეცა. სწორედ ამისთვის იყო გათვალისწინებული ხსენებული ასაფეთქებელი ნივთიერებები.**

„БМ-13“-ის პოლკის ზალპი 5-10 წამის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ დროის განმავლობაში გაშვებული ჭურვების საერთო რაოდენობა 576-ს უდრიდა, განადგურებული ტერიტორიის ფართობი კი 100 ჰექტარს აღემატებოდა. მასიური ზალპის თავისებურებად იქცა ის, რომ ჭურვების აფეთქების ტალღების ზედიზედ მიყოლების შემთხვევაში მისი დამანგრეველი ეფექტი იზრდებოდა. გარდა ამისა, აფეთქებული ნაღმების ნამსხვრევები 800 გრადუსამდე ხურდებოდა და ირგვლივ ყველაფერს ცეცხლის ალში ხვევდა. სწორედ ამის გამო გაჩნდა ლეგენდა თერმული ჭურვების შესახებ „კატიუშას“ საბრძოლო მასალებში.

ზალპის შემდეგ ქვედანაყოფები სწრაფად იცვლიდნენ დისლოკაციის ადგილს, რომ საპასუხო დარტყმის ქვეშ არ მოყოლილიყვნენ. ყოველი მანქანის დაკარგვისთვის მებრძოლებს უმაღლესი სარდლობის წინაშე მკაცრად მოეთხოვებოდათ პასუხი. ამიტომ, როდესაც დიმიტრი ჟერებკომ თავის მძღოლთან ერთად დაზიანებული მანქანის გადარჩენა და მისი ნაწილში დაბრუნება მოახერხა, პოლკის მეთაურმა პირადად გადაუხადა მადლობა 19 წლის მებრძოლს.

**დიმიტრი ჟერებკო:**

**— ჩამეხუტა და ტიროდა. ფეხზე ძლივს ვიდექი, მე ხომ მაშინ მხოლოდ 19 წლის გახლდით. „შენ მხოლოდ მანქანა კი არა, ჩვენც გადაგვარჩინე, მეთაურები. მანქანა რომ არ გადაგერჩინა, ტრიბუნალი გველოდა და ჩვენი სიცოცხლე დასრულებული იყო“, — მეუბნებოდა აცრემლებული.**



გერმანელები „კატიუშებზე“ გააფთრებით ნადირობდნენ, რომ რაიმე ინფორმაცია მაინც მიეღოთ ამ ახალი საბჭოთა იარაღის შესახებ. ვერმახტს შეიარაღებაში საკუთარი რეაქტიული ყუმბარმტყორცნები ჰქონდათ, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა „კატიუშას“ დარტყმის სიშორის მხრივ. მთელი საიდუმლოება ჩვენი მერაკეტეების მიერ შემუშავებულ დენთში იმალებოდა. მაშინაც კი, როდესაც ფაშისტებმა ბოლოს და ბოლოს „კატიუშას“ დანადგარები ხელში ჩაიგდეს, საბჭოთა დენთის შემადგენლობის გაშიფვრა მაინც ვერ მოახერხეს. ასევე ვერ შეძლეს თავიანთი ზალპური ცეცხლის სისტემების მასიური წარმოების აწყობა.

საბჭოთა კავშირში კი გამშვები დანადგარების მასიური წარმოება სასწრაფო წესით დაიწყო რამდენიმე საწარმოში. კონსტრუქტორები და ამწყობები ყოველდღე 12-16 საათის განმავლობაში მუშაობდნენ.

**დიმიტრი ჟერებკო:**

**— ამწყობები გოგოები იყვნენ. როდესაც მწკრივში მოვეწყვეთ, ერთ-ერთმა მათგანმა, ალბათ, 16 წლის იქნებოდა, მეთაურებსა და მანქანებთან მდგომ მძღოლებს უთხრა: „გაანადგურეთ ფაშისტები, „კატიუშებით“ ჩვენ მოგამარაგებთ!“**

გარდა ამისა, აეწყო სწორედ იმ დენთის მასიური წარმოება, რომელსაც რაკეტებში იყენებდნენ. ლენინგრადში ბლოკადის დროსაც კი არ შეჩერებულა „კატიუშას“ წარმოება.

1943 წლის აპრილში შეიარაღებაში მიიღეს უნიფიცირებული გამშვები დანადგარი „BM-13б“-ი. წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირების მიზნით, კონსტრუქტორებმა კრიტიკულად გააანალიზეს დანადგარის ყველა დეტალი და კვანძი. ძირითადად, „БМ-13Н“-ი კარგად შემოწმებული და საიმედო ამერიკული სატვირთო მანქანების, სტუდებეკერის ბაზაზე იწყობოდა.

არსებობს მრავალი ვერსია იმისა, თუ რატომ დაერქვა დანადგარ „BM-13“-ს სახელად „კატიუშა“. ერთ-ერთის თანახმად, მას ასე მოსკოვის „კომპრესორის“ ქარხნის ამწყობმა გოგონებმა დაარქვეს; მეორე ვერსიით, სახელი კომინტერნის ქარხნის სახელში პირველი ასოს მიხედვით შეირჩა. მაგრამ ყველაზე გავრცელებული ვერსიით, სახელწოდება პოპულარული სიმღერის სიყვარულით შეერქვა.



„კატიუშების“ გაშვების შემდეგ მებრძოლები ომში უფრო თავდაჯერებით ებმებოდნენ. მოულოდნელად გაჩენილი ცეცხლოვანი ნიაღვარი მტრის ჯარს მორალურად ანადგურებდა. გერმანელები მას ხან შავ სიკვდილს უწოდებდნენ, ხან — ჯოჯოხეთის ალს. მაგრამ ყველაზე ხშირად იყენებდნენ მეტსახელს სტალინის ორღანი, რადგან დანადგარის გამშვებ მილებს ორღანისას ადარებდნენ.

**ძნელი წარმოსადგენია, რას გრძნობდა ადამიანი, რომელიც „კატიუშას“ ზალპქვეშ მოჰყვებოდა. მათი თქმით, ვინც ამ ცეცხლის წვიმას გადაურჩა, მისთვის ეს მთელი ომის განმავლობაში ყველაზე საშინელი შთაბეჭდილება იყო.**

**ხმას, რომელსაც რაკეტები ფრენის დროს გამოსცემდნენ, ყველა სხვადასხვანაირად აღწერდა. განადგურების ზონაში ყველაფერი ფეთქდებოდა და ფეხქვეშ მიწა იწვოდა.**

**დანადგარებისა და მისი ჭურვების სრულყოფისთვის მუშაობა ომის დასრულებამდე არ შეწყვეტილა. სერიულად უშვებდნენ რეაქტიული ჭურვების სხვადასხვა სიძლიერისა და დანიშნულების 30-მდე სახეობას. მათგან ყველაზე მძლავრი — „M-31“ იყო. ის დაახლოებით 90 კილოგრამს იწონიდა და 30 კილოგრამ დენთს შეიცავდა. მათ დიდი წარმატებით იყენებდნენ ქუჩებში ბრძოლების დროსაც კი. ომის დამასრულებელ ეტაპზე ბერლინის ოპერაციისას 1510 საბრძოლო დანადგარი და 1795 გამშვები ჩარჩო იყო ამოქმედებული. მტერს რეაქტიული ჭურვების ნაკადი გაუგონარი დამანგრეველი ძალით უტევდა. ომის წინ დაბადებულმა „კატიუშამ“ პირდაპირ ომში მოიპოვა არსებობის უფლება.**



**ზალპური ცეცხლის სისტემა „БМ-13Н“**
**იარაღი — სარაკეტო სისტემები „М-13“;**
**დაშორება — 8,5 კილომეტრზე მეტი;**
**ჭურვების რაოდენობა — 16;**
**საბრძოლო გათვლა — 5-7 ადამიანი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



## მანათობელი ტბა

**ავსტრალიაში, გიპსლენდის ერთ-ერთ ტბაზე, საოცარ მოვლენას წააწყდებით — მთელი ტბა ისე ანათებს, როგორც დიდი ნეონის ნათურა.** დიდი ხნის კვლევის შემდეგ დადგინდა, რომ ამ უჩვეულო ნათების მიზეზი იმ მიკროორგანიზმების ქმედებაა, რომლებსაც უიშვიათესი ბიოლუმინესცენციის უნარი აქვთ. ხანდახან ამ უმარტივესი ორგანიზმების კოლონები თბილი წყლის ზედა ფენებში გროვდება და მაშინ „ზღვის ნათების“ სახელით ცნობილი ულამაზესი სანახაობა იშლება.



# მსოფლიოს ყველაზე ანტისანიტარული ღირსშესანიშნაობები



## მჭევრმეტყველების ქვა

**ირლანდიაში, ბლარნის სასახლეში მჭევრმეტყველების ქვის საკოცნელად უამრავი ადამიანი ჩადის.** ლეგენდის თანახმად, ყველა, ვინც ამ ქვას აკოცებს, მჭევრმეტყველების ნიჭით დაჯილდოვდება. ყოველწლიურად 400 ათასამდე ტურისტი ცდილობს, ლეგენდის სისწორე საკუთარ თავზე გადაამოწმოს. შედეგად, ქვაზე მიკრობები კატასტროფული სისწრაფით გროვდება. რაც მთავარია, მჭევრმეტყველების შეძენის მსურველმა ქვას აუცილებლად უკან გადახრილმა უნდა აკოცოს, ამიტომ, დიდი შანსია, წყალობასთან ერთად რაიმეც მოიტეხოს.



## ოსკარ უაილდის საფლავი

**საფრანგეთში, პარიზის პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, ინგლისელი მწერალი ოსკარ უაილდი დაკრძალეს.** მას შემდეგ კი მისი საფლავის ქვა მწერლის შემოქმედბის თაყვანისმცემელთა საყვარელ მოსალოც ადგილად იქცა. უკლებლივ ყველა ქალი, ვინც კი ამ საფლავს მოინახულებს, თავს მოვალედ თვლის, მწერლის საფლავზე აღმართულ ძეგლს ემთხვიოს. ამიტომ ოსკარ უაილდის საფლავი, უკვე კარგა ხანია, ტუჩის საცხში მთლიანად ამოსვრილი.



## საღეჭი რეზინის კედელი

**სიეტლში, ვაშინგტონის შტატში, უცნაური ტრადიცია აქვთ — ადგილობრივი თეატრის ახლოს მდებარე წითელი აგურით ნაშენებ კედელზე ყველა გამვლელი საღეჭ რეზინს აწებებს.** ეს ყველაფერი 1990 წელს დაიწყო, ამიტომ ამ დროისათვის მსოფლიოში ამ კედელზე უფრო ანტისანიტარულ ადგილს არც თუ ისე იოლად მოძებნით.



## წმინდა მარკის მოედანი

**იტალიის ულამაზეს ქალაქ ვენეციაში წმინდა მარკის მოედანი რატომღაც მტრედების უსაყვარლესი ადგილია.** მართალია, ტურისტებსა და ადგილობრივებს, უკვე დიდი ხანია, აქ ფრინველებისთვის საკენკის დაყრა სასტიკად აუკრძალეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მტრედები სხვაგან გადაბარგებას არც აპირებენ. შესაბამისად, მოედანი მუდმივად დაბინძურებულია.



## გრომანის თეატრის ეზო

**კალიფორნიაში, ჰოლივუდში ჩინური თეატრის ეზოში მსოფლიო კინოს უდიდესი ვარსკვლავები ხელის მტევნებისა და ფეოხის ტერფების ანაბეჭდებს ტოვებენ.** ამის შემდეგ კი მილიონობით ადამიანი ვარსკვლავების ნაფეხურებს თავის ფეხს აზომებს. ხელის დაზომების მსურველთაგან ძალზე ცოტას თუ მოსდის აზრად, რომ ამ რიტუალის ჩატარებისას ერთჯერადი ხელთათმანით ისარგებლოს.



## რესტორანი ცაში

**დუბაიში ცნობილი ცათამბჯენის — „ხალიფას ბურჯის“ 122-ე სართულზე მსოფლიოში ყველაზე „მაღალი“ რესტორანი გაიხსნა.** ამ რესტორანში მინიმალური შეკვეთის ღირებულება ერთ ადამიანზე 122 დოლარს არ უნდა ჩამოუვარდებოდეს, მაგრამ რესტორანი კლიენტების ნაკლებობას არ უჩივის — 442 მეტრის სიმაღლიდან დუბაის ხედით ტკბობისთვის ეს თანხა არავის ეძვირება.

რესტორანი 80 სტუმარზეა გათვლილი. მისი პროექტი ცნობილმა ამერიკელმა დიზაინერმა და არქიტექტორმა ადამ ტიხანიმ მოამზადა. მან რესტორნის უნიკალური დიზაინი მსოფლიოში მისი უმაღლესი (პირდაპირი გაგებით) ადგილის შესაბამისად შექმნა.



## ყველაზე წარუმატებელი მოგზაური

**კალიფორნიელი გენეტიკოსი გერი ფელდმანი მსოფლიოში ყველაზე წარუმატებელი მოგზაურია და ამ წარუმატებლობებისთვის სპეციალური ჯილდოც კი მიიღო.**

წარუმატებელი ტურისტების კონკურსში სულ 800-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, მაგრამ მათ შორის ფელდმანმა უყოყმანოდ მოიპოვა უპირატესობა. ვიეტნამში მოგზაურობისას მან ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების მონახულება მოინდომა; ერთ-ერთი მთის მწვერვალზე აძრომისას ფეხქვეშ ქანი გამოეცალა და ცხრა მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა. მოტეხილობებს ახლაც მკურნალობს, სამაგიეროდ, ჯილდოდ 10 ათასი დოლარი მიიღო.



## მსოფლიოს ყველაზე უჩვეულოდ ნაგები ტაძრები



წმინდა ჯოზეფის ეკლესია 1956 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ააშენეს.



ჯუბილეს ეკლესია რომში მდებარეობს, ის არქიტექტორ რიჩარდ მეიერმა 1966 წელს ააგო.





ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# მოსიარულე ჩონჩხები

**გამხდარ ადამიანებზე ხშირად ამბობენ ხოლმე, მოსიარულე ჩონჩხიაო, მაგრამ ამ ფრაზის წარმომთქმელთ, საეჭვოა, ნამდვილი მოსიარულე ჩონჩხები ჰყავდეთ ნანახი. არადა, ასეთები ნამდვილად არსებობდნენ და მათ შესახებ საკმაო ინფორმაციაცაა შემონახული.**



## ჩონჩხი-ბიჭი

**არტურ მოლი (ზედმეტსახელი არტი ატერტონი) 1890 წლის 30 იანვარს დაიბადა მიჩიგანში. დაბადებისას იგი მხოლოდ ორ ფუნტს (დაახლოებით 900 გრამს) იწონიდა. იგი იმდენად სუსტი იყო, რომ 6 წლამდე ბალიშით დაატარებდნენ. 6-დან 10 წლამდე — ინვალიდის ეტლით მოძრაობდა, 17 წლამდე კი ყავარჯნებს იყენებდა.**

1909 წლიდან შოუბიზნესშიც გამოჩნდა, არტური ცირკში ატარებდა წარმოდგენებს. იგი მაყურებელს „ჩონჩხ-ბიჭად“ წარუდგენდა ხოლმე თავს. როცა საცირკო სეზონი მთავრდებოდა, არტური ჩიკაგოში გაზეთის რეპორტიორად მუშაობდა.

მიუხედავად ასეთი სიგამხდრისა, ჯანმრთელობას არ უჩიოდა, 1911 წელს კი ცოლად ნორმალური ზომის ქალი შეირთო. მას ბლანში ერქვა და, გავრცელებული ინფორმაციით, ცირკში გველების მომთვინიერებლად მუშაობდა. წყვილს შვილებიც ეყოლა: გოგონა — ადელაიდა და ბიჭი – ჰაროლდი.

ერთ დღესაც ნიუ იორკში კონკურსი ,,ყველაზე ლამაზი ბავშვი“ მოეწყო და მასში ადელაიდამ გაიმარჯვა. იმ პერიოდში გავრცელებული იყო აზრი, რომ ბავშვს როგორი მშობლებიც ჰყავს, ზუსტად ისეთი გენები ექნება, შესაბამისად, ერთმა დამკვირვებელმა ქალმა ამაყად აღნიშნა, რომ ადელაიდას დედიკო საკმაოდ ჯანსაღად გამოიყურებოდა და ამიტომაც ჰყავდა ასეთი კარგი შვილი. „წარმოდგენია, ამ გოგონას როგორი მამა ეყოლება, ძალიან მინდა ვნახო იგი, ალბათ, სახლივით მაღალი და ხარზე ძლიერია, თავს ვდებ, რომ პოლიციელია“, — განაგრძო ქალმა. მაგრამ, როდესაც სცენაზე არტური გამოჩანჩალდა და ცოლ-შვილს ხელი ჩაჰკიდა, ხალხის გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა.

სამწუხაროდ, არტურის ცხოვრება არც ისე ხანგრძლივი აღმოჩნდა. 1920 წელს იგი მიჩიგანის ერთ-ერთ ქალაქში ქუჩაზე გადასვლისას მანქანამ გაიტანა. მოლი სხეულის მრავლობითი დაზიანების გამო გარდაიცვალა.





## როზა ლი ფლემენსი

**1893 წლის 30 იანვარს მემფისის ყოველკვირეული გაზეთი წერდა: „ქალაქში განსაკუთრებულ ცნობისმოყვარეობას იწვევს ერთი ადამიანი, რომელიც ყველასგან გამორჩეულია. იგი 19 წლისაა, „ჩონჩხ გოგოს“ ეძახიან და მხოლოდ 27 ფუნტს იწონის.** როგორც ჩანს, ლიზას არც ისე კარგი ბავშვობა აქვს გატარებული. იგი თურმე მუზეუმის მენეჯერებმა მოიტაცეს და შემდეგ მამამისი კარგა ხანს ეძებდა, ვიდრე მიაგნო და სახლშიც დააბრუნა. 2 წლის წინათ კი რა მოხდა, ახლა გაიგებთ. ოჯახი ჩვეულებრივ ცხოვრობდა თავის 4 შვილთან ერთად. როზას დედა გარდაეცვალა და ოჯახში დარჩნენ მამა და შვილები. გაუჭირდათ. ამ დროს გამოჩნდა მუზეუმის მენეჯერი, რომელმაც როზა დაინახა და მამამისს კარგი ხელფასი შესთავაზა გოგონას სანაცვლოდ. გამჭრიახმა მენეჯერმა გადაწყვიტა, როზას მუზეუმში ექსპონატად გამოეფინა.

მუზეუმის პერსონალი ათასგვარ დაპირებებს აძლევდა მამას, რომ, როგორც კი ჩავიდოდნენ, მაშინვე მისწერდნენ, ბავშვს კარგად მოუვლიდნენ, წერილებს გამოუგზავნიდნენ და აცნობებდნენ მის მდგომარეობას, მაგრამ ეს ყოველივე ტყუილი გამოდგა. ოჯახმა მხოლოდ ორი წერილი მიიღო, შემდეგ კი კვალი დაიკარგა. ყველა შტატში გამოცხადდა ძებნა და საბოლოოდ როზას კვალს მიაგნეს. იგი ერთ-ერთ მუზეუმში იპოვეს, რომელიც თავის მხრივ პროტესტს გამოთქვამდა და აცხადებდა, რომ გოგონაში დიდძალი ფული ჰქონდათ გადახდილი. მიუხედავად ამისა, მამას წინ ვერაფერი დაუდგა და მოახერხა შვილის წამოყვანა“.

გოგონას ლამაზი სახე ჰქონდა, შავი თვალები, შავი თმა. მისი კანი კი ისეთი გლუვი და თეთრი იყო, რომ ცვილის ფიგურა გეგონებოდათ. ხელები და ფეხები ნამდვილ ჩონჩხს მიუგავდა, ხორცი თითქოს მეჩხერად ჰქონდა ძვალზე შემოკრული, ის არასოდეს ავადმყოფობდა და დღეში სამჯერ ჩვეულებრივად იკვებებოდა.

როზა 1873 წელს დაიბადა, ამბობენ, მაშინ მხოლოდ 1 ფუნტს იწონიდაო. ერთ-ერთი ვერსიით, იგი 19 წლისა გაიტაცა ვიღაცამ შეერთებულ შტატებში, სადაც თავს მამად ასაღებდა, წარმოდგენებს მართავდა და ხალხს ეუბნებოდა, რომ ფული სამკურნალოდ სჭირდებოდა. ამ დროს როზა 18 ფუნტს იწონიდა და წელის გარშემოწერილობა მხოლოდ 10 ინჩი ჰქონდა. ფოტო, რომელზეც მისი გამოსახულება შემორჩა, 1891 წელსაა გადაღებული, რა ბედი ეწია გოგონას ამის შემდგომ, უცნობია.



## კაცი-მუმია

**1869 წელს საფრანგეთში ყველანაირად მახინჯი ბავშვი დაიბადა. სახე დაბრეცილი ჰქონდა, თვალები — გადმოქაჩული, ცხვირი — მიჭყლეტილი და გაბრტყელებული. დომინიკ კასტანიამ 2 წლისამ წონაში კლება დაიწყო, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, მოვლენები უფრო რთულად წარიმართა, როდესაც ბიჭს 12 წელი შეუსრულდა. ამ პერიოდში იგი მხოლოდ 50 ფუნტს იწონიდა და სიმაღლეში აღარ იზრდებოდა.**

ასეთი გარეგნობის გამო დომინიკი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. მხოლოდ რამდენიმე მეგობარი ჰყავდა და სხვებთან ურთიერთობას თავს არიდებდა, ამ სხვებიდან უმეტესობა კი ისე უყურებდა მას, როგორც რაღაც სასიკვდილო, გადამდები სენის მატარებელს.

დომინიკმა მაინც სცადა ნორმალური ცხოვრების აწყობა და, როგორც გაირკვა, მისი უჩვეულო გარეგნობა სულაც არ უშლიდა ხელს კარიერაში. იგი მონაკოში არქიტექტორის თანაშემწედ მოეწყო. მისმა თანამშრომელმა ქრაზელმა ჩააწვეთა, რომ შეეძლო ხალხში გამოსვლებითა და სხეულის ჩვენებით კარგი ფული გაეკეთებინა. კასტანიამ იფიქრა და საბოლოოდ გადაწყვიტა, ძალები ამ მხრივაც მოესინჯა, ის ხომ ისედაც ყველგან ყურადღების ცენტრში ექცეოდა და, თუ ამით ფულს იშოვიდა, ურიგო არ იქნებოდა.



ქრაზელი მის აგენტად გადაიქცა, მანვე შეურჩია სახელი „კაცი მუმია“ და დომინიკს დაუმეგობრდა კიდეც.

როდესაც ქრაზელი დაქორწინდა, ჩათვალა, რომ კაც-მუმიასთან ერთად შოუების ჩვენება მისი საქმე აღარ იყო და კასტანიასთან მუშაობას თავი დაანება. დომინიკისთვის ეს ძლიერი დარტყმა აღმოჩნდა, მოსიარულე ჩონჩხმა თავი მარტოსულად და არავისთვის საჭიროდ იგრძნო და 1905 წელს სასტუმროში იარაღით მოიკლა თავი.

## ცოცხალი ჩონჩხი

**ისააკი 1841 წლის 21 მაისს მასაჩუსეტში დაიბადა. ჩვეულებრივი, აქტიური ბავშვი იყო, ვიდრე 12 წლისას მოულოდნელად წონის საშინელი კლება არ დაეწყო. ისააკის მამას ფეხსაცმელების სამკერვალო საამქრო და მაღაზია ჰქონდა, ბიჭი ეხმარებოდა. საბრალო მამას ეგონა, რომ ბავშვის წონაში კლება მუშაობამ გამოიწვია და მაღაზია საერთოდ დახურა. მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. შეშინებულმა მშობლებმა ბავშვს აქტიური თამაშობებიც აუკრძალეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. შემდეგ საუკეთესო ექიმები შემოიარეს, თუმცა ვერც იმათ მისცეს იმედი.**



1865 წელს ისააკი ადგილობრივ კარნავალს ეწვია და სწორედ იქ შეამჩნია საჭირო კაცმა. მან სამსახურის შეთავაზება მიიღო — ქუჩის წარმოდგენებით ფულს გააკეთებდა. თავდაპირველად ისააკმა იუარა, შემდეგ კი დაფიქრდა და მიხვდა, რომ ეს მისი შანსი იყო, არც ენერგიას მოითხოვდა, უბრალოდ, მისი ცქერით დაატკბობდა ხალხს და ამაში საკმაო თანხას აიღებდა.

უნდა ითქვას, რომ ისააკმა მალევე მოიპოვა პოპულარობა, იგი „ცოცხალი ჩონჩხის“ სახელით მართავდა წარმოდგენებს ერთ-ერთ მუზეუმში და კვირაში 80 დოლარს შოულობდა, ეს კი საკმაოდ დიდი თანხა იყო.

იგი ორჯერ დაქორწინდა: ერთხელ 1867 წელს თამარ მურზე, რომელიც მასზე 10 წლით იყო უმცროსი. 1868-1872 წლებში მათ სამი აბსოლუტურად ჯანმრთელი შვილი შეეძინათ. შემდგომ სპრეიგის ჯანმრთელობა ნელ-ნელა გაუარესდა. ამ საოცრად ექსცენტრულმა ადამიანმა ჰარვარდის სამედიცინო სკოლას საკუთარი სხეულიც კი მიჰყიდა 1000 დოლარად.

სიკვდილის ნაცვლად მინი ტომპსონს შეხვდა.

3 წლის შემდგომ უკვე საკმაოდ ცუდად იყო. ექიმმა მხოლოდ 6 თვის სიცოცხლე უწინასწარმეტყველა. ისააკმა გამოაცხადა, რომ მისთვის „ცოცხალი ჩონჩხი“ კი არა, უკვე „მომაკვდავი ჩონჩხი“ უნდა შეერქმიათ. 1887 წელს მან ცოლის მკლავებში დალია სული.

ისააკის წონა კი 43 ფუნტს არასდროს აღემატებოდა. მიუხედავად მრავალი სამედიცინო გამოკვლევისა, მისთვის არასოდეს დაუსვამთ ერთი და იგივე დიაგნოზი. სავარაუდოდ, კუნთების ატროფია სჭირდა. გამუდმებით უნდა ეჭამა, ჯანმრთელობა საფრთხეში რომ არ ჩაეგდო.



1

„ვარდებ-ის რევო-ლუციის" თვე

იაპონე-ლი პოლიტი-კოსი

ებრაული მისა-ლმება



2

ყვავილი

ხორცის პროდუ-ქტი

1

ქეხვიც და ყოფ. პოლ. იც. უფრ.

ბიზანტიე-ლი სტრატ-ეგოსი

20 კაპიკი

4

3

მეფედ-კურთ-ხევა

მუსიკალ. ჟანრი (ზან-გური)

ქვეყანა ევრო-პაში

უმაღლე-სი წერტ-ილი

...მერფი

მსხვილი კაპიტა-ლისტი

2

პრეზიდ-ენტად ხელდას-ხმა

ჩინელი ფილოსო-ფოსი

დიდი ბადე

თოვლის კაცი

იდეის დამცვე-ლი

გეზი

...მარშა-ნია

ახლა სა-ბურთალ-ოზეა

...და ნარინი

გამოუ-წვავი აგური

... ჰარი

პოლიტ. გაერთი-ანება



ბერძ. ანბ. ასო

დიდი კენჭი

ეკონომიკ. მინისტრი

ნარნარი ფრენა

ძვ. რომის სამხედ-რო და პოლიტ. მოღვაწე

მდინარე ალმ. საქა-რთველ-ოში

მიმართ-ვა მეფეს ფრანგ.

საწამ-ლავი

რუსი გე-ნერალი

თემურს ჰყავდა (ლიტ.)

რეპერი ქართ-ველი

ფულის ერთეუ-ლი

ერთგვა-რი დოკუ-მენტი

თიხის ჭურჭელი

იტალი-ელი დიქტა-ტორი

...პაჩინო

„კავკა-სია"

5

5

ძველი

ძალა

პატარა მაგიდა

ერთგვა-რი ფეხ-საცმელი

„ნანუ-კას" პიერი

ლუთე-რანული ეკლესია

წრეწირს აქვს

პაემანი

უძვ. ქვეყ. პალეს-ტინაში



3

უძველესი ქურუ-მების ქვეყანა

ეგო

...კობე

... ოკუჯავა

მონიკა ...

ფილო-სოფოსი

ჯეიმზ ...



სამა-გიდო თამაში

დისერტ-აციის სჭირ-დება

კურო-რტი სამეგ-რელოში

სალვთო ომი

4

... და იმერი

ბევრი ცხენი

საქართველო და მსოფლიო

ეწვიეთ ჩვენს საიტს

http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოლუა
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net